# ცოდნა

SERGO EDISHERASHVILI

4 2017

ISSN 0134-3459

# ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი



მთავარი რედაქტორი

**სანდრო ბერიძე**

სარედაქციო კოლეგია

**როინ აბუსელიძე**

**ცისანა ანთაძე**

**გენრი დოლიძე**

**შოთა ზოიძე**

**დავით თედორაძე**

**ლალი კონცელიძე**

**გუნა სამნიძე**

**რამაზ სურმანიძე**

**ჯემალ სურმანიძე**

**ბელა ქებურია**

**ვახტანგ ღლონტი**

**თინა შიოშვილი**

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

**მალხაზ ფაღავა**

ოპერატორი

**მარიკა ლაშხია**



დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ



© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017



რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30



გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა კოლორში


**ავტორთა საყურადღებოდ:**
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

# შინაარსი

## პოეზია, პროზა

**გიო სავჯაია** – ლექსები ..... 3
**გენრი დოლიძე** – ლექსები ..... 14
**თამარ ნიკურაძე** – ციგრიტი (რეალური ზღაპარი) ..... 23
**როინ აბუსელიძე** – ლექსები ..... 48
**ოთარ ჩოგაძე** – ლექსები ..... 57
**ირმა კეკელიძე** – მოთხრობები ..... 64
**შორენა დოლიძე** – ლექსები ..... 75

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

**უჩა ოქროპირიძე** – ლაზურად „ქანი“ ნიშნავს „ციურნი“... ..... 79
**ზურაბ ხაბაძე** – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) ..... 87

## ესე

**დენიზა სუმბაძე** – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში) (დასასრული) ..... 93

## წყნარი ფრენები

**მიხეილ მახარაძე** – ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან (დასაწყისი) ..... 107

## რეალია

**შოთა ზოიძე** – სიმართლეს უფროსი არ ჰყავს ..... 118

ᲒᲘᲝ
ᲡᲐᲯᲐᲘᲐ

## ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ

იცი, როგორ ვარ? ქარბუქი რომ თავს დაატყდება
სოფელს და ყველა მიატოვებს. სიცარიელე
ისე იზრდება ამ სოფელში, წლების მანძილზე,
საკუთარ მკერდში რომ ვაშენე, ჩემი მფარველი
სულებისთვის, რომ ცოტა ხანში არათუ სამ-ოთხ
ტყის სულს, არამედ, ზუსტად ვიცი, მთელი სამყაროს
მხეცებს დავიტევ, ჭეშმარიტი შამანივით და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? კატას სარზე რომ წამოაგებ
და უცქერ, როგორ საცოდავად ფართხალებს. უცქერ
და ამაყი ხარ, კმაყოფილი, იმით, რომ ასე
იოლად არ ხარ მისაწვდომი, ასე მარტივად
გასაგები და თავს იმშვიდებ იმით, რომ შეგწევს
ძალა ბრძოლის და ძალა თქმის და ძალა გაქცევის
ბოლოს და ბოლოს – შენს ხელთაა შენი ბედიც და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? დახვრეტილი წიგნის გმირივით,
წლების მერე რომ სხვის წიგნებში ცოცხლდება, კვდება,
ცოცხლდება, კვდება და ერთხელაც ყელში ამოსდის
ეს ყველაფერი. ერთდროულად ყველა წიგნიდან
გარბის და ისე იკარგება, საკუთარ თავსაც
ვეღარ პოულობს სივრცისა და დროის შავ ხვრელში –
„ბაღში, რომელშიც ბილიკები იყრებიან“ და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? ასაკიც რომ კარგავს პირვანდელ
მნიშვნელობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ყველა
ღირებულება, რაც აქამდე გაგაჩნდა – შენი
წარსულიც, აწმყოც, მომავალიც და არსებობაც,
ზოგადად. იღებ ფურცლის ნაგლეჯს, იღებ კალმისტარს
და წერ, რომ შენი სახელია „საკარიასი“,
მიგაქვს სანთელთან ეს ნაგლეჯი (ფურცლის) და წვავ და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? არაფერი როცა არ ხდება
გარშემო. როცა გასართობად რამეს იგონებ,
ამბავს, რომელიც უნდა მოხდეს, ან უკვე მოხდა
და რა თქმა უნდა, ტრაგიკულად დასრულდა შენთვის,
ან დასრულდება და მერე ამ გამოგონილი
ტრაგედიების ანჟანბემანს აყოლებ ჩაის
და შიგადაშიგ შაქრის ნატეხს, ან მურაბას და
ვიფიქრე, ჯობდა არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? როცა შენში თავს იჩენს ნიჭი
მისნობის, ისე ერთფეროვნად გადის ყოველდღე
ერთი ცხოვრების ერთი მთელი ცხრა მეათედი,
ყოველთვის ერთი სადგურიდან, ასევე, ერთი
მიმართულებით, ზუსტად იცი, ხვალ რა მოხდება:
როგორ პოზაში გაიღვიძებ, სად წახვალ, ან ვინ
შეგხვდება გზად და რა ეცმევა, რას გეტყვის სხვას და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, მაგრამ

იცი, როგორ ვარ? როცა გინდა, რომ ღმერთის გწამდეს
და გულს ვერ უდებ. ვერ პოულობ ადგილს და მიზეზს
დარჩენის, როცა წასვლა გინდა და მაინც რჩები
და ან პირიქით, მიდიხარ და დარჩენა გინდა.
როცა არსებობს რაღაც ძალა, რასაც ეყრდნობი,
ან რაც გეყრდნობა (მაგიაა), გიყვარს, ან მეტიც –
უყვარხარ, ვინმეს და ვერ ამჩნევ, ან არ იმჩნევ და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა ამაზე, რადგან

სოფელში, ერთ დროს სულებისთვის რომ ავაშენე,
ჩემი კეთილი სულებისთვის, საკუთარ მკერდში,
იმდენმა (უფრო სწორად რომ ვთქვა – იმხელა) მხეცმა
დაისადგურა, რომ ადგილი სხვა სულებისთვის
აღარც კი დარჩა და ამიტომ, იცი, როგორ ვარ?
ამ უთავბოლო ვერბლანივით: უშინაარსო,
უცეცხლო, უწყლო, უმიწაო, უჰაერო და
ვიფიქრე, ჯობდა, არ მეფიქრა.

## HEUREKA

ევრიკა! ღმერთი! – რა თქმა უნდა, ჩემო გიორგი...
და არაფერი აღარ გრჩება შეგრძნების გარდა,
რომ რა ხანია, ყველა პასუხს კითხვა მოარგე
და რა ხანია, გაუვიდა სამყაროს ვადა.

და რა ხანია, ვადაგასულ ვენებში მეჩხერ,
თერთმეტი ათას ხუთას ოცჯერ ნახმარი შპრიცით,
ყოველდღე ათ ხაზ სისხლში აჭრილ რეგოლიტს იჩხერ,
რომ რამდენადმე საკუთარ თავს საშველი მისცე

და ტვინში თითი მიაჭირო ღილაკს – „რესეტი“,
რომ წუთით მაინც დაივიწყო ყველა ის ბავშვი,
რომელიც მოკლეს... მიაფურთხო: სულელ პრეზიდენტს,
მართლმადიდებელ მშობელთა და ყველა მისთ. კავშირს,

გასასხვისებლად გამზადებულ მაჩაბლის ცამეტს,
დიდი რვიანის (შვიდიანის, თუ პლუს-მინუს),
ყველა რიგით და რიგგარეშე სხდომას თუ სამიტს,
ატიპიური ეიჩ ხუთი ენ ერთის ვირუსს

და მასთან ბრძოლის პრევენციულ ზომას – კარანტინს...
ოჯახს, რომელსაც უყვარხარ და ყოველთვის გიგებს,
ოთახს, რომელშიც: ჭერს, იატაკს, კედლებს, კარადებს,
სკამებს, მაგიდებს, დანა-ჩანგლებს, თეფშებს და ჭიქებს,

ტელევიზორებს, რადიოებს, ჟურნალ-გაზეთებს,
წიგნებს, რვეულებს, ხელნაწერებს – დედაბუდიან-
ყველაფრიანად, სტაცო ხელი, როგორც ასეთი,
და ჩაუძახო – თავის ფეხით, სადაც დადიან!

და ყველაფერი დაიკიდო, გარდა კუსტარულ
წესით ჩაკემსილ ნატყვიარის სამყაროს ტორსში,
რომელსაც თორმეტ კალიბრიან თვალებს უშტერებ
და რომლის იქით არის რაღაც, სახელად – „მორჩა“...

და რა ხანია, გაუვიდა შენახვის ვადა
სამყაროს! მეტიც: ყველა პასუხს კითხვა მოარგე
და არაფერი აღარ გრჩება შეგრძნების გარდა,
რომ ღმერთი... ღმერთი – რა თქმა უნდა, ჩემო გიორგი!

## აბრამი

ვიდრე ღმერთი ბჭობდა,
და ბაყაყები გუბიდან ხალიჩაზე ხტებოდნენ,
ბავშვი დავიბადე და აბრამი დამარქვეს.

ენაძვლიანი გამოვდექი, ვერც სიმართლე ვიღაღადე
და არც არავის უკითხავს, რატომ ტირიო,
მხოლოდ ის მკითხეს – რომ გაიზრდები, რას იზამო? –
იქაურ ქუდს არ დავიხურავ,
რა ქვეყანასაც მოვედი-თქო, ვუპასუხე.
დიდხანს ველოდე ობლის კვერის გამოცხობას.
ბოლოს, ყველა კაცი სიკვდილის შვილი როდია-თქო, ვთქვი,
ცივ თონეში გამომცხვარი კვერი ჯიბეში ჩავიდე
და სანამ ურემი გადაბრუნდებოდა, გზას დავადექი.

ერთი კარგი ცხენი მყავდა –
დეზების რტყმით სული ამოვხადე.
მისი კვიცი კი, გვარიდან გახტა და მგელი შეჭამა.
თხაც მყავდა, ერთი...
ისიც გავყიდე და უკან ველარ ვიყიდე –
მღვდლობა მოინდომა, აქაოდა, გრძელი წვერი მაქვსო
და მგლის თავზე სახარების წასაკითხად გაიქცა,
უპატრონო ეკლესია კი, ეშმაკებმაც მიატოვეს.
არც ბევრი მდომია და ის ცოტაც დავკარგე, რაც გამაჩნდა.
არც ბევრი მცოდნია და მაინც უამრავჯერ შევცდი.

სოფლიდან გაძევება ვითხოვე და მამასახლისობა დამაკისრეს,
თოფიც მე ვიყავი და მეთოფეც,
ერიც მე ვიყავი და ბერიც, მაგრამ რად გინდა?! –
ბრმა ვიყავი და თვალხილულები მატყუებდნენ,
თვალით ვერ ვხედავდი და ყურით გაგონილს მივსდიე.
გზად, ჩემს წინ მიმავალი კაცებისგან გადებული ხიდი შემომხვდა
და ვიდრე მე, ჭკვიანი, ხიდზე გადავრბოდი,
ვიღაც გიჟი ფიქრობდა: ვინც არ დაიზარა, არც გაიხარაო.

მართალიც იყო – უმადლო გამოდგა ხიდი,
ჩამიტყდა და მღვრიე წყალში ჩავვარდი,
იმედიანი შიმშილი მკლავდა და ერთი თევზიც ვერ დავიჭირე.
შველა ვითხოვე და გამგონმაც ვერ გაიგო,

მხოლოდ ავმა ძაღლმა მიწილადა უკანასკნელი ლუკმა.
დავრდომილი ვიყავი და ვირის გარდა,
ყველამ წიხლი დამიშინა –
სხვისი ლუკმა უგემურია-თქო, ვთქვი,
გლახას დასეტყვილი კიტრი მივეცი,
წავეკიდე და წყალზე გადამიყვანა.

მოუკრეფელში შევედი და თხილნარს ქვა ვესროლე,
ერთი კაკალი მადლი ჩამოვარდა,
ქვაზე დავდე, მარილი მოვაყარე,
და წაღმართზე გავაგორე.
ქვამ ხავსი მოიკიდა,
მადლი კი, წინ აღარსად დამხვედრია –
ჩემი წილი თხილის გულიც ძმებს შეეჭამათ
(არც ძალა აღმოჩნდა ერთობაში),
ბოროტებამ ამაშენა და გულკეთილობამ დამაქცია,
მშიერი ვიყავი და მაძღრებიც მშივრები მეგონენ,
სიკეთე გავეცი და ყველამ დაივიწყა,
სანეხვეზეც გადამაგდეს და ბედიც არ მომცეს.

გაჭირვებაც ვნახე და გაქცევაშიც ვერ ვივარგე –
ვალი კარიდან შემოვიდა და ჭუჭრუტანაში რას გავატევდი...
მტრებიც მომრავლდნენ და ჭერიც თავზე ჩამომექცა.
ასჯერ გავზომე და ერთხელაც ვერ გავჭერი,
ქარიშხალი დავთესე და სიოც კი ვერ მოვიმკე,
ხოლო ჭინჭრის ძირზე უეკლო ვარდები ამოვიდნენ.
იონჯაც გაწყდა
და ორი კურდღლის მადევარმა, ორივე დაიჭირა –
ვირიც მოკვდა და ვირის პატრონიც.

ბოლოს კი, ისე მოხდა,
რომ ქვეყანაც ჩალით დაიხურა,
ჯოჯოხეთიდან მორიგი მუგუზალი მოევლინა სოფელს
და ახალი ცოცხით იმდენი ქვიშა მოიტანა,
რომ ძაღლებიც დადუმდნენ გაოცებისგან,
ქარავანიც შედგა
(ვირის საპალნემ, აქლემები წელში გაწყვიტა)
და ერთადერთმა მერცხალმა
და ერთადერთმა ენძელამ გაზაფხული მოიყვანეს.

## ერთი უმნიშვნელო ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან

გუშინ, დილით, სანაპიროზე, დედაჩემს შევხვდი.
მე, როგორც ყოველთვის, რომელიღაც სამიკიტნოდან მოვდიოდი,
ღამენათევი და გალეშილი, უწესო და უსაქციელო.
ის, როგორც არასდროს, მშრალი ხიდისკენ მიდიოდა,
ღამენათევი და თვალცრემლიანი, გამხდარი და წელში მოხრილი.
ხეს მოვეფარე (ვერ შემნიშნა) და დიდხანს,
დიდხანს ვუცქირე კვალში, შუშის თვალებით,
ვიდრე ხიდის ქვეშ, მადათოვივით არ გაქრა, პატარა დედაჩემი.

შუადღისკენ, სახლში დაბრუნებულს,
საგრძნობლად შეთხელებული წიგნების თარო მომხვდა თვალში.
ხოლო საღამოს, დედამ ხორციანი კერძი გააკეთა.

უარი ვერ ვთქვი, თუმცა, ჭამა კი გამიძნელდა –
ასე მეგონა, ჩემს საყვარელ ავტორებს ვჭამდი:
ჰესეს, დრაიზერს, ჰემინგუეის...
და რაღაც მომენტში, კი არ მივხვდი, არამედ ვიგრძენი,
რომ უბედურება სულაც არ არის წიგნებით საზრდოობა,
წიგნებით, რომლებსაც შეუძლიათ,
ერთხანს სულიერად გამოგკვებონ, მერე კი,
თუ საჭიროებამ მოითხოვა – ფიზიკურადაც...
უბედურება ის არის, რომ ჭილაძის მერე სულერთი გახდა,
თუ ვის შევჭამდი.

## ანანურთან

**(მინი-პიესა, შენთვის)**

ციხის გალავანზე ჩამომჯდარა შემოდგომა,
ყვითელი, როგორც მოლაღური.
შავი არაგვის თეთრ არაგვთან შერთვის
და შეუმდგარი სიყვარულის საღამოა.

მე:
– ესეც არ იყოს, პოეზია ყველაფერს აიტანს,
მით უფრო – თუ ლექსი პიესაა,
და ყველას მოინელებს,
ყველა შენნაირ მუჰამედს და იესოს,
და ჩემნაირ ბელიარს და შაითანს.

ვალერი ბრიუსოვის პორტრეტს ხატავს ვრუბელი,
ხოლო ღრუბელმა, ფეხთან ერთად, კისერიც მოიტეხა.
„მოდი-ნახე“, აქ, აბა, რა მოსატანია?!

ვრუბელი:
– შემართულია ფეხზე ჩახმახი.

ანანურის ეზოში, სამფეხა ტაბლას ვუსხედვართ
მე და ჩემი ძველი ნაცნობი – ტაქსისტი მორდეხაი -
ციტადელს ვამაგრებთ დოქი ღვინით,
დედას პურით და ქვებზე დარჩენილი კალმახით
(ვრუბელი ისევ ბრიუსოვს ხატავს)
და ლექსის ქოქოლას ვაყრით არაგვის ხეობას.

მე:
– მეტის ღირსი ხარ კაცი,
„ამ ჩემს ირმის ფეხებსო“, ქალი რომ გეტყვის!
უნდა წახვიდე და იმ ათასივით დალიო სული...

მორდეხაი:
– ან ეს „ირმისფეხება გოგოები“
რა ჯანდაბაა, დაგენაცვლე?!
რომელი კენტავრები ჩვენ ვართ, ღმერთი, რჯული...

აგრილდა.
ვრუბელი ახლა თამარს ხატავს.

მე:
– თუ ძმა ხარ, მაგას ბრიუსოვის პიჯაკი მოახურე,
სუსტია მაინც, ყვითელია, როგორც მოლაღური.

## მთვარე - ძაღლიშვილი ისე გაიტურა...

მთვარე – ძაღლიშვილი, ისე გაიტურა,
თითქოს კვალში ედგა ღამის ტარანტული.
წასვლა გამიგია, მაგრამ – პოეტურად!
არის მიტოვებაც, მაგრამ – გალანტური!

ბოლო სიგარეტიც ყავას შევუხამე
(სადღაც უნდა მეგდოს კიდევ, ორი ღერი).
წერა შემიძლია მხოლოდ შუაღამით...
სხვა დროს არ მაცლიან, თორემ – ვინ ოხერი.

რაღაც უხეირო სასმელს მიძალებით,
გუშინ საღამოდან ვიკლავ მოშიებას.
დილით მიპოვნიან, ალბათ, მიცვალებულს...
გარეთ ნერვიულად ყეფენ გოშიები.

ქალაქს გადავხედე – თვალი ამარიდა
ისე მედიდურად, მისთვის დანაბერებს...
მთელი დედამიწა, ჩემი ფანჯრებიდან,
მოჩანს, დამიჯერე – ბევრი არაფერი...

და ეს ლექსიც, თითქოს, სხვათა შორისია –
ფიქრიც მიძნელდება... იცი? გეფიცები,
ყოფნას და არყოფნას, სადღაც, შორისა ვარ,
საფლავს მინაწერი წლების დეფისივით.

## ლპობა

სინამდვილეში, სულ ეს არის. ხოლო რაც არის,
სულში ფურთხია, სისხლში – შხამი, ლექსში – ტერცინა,
ღვიძლში – ციროზი, გულში – ხინჯი, თვალში – ნაცარი.

მე მოვდიოდი შენს ხელებთან, როცა გეძინა
და, ჩემო სულო, შენს თითებში სახეს ვმალავდი,
რომ მტკიოდა და... რომ სიმწრისგან არ გამეცინა.

და მივდიოდი – „მაღლა იდგა გემი დალანდი“, –
შენ, სისხლო ჩემო, არც კი იცი საერთოდ, ვინძლო,
რომ სწორედ შენგან ვისახსოვრე წასვლის ტალანტი.

ღვიძლო, შენ, ჩემო სულით ღვიძლო და სისხლით ღვიძლო,
არაფერია. სიტყვებია. როგორ დაბერდი...
მძიმეა. გზაა. შიმშილია. წლებია. მიძლებ.

გულო, მე მახსოვს ყველა წყალი, სადაც ჩავარდა
ყინვა და ყველა სიყვარულის დიდი ხანძარი
მახსოვს და მხრები და ტუჩები და თმის ხავერდი.

და თქვენ, თვალებო – სულ ეს არის. ხოლო რაც არის,
სულში ფურთხია, სისხლში – შხამი, ლექსში – ტერცინა,
ღვიძლში – ციროზი, გულში – ხინჯი, თვალში – ნაცარი.

## უღელტეხილი, 8 აგვისტო

გვირაბს გამოვცდით, –
შუადღის ხვატი მოემწყვდია ფესვებში ძელქვას, –
შენ თქვი: რთულია, სიყვარულზე რამე წამოგცდეს.
მან თქვა: რთულია, სამშობლოზე რამე დაწერო.
მე ვთქვი: ძნელია, სამშობლოში პოეტი გერქვას.

გზა იყო შორი, დაგრეხილი, როგორც ბაწარი.
ცა იყო ახლო, როგორც ყელთან სატევრის წვერი.
შენ თქვი: ძნელია, სამშობლოზე რამე დაწერო.
მან თქვა: ძნელია, სიყვარულზე რამე წამოგცდეს.
მე ვთქვი: რთულია სიყვარული. და არა – წერა.

„უკეთუ გინდეს შემოდგომად მისდა – უარყავ!“
ვაშლის დახლები, სხვა დახლები, დახლები ნიყვის...
შენ თქვი: კარგია, საქართველოს როცა უყვარხარ.
მან თქვა: კარგია, საქართველოს როცა უყვარხარ.
მე ვთქვი: კარგია საქართველო... როდესაც გიყვარს.

## ოღონდ აქ არა

მე გეკითხები: ეგ შენი ყელი
სადაფი არის, თუა ბაკარა?
შენ კი მპასუხობ გულგახეთქილი:
– ოღონდ აქ არა!... ოღონდ აქ არა!...

მე გეუბნები: შენი თვალები
მწველია ისე, ვით მზე თაკარა.
შეშინებული შენ იმეორებ:
– ოღონდ აქ არა!... ოღონდ აქ არა!...

მე ვნატრობ: მინდა ვიყო ის სიო,
მაგ თმათა რხევამ რომ გააქარა.
შენ ნერვიულად ისევ ჩურჩულებ:
– ოღონდ აქ არა!... ოღონდ აქ არა!...

და ასე გადის მთელი ცხოვრება.
მე შენზე გულში წყენა მაქ არრა.
შენ მეკითხები: შევხვდებით კიდევ?
– იმქვეყნად? ალბათ... ოღონდ აქ... არა!

## გაჭინვა

ისეთი მარტო ხარ – გეცინება.
ისეთი დაღლილი – მიეჩვიე.
ძალიან მარტივად – გეძინება.
ან, იქნებ, პირიქით – საეჭვოა.
თვალებში ჩაზრდილი გისოსიდან
ჟონავს შემოდგომის მიწურული.
აგიტანს სიცივე, მიცოცდები
რატომღაც ჯვარცმასთან... სისულელე!
ნებდები საკუთარ სისუსტეებს.
მარტო ხარ. ღმერთმაც კი მიგატოვა
და მხოლოდ წვიმების ინსულტები
ფანჯრებზე ტოვებენ ჰემატომებს.

## მატილდა

მე წინა ცხოვრებაში პოლი მერქვა.
შენ – მოტე დე ფლევილი, მატილდა.
მე მერე უცნაური ბედი მერგო.
შენ მერე, ალბათ, უნდა ატირდე,

ისეთი დამთხვევაა – დეჟა-ვუა,
უთუოდ! მოკითხვები მონსიდან...
დილეგში გადმომცემენ აჟანები
შენს ბარათს: „დამივიწყეთ, მონ სინიორ!“

და ისევ – არაფერი უჩვეულო –
ფილტვების უშენობით ავსება.
ისრები აღმოსავლეთს უჩვენებენ
და დროა, საკმარისი სავსებით

რომ რამით გავამართლო პოეტობა
და რამე მივაწერო საქციელს –
იმდენად არავისთვის მემეტები,
რომ მინდა უკვდავებად გაქციო

და მიგცე ისტორიას! ოსანაა
შენდამი, ჩემი ლექსიც, მატილდა!
მე შენი სილამაზის მგოსანი ვარ,
შენ, ახლა, ალბათ, უნდა ატირდე...

## ანდერძი

მეუღლეს:
გიტოვებ მძიმე ცხოვრებას.
მაპატიე.
მიყვარხარ.

შვილებს:
გიტოვებთ ვალებს –
სხვა არაფერი გამაჩნია.
დედას გაუფრთხილდით.

მეგობრებს:
გიტოვებთ ცოლ-შვილს,
თუმცა მესმის,
რომ თქვენი პრობლემებიც
თავზე საყრელად გაქვთ.

საქართველოს:
გიტოვებ პოეზიას,
არა იმიტომ,
რომ ჩემგან რამის ღირსი ხარ,
არამედ იმიტომ,
რომ მიხვდე, რა ძნელია
ოჯახის ლექსებით გამოკვება.

# გენრი დოღიძე

## ზოგჯერ...

ხელში უჭირავს ამინდს კარტებად,
ლექსები – ჩემი ცხოვრების საჭე,
ზოგჯერ სათქმელი მაშინ მთავრდება,
როცა, უბრალოდ სათაურს დაწერ.

გაზაფხულდება.
წვიმის ციცრები გადაუფრენენ მაისის ბაღებს,
ზოგჯერ სიზმარი მაშინ იწყება,
როცა იღვიძებ და თვალებს ახელ...

უჯრაში ნაპოვნ ლექსის არტეფაქტს
უსინჯავ ასაკს, გულსა და სიცხეს...
ზოგჯერ მთავარი მაშინ მთავრდება,
როცა საერთოდ დაწყებას იწყებ.

გამშრალი ცრემლის მირონს იცხებენ,
დღეები ლექსის შეხსნილი თასმით...
ზოგჯერ მთავარი მაშინ იწყება,
როცა გგონია წერტილი დასვი.

## შავლეგო

თოვდა.
ღრუბელი – სევდიანი ზღაპრების გუდა
რა ნაადრევად დაბერებულს აჰკიდეს ქალაქს?!
თოვდა...

მთაწმინდა დაეხურა რუსთაველს ქუდად
ანძა კი ქუდზე მიმაგრებულს მოჰგავდა კალამს...
თოვდა...
და ზამთარს უწეწავდა ნიავი ფაფარს,
ეცვა მოედანს ორი ზომით ვიწრო მიტინგი.
თოვდა...
ქართველთა ერთად დგომის ბოლო მითი კი
ტყის ბილიკივით დაეფარა ფიფქების საფარს.
თოვდა...
ამინდის მუნჯურ კინოს მივაყურადე
და ხსოვნის კადრზე აღიბეჭდა ერთი სურათი:
ორი-სამი თვის ლეკვი თოკით მოჰყავდა პატრონს...
ლეკვი ქუჩაში არაერთხელ მენახა სხვა დროს...
მენახა თოკით, პირსაკრავით, სკვერში თუ ბაღთან,
მაგრამ მგლის ლეკვი?! – არასოდეს მენახა ნაღდად!...
არაძაღლური მზერა ჰქონდა, სულის ამღლეტი
და მის თვალებში ბობოქრობდა მთელი სამგლეთი...
ჰო, მის თვალებში (ბოდიშს ვიხდი სხვა მგლის ლეკვებთან)
ყმუოდა მგელზე დაწერილი ყველა ლეგენდა...
ელავდა ვახტანგ გორგასალის ბოლო ომი
და
გრგვინავდა ექო წამოსული ძველი რომიდან...
რადგან ჩათვალა, ირღვეოდა ბუნების დოგმა,
მგლის შვილს ქალაქში რა უნდაო? – იკითხა ზოგმა.
პატრონმა გვითხრა, რომ პატარა ხევსურ მაუგლის
ორი კვირის წინ ტყეში, თვალწინ, დედა მაუკლეს.
მოვეფერე და, ვით ქართველმა მონამ თათრისა,
თათი ამიკრა, მოფერება იუკადრისა...
თითქოს, შემღრინა: – შენ მე ძაღლში ხომ არ გეშლები?
და იხმალშიშვლა მოკაშკაშე მთვარის ეშვები...
ალალი იყო მასზე... ალბათ, გრძნობდა თავადაც
გმირის სახელი და გმირულად ეჭირა თავი...
წასვლამდე ერთიც აგდებულად შემხედა ცერად,
ავტოგრაფივით დამიტოვა უტეხი მზერა...
გაჰყვა რუსთაველს უდარდელი სევდით შავლეგო
და თეთრ ქუჩაზე კარგა ხანი ჩანდა შავ ლაქად...
გადასდო ამინდს ხასიათი სევდისმაგვარი
და გაურითმა გრძელ ქუჩაზე ნაკვალს ნაკვალი.
თითქოს, ბუნების ყველა ცოდვა თეთრმა წაშალა
თითქოს, უფალთან მიდიოდა ყველა გზა-შარა.
თოვდა...
ამინდის მყუდროება ჰგავდა კელიას...

თოვდა...
ჭადარი იდგა, როგორც წირვის რეგენტი...

ვიდექი თოვლში და ვფიქრობდი: მგელი მგელია...
მგელი-მგელია ზღაპრისაა, ტყის თუ ლეგენდის!..

*  *  *

რა დამაძინებს, როდესაც ფირით
შენს ფანჯარაზე ვამჟღავნებ თბილისს?...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს როცა გაფრენილ წლებს
აჩქარების ფორმულით ვიყვან...
რა დამაძინებს...

რა დამაძინებს, როდესაც ამ შენს,
ამ ჩემს ოთახში წვიმის ხმას ღვიძავს?...
რა დამაძინებს...

რა დამაძინებს, როდესაც ფიქრი,
ძუკნა ძაღლივით ეძებს საკბილოს,
დარბის ნაწვიმარ ქუჩაბანდებში,
მგელივით მშიერ ღამეს აცილებს...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი, რომ დაკარგული ძველი ლექსი დამესიზმრება,
როგორც აბორტით მოკლული შვილი – უცნობ დედას,
სიცხიან სიზმრად მესტუმრება და თვალს ამარიდებს...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როცა ჩემივე
ცხოვრების წიგნის მდიდარ
სარჩევში,
საკუთარ თავსაც ვეღარ ვპოულობ....
რა დამაძინებს?!

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი,
რომ შემიძლია შენი ხმა მეცვას,
რომ შემიძლია შევცურო შენი

თვალის და ჩემი არყოფნის ფერში...
რა დამაძინებს?!

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი,
სიზმარში მოვა დარეჯან ბებო,
მისაყვედურებს გუშინ ჭამის წინ
დაუბანელი ხელების გამო...
მე დარცხვენილი დავმუნჯდები
და
დღესაც ვერ ვეტყვი, რომ ცოლ-შვილი მყავს...
და ვერ გავაცნობ სიკვდილის წინ ნანატრ შვილთაშვილს...

რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როდესაც ვიცი, რომ ხვალ დილითაც,
რიგითი ქუჩის რიგით მარკეტში,
მშიერი გურამ დოჩანაშვილი იყიდის ლავაშს,
გაღიმებული გამყიდველი ეტყვის – გიცანით! – თქვენ ხომ გუშინაც იყიდეთ პური...
ამ დროს კი ვინმე ერის მოძღვარი,
თვით
რუსთაველის პრემიის ფულით
ისრაელიდან გამოწერილ ციურ მანანას
მაცივარში დაასაწყობებს... დაიძინებს და მოსეს ნაცვლად ალფრედ ნობელი დაესიზმრება...
რა დამაძინებს?

რა დამაძინებს, როცა უცნობი
წვიმა ნაცნობი ლექსით მციტირებს...
„ყველაზე მეტად იმას უყვარხარ,
ვინც უსიტყვოდ და უხმოდ გიტირებს...“
ჩაიღიღინებს მთვრალი ქალაქი...
სიმთვრალით ჩავკლავ
ლექსის ბაცილებს,
რა დამაძინებს სანამ არაყი,
ხსოვნას არ წაშლის რა დამაძინებს?

## ახალი თავისუფალი ლექსი

დილა გათენდა ისე თავხედი,
რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...
შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
უბრალოდ, მოხვალ თავდახრილი, მოხვალ და ხელებს

თვალებზე აიფარებ,
თვალებს კი – სულზე,
ხიდან ცრემლივით ჩამოვარდნილ კვირტად წახვეტილს
გიცნობ, ფეხის ხმით, ცრემლის ფერით, დუმილით, პულსით...

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...

ზის უშენობა და ჩემს ნეკნზე უკრავს სალამურს...
რომ არ დაგვექცეს აკრულია ცაზე ცა ღვედით.
ვუთხრათ სალამი... (ამ სტრიქონში რითმა გამებნა...)

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...

მე გაგიხსენებ, გაგიხსენებ ცამდე აშოლტილს,
როს შენი თმების ცივი სუნთქვა წვავდა სხვა ნიავს.
ცრემლს გადაყლაპავ, მორცხვად მეტყვი, რომ ქმარს დაშორდი
და მე გეტყვი, რომ ცოლი სულ არ მომიყვანია...

გეტყვი, რომ შენი მმეგზურობდა ღამე ზმანება
რომ ჩემს – „შენს ტუჩებს“ სხვისი გემო არ უგემია...
რომ შევიძულე გაღიმება ლამაზმანების,
რომ ეს ცხოვრება ზღვა არის და ანუ, გემია,

ის სიყვარული, შეწირული სისხლის მოქცევას,
გულის ფსკერამდე ჩაძირული ღუზის მოგლეჯა...
არ დაუჯერო, როცა ცრემლით ნიშანს მოგცემენ!
რადგან თვალებში ეს ცხოვრება უფრო მოკლე ჩანს,

ვიდრე საბელი ბიბლიაში დაბმული ვირის,
ვიდრე გზა შენი ღალატიდან – უფლის ჯვარცმამდე...
ქალაქში, სადაც სანთელი ღირს უფალზე ძვირი
მოგცემდნენ ჩემში სადღაც სამ ვერცხლს, ალბათ, არც მაგდენს...

დილა გათენდა ისე თავხედი,
რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...
ჯანდაბას ყველა უშენობით თვალის გახელა...

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...

წახვედი, როგორც საიდუმლოდ ნათქვამი ჭორი...
მზე ჰორიზონტთან შეაბნიე თავის პროტოტიპს
და მე დამტოვე ჯვარცმასა და აღდგომას შორის
წიგნში სანიშნედ ჩადებული ძველი ფოტოთი...

## ნიშარები

თქვენ, ქალბატონო ცოლო, რომელიც ნივთებს აფასებთ ღირებულებისა და გამოსადეგობის შეფარდებით, პრაგმატულად,
როგორ აგიხსნათ, რომ ურეკის სამვარსკვლავიანი სასტუმროს 24-ე ნომრის გატეხილი ორსართულიანი ლოგინი,
ჩემთვის გაცილებით ძვირფასია, ვიდრე თქვენი მზითევში მოყოლილი საძინებლის კომპლექტის რბილმატრასიანი „სოფა“.
რომ მასთან ვალში ვარ, როგორც კაცი და
როგორც პოეტი და
როგორც მეოცნებე.
რომ მას სულ სხვა მოგონებები და
სიზმრები და
განცდები მოაქვს.
რომლებიც სავსეა ტკივილებით და
სევდით და
ბავშვობით,
რომ მან წარსულის ერთი უგზო-უკვლოდ დაკარგული დღის ნიჟარა გამომირიყა სიზმრის ნაპირთან,
რომ ამ ნიჟარაში გარკვევით გავიგონე თბილისი-ბათუმის მატარებლის ხმა და
ქარის ხმა და
ავტომატის კაკანის ხმა 1994 წლის 13 სექტემბრიდან,
როდესაც პირველად მეძინა ვაგონის მეორე სართულის ნარზე, რომ ამ ნიჟარაში ცხოვრობს ჩემი ტოლი დედა,
რომელმაც ხათრი ვერ გამიტეხა და მთელი ღამე არ უძინია ჩემი გადმოვარდნის შიშით და შიმშილის შიშით და ყაჩაღების შიშით,
რომ ამ ნიჟარასთან ერთად ბევრი სხვა ასეთი ნიჟარაა გამორიყული,
ზოგი ცარიელია განცდებისგან და
კადრებისგან და
მუსიკისგან...
ზოგი სავსეა ტკივილებითა და წარსულებითა და სითბოთი. მაგრამ თქვენ მე ვერ გამიგებთ, თქვენ ხომ პოეტი არ ხართ! ამიტომ სჯობს დღევანდელი დღე, როდესაც ჩემმა შვილმა პირველად მიგრძნო და უხილავად მიგულისხმა, მოვათავსო ერთ-ერთ ცარიელ ნიჟარაში და მოვისროლო შორს, ყოფიერების უკიდეგანო ზღვაში.
ვინ იცის, იქნებ, ერთხელაც, როცა ჩემი გოგო უკვე დედა იქნება,
მის ნაპირთანაც გამოდევნოს ყველაზე მკრთალმა სიზმარმა წვიმით დაცხრილული ღამე, როცა საწოლის მეორე სართულზე მყოფი მამა მის მშვიდ ძილს სდარაჯობდა!.

## აცივება

მიედგა ქალაქს ზღვით სავსე კათხა
ნაპირთან ქაფით, დასვროდა ტუჩი,
მახსოვს, გავრბოდით სახლიდან – სადღაც
მთვარე ძაღლივით მოგვდევდა კუდში

ნაპირს მომდგარი ქაღალდის ნავი
ელოდებოდა ზღვას კვლავ ებიძგა...
ზეცა დავცალეთ თუთის ხესავით
ნახევრად მწიფე ვარსკვლავებისგან.

აწიე ცივი ხელისგულები
და თქვი, რომ ცალკე სავალი გზა გაქვს...
მერე ზურგს უკან, ხურდა ფულივით, ხურდა ფულივით.
ისროლე ჩვენი ბავშვური საგა...

(მას შემდეგ, ჩვენდა ჭირად თუ ბედად
ზღვაში დათესილ ტკივილებს ვიმკით)
მერე – დეკემბერს – სუროგატ დედას,
წასკდა იანვრის პირველი ფიფქი...

ღეჭავდა ტალღა – მშიერი ლოქო,
სიბნელეს – ქვრივი ამინდის კალთას...
და იდგა ზამთრის სიცივე, როგორც
უსიყვარულოდ დაწოლა ქალთან.

* * *

**ირაკლი შარაძეს**

კვლავ ოსტატურად ვგიჟობ,
გულში ტკივილებს ვკეტავ,
მომნატრებია, ბიჯო,
შენი დაკრული „ქედა“,
სულ სხვა მადლი აქვს წვიმის
ჯაზურ ჯაზობის ლაზათს,
შენარჩუნებულ სიმებს,
ნერვის დაწყვეტის ფასად,
ტკბილს, მწარესა და მწარეს,

ვერტიკალურს და ბრუნვადს,
უიმედობის ბზარის,
გამთელებაზე ზრუნვას,
გამწარებულზე სიცილს,
ბედნიერების კურცხალს,
ნაბახუსევის ფიცის,
უკან წაღებას ურცხვად
სკამის მოხერხილ ცალ ფეხს
და დატოვებას სახტად,
შამპანურების ზალპებს
სამშობიარო სახლთან,
გალაკტიონის ლექსზე
აკანკალებულ კლარნეტს,
დილით, საათის ექვსზე,
იით ავსებულ ლარნაკს
პარტიტურების ნავზე,
ჩემი ლექსების აფრებს,
დილას, რომელიც გვავსებს,
ღამეს, რომელშიც ვაფრენთ,
როდესაც კი არ გვათოვს,
ციდან ნოტები ცვივა,
მაგრა აკლია ბათომს,
შენი დაკრული წვიმა!

## ლოცვა თამარისათვის

მინდა, მოვაბრუნო თანაც,
მინდა, დავანახო მთავარი,
ღმერთო, გადმოხედე თამარს!
ღმერთო, დაიფარე თამარი!

ღამის ლოცვასავით თბილი
ასეთს გადაიტანს აწ რამდენს?
შენკენ გამოუდგა ბილიკს,
ღმერთო, მიაცილე ტაძრამდე...

შენც ხომ გაგიჭირდა ღმ-ერთ-კაცს
ჯვარის გოლგოთამდე ტარება?!
შენც ხომ გვერდით ვიღაც გედგა,
ღმერთო, არ მიხურო კარები!

მასაც, ძლიერ უჭირს ზიდვა,
(იცი, არ გჭირდება ჩემი თქმა)
ღმერთო, მე ამკიდე, მზად ვარ
მხარზე მისი ჯვარიც შევიდგა!

შენ წინ სნეულივით ვდგავარ,
შენ ხარ კურნებაც და წამალიც,
ღმერთო, შეეწიე თამარს!
ღმერთო, დაიფარე თამარი!

## სიჩუმე შტორმის წინ

დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში,
რადგან ჩაყოლას ვამჯობინე ისევ ჩათრევა,
რადგანაც ყელში გავეჩხირე სიკვდილის შიმშილს,
ვით წვიმის წყვეთი მიტოვებულ ქუჩის შადრევანს.
დუმს არსებობის ჩავარდნილი ბოლო კლავიში
და ახლა გულში ჩემს რეკვიემს მუნჯურად ვგალობ,
რადგან იღბალი ჩამაფრინდა ისევ მკლავებში
მრჩება ნახევრად გალეწილი ცხოვრების კალო.
მუნჯდება ტალღა მზეჩაგდებით, კენჭებჩაგდებით,
თითქოს, კომეტას ხედავდეს და სურვილს უთქვამდეს,
ზოგჯერ გგონია, გაიყინა, ისე ჩაკვდება
ზღვა ნერვიული ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.
თითქოს, სასცენოდ ემზადება სკოლის ზეიმზე,
წამოაწითლა პულსაციის გაზრდილმა მარჟამ...
ვდგავარ ნაპირთან ნანგრევივით კოლიზეუმის
და თვალს ვაყოლებ დროისა და დუმილის მარშებს...
დუმს დამიზნებით მოშვერილი ათასი თოფი,
რადგანაც ყელში გავეჩხირე სიკვდილის შიმშილს,
რადგან სამყაროს ვერ ვუყურებ თვალებში ნდობით,
დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში...

# თამარ ნიკურაძე

მე თუ მკითხვათ, დღეს ზღაპრების ერა უფრობა. ისეთი, მინარევი რეალობის. აი, სიურეალიზმს რომ ეძახიან.

თამარ ნიკურაძე გარდა იმისა, რომ დროს გრძნობს, წერის გამორჩეული კულტურითაცაა დაჯილოდოებული. ეს უნარი დღეს იშვიათი ხილია და მხოლოდ ნიჭს არა – შრომასაც მოითხოვს. ამას მივუმატოთ ნაწარმოების სიუჟეტის აგების ხერხებში გაწაფულობა და თამამად ვიტყვით: თამარი ახალი თაობის საინტერესო მწერალია, „ციგრიტი“ კი ბოლო დროს გამოსულ ტექსტთაგან ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოები.

წიგნში მოქმედება ჩვენს დროში ვითარდება. პერსონაჟებიც ჩვეულებრივი, თანამედროვე ბებიები და დედიკოები არიან. არც არაჩვეულებრივი გმირების ნაკლებობაა. მაგალითად: გვიანიკა და წუწური. მათი თავგადასავალი ჯადოსნურ ყოფიერებასა და ბიუროკრატიულ, სამუშაო გასაუბრებებს შორის მერყეობს, ისევე როგორც ყველა ჩვენგანის, უბრალოდ, ჩვენ ამ ყოფის ჯადოსნურ ნაწილს არ ან ვერ ვამჩნევთ. ცხოვრების ყველა ტრაგიკული პასაჟიც, ალბათ, ესაა, მისი ზღაპრულობის დაუნახაობა – არავის გვყოფნის ამისთვის დრო. ამიტომაც ისეთი წიგნები, როგორიც „ციგრიტია“, შანსს გვაძლევს ის წამი შევაჩეროთ, რომელიც შევამჩნიეთ და ვერ გავაცნობიერეთ (როგორც ეს საბჭოთა ანიმაციაშია – „ზღარბი ნისლში“) ან კიდევ – ისე ჩაიარა, რაღაც საბუთებს ვავსებდით და ვერ გავიგეთ.

ტოპონიმიკაც მოულოდნელია. მაგალითად: სიმონეთი ყველამ ვიცით. მაგრამ ის, რაც იქ ხდება, არავის წარმოგვიდგენია. შესაბამისად, რომელიმე ფენტეზის მწერალი მას რამე ახლართულ სახელს მოუფიქრებდა. მაგრამ თამარო ცოტა პროვოკაციულ გზას დაადგა და გაიარა კიდეც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ექიმისა და ექთნის დიალოგის სცენაზე აგებული თავი. აქ უკვე ნამდვილი, ჩამოყალიბებული მწერალი გვესაუბრება და ციგრიტის აცრისთვის გვამზადებს.

„ციგრიტი“ არ გაგიგიათ? აი, ამისთვის კი ნამდვილად წიგნის გადაფურცვლაა საჭირო. მე აღარ დაგეხმრებით, უბრალოდ დავადასტურებ: წინ კითხვის დიდი სიამოვნება გელით. ბიჭიკო პროფესორიშვილთან ერთად, რა თქმა უნდა.

გიორგი კეკელიძე

## ციგრიტი

**(რეალური ზღაპარი)**

ექიმი ტვინიანი ფიქრით დამძიმებული თავით და შეწუხებული მზერით გამოვიდა თავისი მისაღები კაბინეტიდან. მის გამწარებულ სახეს გაკვირვებული თვალები აფორმებდა. გარდა ამისა, თავის აფუნგულ ქოჩორში საჩვენებელ თითს მოუსვენრად ასეირნებდა. დერეფანში პაციენტის დედა – ქალბატონი ნევრიკი და ბურღუნა ბებია იცდნერვიულობდნენ. ექიმის არასასურველი სახის დანახვისთანავე სკამიდან წამოიჭრნენ და მასთან მენჯისამოგდებით მივარდნენ.

– ექიმო, რა გვჭირს? არ გვითხრათ ცუდი! ერთი შვილი მყავს და ცუდის გაგებამდე აქვე მირჩევნია, მოვკვდე.

– ბებოს შემოვევლე, რა ჭირს ჩემ ბიჭიკუნას? ექიმო, არ დაგვიმალოთ! – ამოიქვითინა ბებომ და თვალს მომდგარი ცრემლი ერთჯერადი ხელსახოცით გაისტუმრა საიქიოს.

– ციგრიტი! – წამოიძახა ექიმმა და თვალები სიბრალულის წყალდიდობით დაეტბორა. ექიმი ტვინიანის მრავალწლიანი პრაქტიკის სკივრში მსგავსი შემთხვევები აქა-იქ უპატრონოდ დაობებულიყვნენ. პაციენტის თავმდგურებს თვალს ვერ უსწორებდა.

– ვაიმე, შვილო! – წამოიღრიალა პაციენტის ანერვიულებულმა დედამ მიუხედავად იმისა, რომ აზრის მცირეოდენი ნატეხიც კი არ ედო წა-

რმოდგენის თაროზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ციგრიტი.

– რა მეშველება? რად მინდა ამისთანა სიცოცხლე? ბავშვი ჯანმრთელი არ მეყოლება? წკმუტუნის იარაღიდან ზედიზედ ბრმად ნასროლი სამი კითხვითი წინადადებით ტვინი გაუხვრიტა დედამ ექიმს.

ამ დროს, რატომღაც, ბებიამ, უფრო მეტი გონიერების დემონსტრირებით, ექიმს მშვიდად და იმედიანი გამომეტყველებით ჰკითხა:

– ექიმო, და რა არის ეს ციგრიტი?

ექიმს მომენტალურად ის სამი მეცნიერი გაახსენდა, რომლებიც ამ დაავადებას იკვლევდნენ. ისინი დაავადების სახელზე ვერ შეთანხმდნენ და ერთმანეთი დახოცეს. სკვირიხტიანს, კრუნტრიკელსა და ციგრიტიანს შორის დავიდარაბის შედეგად მხოლოდ ციგრიტიანი გადარჩა, რომელმაც გამარჯვების ნიშნად დაავადებას თავისი სახელი დაარქვა და მისი კვლევა, მართალია, უშედეგოდ, მაგრამ მაინც განაგრძო.

დედამ კი, ამ კითხვის გაგონებაზე, თავისი ცივი, ყურსმენაგამაწვრილებელი წუწუნი გააუქმა და ცრემლებით დამარცხებული თვალები ექიმის დაბნეულ სახეს მიუგზავნა.

– ციგრიტი? ახალი დაავადებაა. მმ, უფრო სწორად რომ განვმარტოთ, ახალი დამკვიდრებულია, რაც ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. ის დიდი ხანია, მსუბუქი ფორმებით არსებობს ადამიანებში, მაგრამ ამ ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა. ამასთანავე, სახელიც არ ჰქონდა. ახლა კი, მისი კვლევა პროფესორმა მეცნიკ ციგრიტიანმა დაიწყო და ამიტომაც, ამ დაავადებას, მისი გვარის მიხედვით, ციგრიტი ეწოდა. ერთადერთი და უმთავრესი, რაც ამ სტადიაში უნდა გაკეთდეს, ეს პაციენტის დაკითხვის რენტგენში გატარებაა. ხოლო, რაც შეეხება მკურნალობის კურსს, ამ ეტაპზე, კლასიკური მუსიკის თერაპია დაენიშნება, კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად. რამდენად ხშირად კითხულობს?

– თითქმის აღარ.

– ექიმო, – კვლავ შეაწყვეტინა გონიერმა ბურღუნა ბებომ, – შეიძლება მისი განკურნება?

ამ დროს, ყველას ყურადღება ოთახიდან გამოვარდნილმა ხითხითის ხმამ მიიპყრო.

– აი, კრუნტვები დაეწყო! თქვენ აქ იყავით, მუსიკალურ ნემსს გავუკეთებ, ცოტა დამშვიდდება და მერე გავაგრძელოთ საუბარი. – უთხრა ექიმმა ფეთისგან აფეთქებულ ქალებს და კაბინეტი შევარდნით აიღო.

* * *

სულ რაღაც ორწელიწად-ნახევრის წინ, ოცნისის კულტურისა და ძეგლთა აღორძინების სამინისტროში კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ადგილზე სიცარიელე გამოცხადდა. მიუხედავად იმისა, რომ გვიანიკას არაჩვეულებრივი სამსახური ჰქონდა მსუყე შემოსავლით, მან მაინც სასწრაფოდ დაიწყო თავისი საბუთების და ბიოს მომზადება. თავისი ძველი ბიო განაახლა, მერე გაზეთებს დაუწყო თვალებით ზეთვა, სადაც სტატიები ეწერა მის შესახებ. გარდა ამისა, ის ითვლებოდა გიტლანდიის საპატიო მოქალაქედ და მინიჭებული ჰქონდა ფაშიტის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ტიტული ჰობოის აჟღერების საქმეში. ეს უკანასკნელი კი, მეტად საპატიო და საამაყო წოდება იყო მისთვის. კიდევ ერთხელ, დიდი სიამაყით გადაათვალიერა სტატიები. არა, უფრო სწორად, ყოველი წინადადება მჭიდროდ შემოიხვია თვალებზე, რის შედეგადაც სახეზე სიამოვნების მუწუკები დააყარა და სიამაყე აელეწა. შემდეგ, ეს საბუთები ერთ საქაღალდეში მოათავსა, შიგ თავისი განახლებული ბიოც დაურთო და გადასამრავლებლად წავიდა.

ოცნისი ძალიან ლამაზი ქალაქია. ის ნიჭირეთის დედაქალაქია. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ ნიჭირეთში, ოცნისის ქვაბულში, მდინარე ენერგოს ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380-600 მ სიმაღლეზე. ქალაქს 720 კმ 2 ფართობი უჭირავს და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

ოცნისი კუნკუსის რეგიონის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული, სოციალური და კულტურული ცენტრია და ბოლო დროს ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი სატრანსპორტო კვანძი ხდება სავაჭრო პროექტებისათვის.

ეს ინფორმაცია გუგულის უბადლო მეხსიერების წყალობით მივიღეთ, უნიჭიერესი ქალია, რომელიც საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს ხელმძღვანელობს.

თვით ნიჭირეთი სიყვარულის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. მისი ერთ-ერთი ძლიერი მეზობელი ქვეყანაა სპირტსეთი.

ჰოდა, როგორც უკვე ვთქვით, ოცნისი ულამაზესი ქალაქია, სიცოცხლით სავსე, მაგრამ, მას ერთი ნაკლი აქვს, – თუ აქ ვინმე მოხვდება, ცოტა ხნით მაინც, ყველას უჭირს მისი დატოვება. გვიანიკა დაბადებიდან აქ ცხოვრობს. დედისერთა, ბებიას და ბაბუას გათამამებული შვილიშვილის პირობაზე, ის, თითქოს, საკმაოდ მოსიყვარულე და თბილი ადამიანია, თუმცა, აქვს მას თავისი ტიკები. თან ერთი სერიოზული რამ სჭირს, რომლის ახსნასაც მედიცინა წვალობს. აი, მაგალითად, როდესაც ის ანერვიულდება, კოცნები აყრის. მისი მკურნალობის მთავარი მარცვალი კი, კოცნაში მდგომარეობს; ამ დროს ის კოცნებით მორჩება, ოღონდ ეს მისთვის სასურველი ადამიანისგან უნდა იფრქვეოდეს. კიდევ ერთი ტიკი აქვს ჩვენს გვიანიკას, ისევ ნერვული ბზიკვინტის შემოჩენის დროს, უცნაური, დამანჭული ხითხითის მოვლენები აქვს. ამ დროს ის თავისთვის უჩვეულო საქმეებზე ფიქრობს. მაგალითად, როგორ გაძარცოს საჭუჭყეთი, გააუპატიუროს ქალი, გაუღიტინოს მამაკაცებს, – რაც საკმაოდ რთული შესასრულებელია ნორმალურ ცხოვრებისეულ პირობებში.

* * *

– თქვენი სახელი...

– მშვიდო.

– გვარი?

– ჩაგვრია.

– გულიანა, ჩაიწერე?

– ჰაჰაჰაჰაჰაჰა. – ამუშავდა სასიცილკისკისო ტყვიამფრქვევი დაკითხვის რენტგენის დროს.

– გულიანა, ვინ ახლავს მშვიდოს?

– მგონი, მეგობარი.

– უთხარი, შემოვიდეს. თან ნემსელიც შემოიყვანე, გვერდით პალატაშია. პირველადი დახმარებაა საჭირო.

– შემობრძანდით, ექიმ ტვინიანს გასაუბრება სურს თქვენთან.

– გამარჯობა, გთხოვთ, პაციენტის ანკეტა შემავსებინოთ.

– მშვიდო ჩაგვრია სად მოღვაწეობს?

– მშვიდო „ერისტული კავშირის“ გენერალური დირექტორია. ამჟამად რამდენიმე საინტერესო პროექტის ხორცს ატყავებს. – რა ხდება, ექიმო?

– მწვავე ციგრიტის ნიშნები აქვს. კრუნტვების რომელ ფორმას ავლენს?

– ქალებს დასდევს, სიმშვიდეს ურღვევს.

– გასაგებია...

– საშიშია?

– ჯერ არ ვიცით. – ჩაიღიღინღიმა ექიმმა.

* * *

საკმაოდ ნერვგულა ქალია ქალბატონი ნევრიკი. ის და თავისი ქმარი – მაყუსი ღრმა ახალგაზრდობაში შეუღლდნენ. შვილი ხანგრძლივი წვალებითა და ექიმეთში ხშირი სირბილის შედეგად გაუჩნდათ სამი ხუთწლეულის დაგვიანებით. ასე რომ, წარმოიდგენთ ალბათ, როგორი გრძნობაგაშმაგებით აღზრდიდნენ შვილს ქალბატონი ნევრიკი და შვილიშვილს ქალბატონი ბურღუნა. „გვიკუნა“ – ამგვარად მიმართავდნენ ოჯახში. ზედმეტი სიყვარულით გადაღლილი გაიზარდა გვიკუნა.

ქალბატონი ნევრიკი განათლებული ქალი გახლავთ. მას ოცნისის უნივერსიტეტის ნევროზის მართვის ფაკულტეტის იშვიათი ნევროზული მოვლენების მართვის სპეციალობით ბრჭყვიალა დიპლომი უდევს სახლში გამოუყენებლად, რადგან მისი სპეციალობით არასოდეს უმუშავია. ბრჭყვიალა დიპლომი უმაღლესი ხარისხის დიპლომია ოცნისის უნივერსიტეტში. ოცნისის უნივერსიტეტი კი საუკეთესო უნივერსიტეტად ითვლება ნიჭირეთში. სხვადასხვა ქვეყნიდან

დიდი შრომისა და წიგნებზე თავის რტყმის შედეგად, ძლივს თუ ხვდებიან ამ სასწავლებელში.

გვიანიკას მამა, ბატონი მაყუსი, ტრაბახა ადამიანია. თითქმის, რაც გვიანიკა დაიბადა, მას შემდეგ საზღვარგარეთ ცხოვრობს. ოჯახს იქიდან არჩენს. სანამ საზღვარგარეთ გაუშვებდნენ სამსახურიდან, მანამდე ოცნისის ფულის გათეთრების სამინისტროში მუშაობდა და წლების შემდეგ კარგი სამსახურის გაწევისათვის სინარტულას სათავო, ყველაზე ძლიერ მათეთრებელ სამინისტროში გადააწინაურეს. სინატრულა წამყვანი ქვეყანაა დედამიწაზე. მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა სიმდიდრის ქანდაკებაა, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს ყველა მდიდარსა თუ ღარიბს. მდიდრები ყურაღების ღირსადაც არ თვლიან ამ ქანდაკებას, ხოლო ღარიბები, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი შველით, მაინც დღედაღამ მასზე ლოცულობენ. ამ ქვეყანაში, ან სრულიად სრულდება ოცნებები, ან სამუდამოდ იმსხვრევა ისინი. ვინც იქ მოხვდება, ან აისრულებს ოცნებებს, ან სამუდამოდ დაემშვიდობება მათ. ხალხის მასა ორადაა გაყოფილი – ბედნიერები და უბედურები. საშუალო ფენა არ არსებობს. ამ მხრივ, სასტიკად გაუმართლა გვიანიკას მამას – ბატონ მაყუსს, რადგან ძალიან დიდ ფულს ათეთრებს და ამის გამო კარგადაც უხდიან. მაყუსი ოჯახს ფულის მეწყერში ახვევს, რაც ზედმეტზეც მეტია, არათუ ადამიანურად არსებობა რომ ჰქვია. გვიანიკას ყველაფერი ზედმეტი აქვს, რაც ადამიანს დედა-მიწაზე საარსებოდ სჭირდება, სანამ მამა-ზეცისკენ გაფრინდება, მაგრამ ის თვლის, რომ ეს მამამისის ფულია და უფრო მეტისკენ და მეტისკენ მიფორთხავს.

* * *

– ჩემი ჭკვიანი ბიჭი სად მიდის?

– სერტიფიცირების კურსებზე, ბე. კვალიფიკაცია უნდა ავიმაღლო.

– ჩემი სიხარული, ბებოს თვალის სინათლე! – ჩვეული გადაზედმეტებული სითბოთი ეფერება ბურღუნა ბებო გვიანიკას.

– ბებო, მგონი, მალე დამაწინაურებენ, კონსერვატორიის დირექტორის მოადგილედ.

– მართლა, ბებო? ჩემი პატარა მოადგილე. ბები, რა გემრიელად შეავსებ მაგ ადგილს...

– ბები, რაღა პატარა? – უხერხულად შეიშმუშნა გვიანიკა.

– ბები, ჩემთვის სულ პატარა ხარ, ბებიკუნა. სიტყვებით ლამის ჩაკოცნა და სიყვარულით დაბურღა ბავშვი.

* * *

ბურღუნა ბებო ბატონი მაყუსის დედაა. განათლებას არც ეს ქალბატონი უჩივის. მას ოცნისის ტექნიკური უნივერსიტეტის ტვინის ბურღვის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, რომლის ტექნიკასაც სასწავლებლის დასრულების შემდეგ ოჯახში იყენებს აქტიურად. ზედმეტად წკნატი ქალია, სულ უკმაყოფილო. ძირითადად რძალს უბურღავს ხოლმე ტვინს. ყველაზე ხშირად მასთან იყენებს საკუთარ ხელობას. ხშირად იმართებოდა მათ შორის გამანადგურებელი დუელოგები. ჯერ იყო და რძალს წკნატუნით გულს უნადგურებდა, უშვილო ხარო, მერე, ჩემი შვილის ღირსი არ ხარო. თან მთელი 15 წელიწადი საძინებლის კარს ვერ კეტავდნენ ნევრიკი და მაყუსი, რადგან დედამთილს უნდა შეემოწმებინა, სწორად სრულდებოდა თუ არა ბავშვის ჩასახვის რიტუალი, რადგან ერთი სული ჰქონდა სანამ გაბებიავდებოდა.

გვიანიკა პატარაობიდან თავისებური პუნწაკი ბავშვი იყო, მავნე სურვილებით აღჭურვილი. ამავდროულად, მუდამ ყურადღების ცენტრში იყო, როგორც სახლში, ასევე, მის გარეთაც. აქტიური კი არა და, მეტიც, ჰიპერაქტიური ბავშვი იყო. ამასთანავე, ყველა იცნობდა მისი განსაკუთრებული ოჯახის გამო. ადამიანის ცხოვრება ბოლომდე ბედნიერი როდია. ერთ სფეროში არ უმართლებდა გვიანიკას. ეს იყო ქალეთი.

პირველი სიყვარული, რომელიც მას ბაღში 3 წლის ასაკში ეწვია, გარდაეცვალა. მაშინ ყოველ დღე მინდვრის ყვავილები ან საჩუქარი მიჰქონდა მასთან. ზოგჯერ დაუხატავდა ხომე რაიმე

ლამაზს და მიურბენინებდა ბაღში. პატარა გოგოს ციდანა ერქვა. ნაზი და ლამაზი ქერაკულულებიანი გოგონა იყო, საცოდავი. ერთ დღეს კი, მისმა მშობლებმა ისე სცემეს, ისე სცემეს, რომ გარდაიცვალა, საწყალი. გვიანიკამ ისე ინერვიგულა, რომ დედას და ბებოს ერთი კვირა ცრემლების ღვრით ევედრა, მეც მცემეთ ისეო. თხოვნა რომ არ შეუსრულეს ოჯახში, ძალიან ბევრი იტირა, თავისი ცრემლები ნახევარლიტრიან ქილაში ჩაღვარა და მეორე დღეს ციდას სასაფლაოზე გადაღვარა. ასე მიეცა დავიწყებას პატარა ქალბატონი. მას შემდეგ ქერათმიანი გოგონებისკენ საერთოდ აღარ გაუხედავს.

მეორე სიყვარული შვიდი წლის ასაკში ეწვია სკოლაში. მის პარალელურ კლასში ერთი შავტუხა, შავთვალა და შავდალალა გოგონა იყო, რომელიც მუდამ ეშმაკჩუმჩუმურ თვალგამჭოლ მზერებს სტყორცნიდა გვიანიკას. ესროდა ხოლმე გულისდამბზარავ მზერას მოპირდაპირე კლასის კარიდან და იმ წამსვე მიიმალებოდა კლასში. გვიანიკას იმ დროს სირცხვილის ტანისამოსი ეცვა და ვერ აკითხავდა კლასში. ასე გაგრძელდა სკოლის დამთავრებამდე.

* * *

ჩაფიქრებული ტვინიანი ამჯერად ძველ პაციენტ ღაროს პალატაში შევიდა, რომელიც ნემსელის დამამშვიდებელ თერაპიას გადიოდა.

– რა გაწუხებს, აბა, გულით მითხარი. ნუ დუმხარ, ნახე, როგორ მოგეშვება?

– ზანზარასნაირი ოთხკუთხედფარიანი უახლესი მოდელის მერსენი მინდა.

– მერე შეიძინე, რა პრობლემაა?

– ფული არ მაქვს. რატომ უნდა ჰქონდეს მას ამდენი, და მე, – საერთოდ არა?

– გეთანხმები, შენც უნდა გქონდეს.

– ძალიან მშურს მისი.

– ჰო, მეც.

– ძალიან, ძალიან.

– ადამიანურია, მესმის შენი, კარგია, რომ ამბობ, სხვები მალავენ და იმიტომაა, რომ გულზე სკდებიან. რაც უფრო მეტს ამოთქვამ, მით უფრო დამშვიდდები. კარგი, აბა დაისვენე, სხვა დროს შემოგივლი.

დაავადების გაურკვევლობით გაოცებული ექიმი დაბნეულობის სტაბილურ ფაზაში იმყოფებოდა.

* * *

სამსახური მამამ გვიანიკას სინატრულადან შეუძინა. ნაცნობები ჩარია, ფულიც გადაიხადა, ძლივს მოაწყო. ოცნისის კონსერვატორიაში ჰობოიზე დაკვრის მასწავლებელია. მუსიკა ღრმად არ ესმის, მაგრამ უკრავს საშუალო დონეზე. მუსმოტრფიალე არც არასოდეს ყოფილა. უბრალოდ, საკმაოდ ფულიანი ადგილია, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს. ჰობოი სასულე ინსტრუმენტია, რომელიც სენტიმენტალურ და სევდიან გრძნობებს აღძრავს მსმენელში. ნიჭირეთის გრძნობადაცლილ საზოგადოებას სენტიმენტების აღძვრა ისე სჭირდება, რომ ხალხი ფულს არ იშურებს ამგვარი განცდების მოსაპოვებლად. ამ ადგილისთვის ათასობით ახალგაზრდა იბრძვის. ჰობოის ბუმია ამ ქვეყანაში. გვიანიკამ კი მამის ფულსახელწყალობით, სტაჟირება ამ საქმეში, სინატრულაში გაიარა, რათა არავინ შედავებოდა შემოსავლით გაზინპიტინებულ ადგილს. მას არაფრის ნაკლებობის გრძნობა არ ჰქონდა. ამჯერად, მხოლოდ მწვავე მინდალიზმი სჭირდა, რომელსაც ვერანაირი საშუალებით ვერ აცხრობდა.

გვიანიკას და მის ოჯახს უზარმაზარი, ორსართულიანი მოდური სახლი აქვთ, რომელსაც მამლის ელემენტები აფორმებს. ოცნისში სახლების ამგვარი გაფორმებები ხშირია. ეს ისე, უბრალოდ, გასახალისებლად.

როგორც ვთქვით, მამლის ელემენტი ჰქონდა ტიკის ორსართულიან სახლს. სხვენი იყო ბიბილოს ფორმის, სადაც გვიანიკა ჰობოიზე უკრავდა ხოლმე მეგობრებისა და მოსწავლეებისათვის.

გვიანიკას თავისებური ხასიათი უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ ამგვარი თავისებურებები სხვა მკვიდრთაც არ აკლდათ. გვიანიკას ტყუილები უყვარდა, რომლისაც ხშირად თავადაც სჯერო-

და, თავად ვერ გრძნობდა, როდის კვეთდა სიმართლის ზღვარს ტყუილისაკენ და – პირიქით. ერთი კლასელი მეგობარი ჰყავდა განსაკუთრებული, რომელიც მიუხედავად ამ ქალაქის მკვიდრთა ერთნაირობისა, მათგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული მგრძნობიარობით. ეს ადამიანი ძალიან მგრძნობიარე იყო და გულთან ახლოს მიჰქონდა ყველაფერი. შეიძლება, მისი ხასიათის ეს თვისება პოეტი მშობლებისგან იყო თანდაყოლილი. თან, მამის დედაც პოეტი იყო. ხელმოცარული, მაგრამ კეთილი ხალხი იყო ბოროტებადაცლილი სუფთა სულის.

„წუწუ“, – ასე ეძახდა მას გვიანიკა შემოკლებით. ისე კი მას წუწური ერქვა. წუწუს წყვილეთის უნივერსიტეტში გრძნობების მართვის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ამ სპეციალობით ოფიციალურად უმაღლეს საკამათოში შეიძლებოდა სამსახურის დაწყება, მაგრამ იქაც პატრონი იყო საჭირო, რომელიც მას არ ჰყავდა. ან ფული უნდა გადაეხადა, რაც მას არ ჰქონდა. ერთადერთი გამოსავალი ადამიანთშეუღლება იყო და ფული ამ ხერხით უნდა ეშოვნა. ამ უკანასკნელს კიდევ, ვერ იტანდა. სასწავლებელში ჩაბარების დროს, ამ ფაკულტეტზე შემთხვევით მოხვდა, სასწავლებელთა და ფაკულტეტებს შორის ერთ-ერთი წყვილეთის უნივერსიტეტი ჰქონდა მითითებული. საბოლოოდ, სადაც თავისუფალი ადგილი იყო და კონკურენცია ნაკლები, იქ მოხვდა. მოსაწყობად სულ რაღაც 2000 ჭუჭყინი კმაროდა, მაგრამ არ ჰქონდათ მის პოეტ მშობლებს. წუწურიც გაგებით ეკიდებოდა ყველაფერს. ღუღუნა ხასიათი ჰქონდა – ძალიან საყვარელი. მაგრამ რას იზამ, მისი ყოფა მრავალფაქტუალურად რთული იყო – უსამსახურობა, უმცირესი შემოსავალი, არანაირი პერსპექტივა.

* * *

– გულიანა, ყოფილი მთავარსარდალი როგორ არის? – იროლიმულად იკითხა ტვინიანმა.

– მტრის მთელი ჯარი გაწყვიტა. – ჩაიხინთრითა ეშმაკთვალა ექთანმა.

– როგორ არის, როგორ?

– კმაყოფილია. დღეს შვილიშვილი ჰყავდა სტუმრად.

– მერე?

– ომობანა ითამაშეს. – კვლავ ცელქი კისკისით გამოეხმაურა გულიანა ექიმს.

– ისევ? – იკითხა ტვინიანმა და პასუხის ლოდინის გარეშე, კითხვითი ნიშანივით მოკაუჭებული გავიდა ოთახიდან.

* * *

წყვილეთი ნიჭირეთის ერთ-ერთი ულამაზესი საპორტო ქალაქია. იქ სიყვარულის ზღვაა. სიყვარულის ზღვა სიყვარულისნაირია. ხან ნაცრისფერია – უიმედო, ხან წითელი – მწველი, ხან ვარდისფერი – მშვიდი. მოკლედ, გააჩნია, მთელი ქალაქი როგორ განწყობაზეა. ბოლო დროს რატომღაც სულ ნაცრისფერია. წუწუს წყვილეთში სწავლის დროს ერთი ჰაეროვანი არსება – ნარცია შეუყვარდა, უყვარდა ნარციასაც, მაგრამ აქ იყო რამდენიმე „მაგრამ“: ერთი ის, რომ წუწუს არ ჰქონდა სამსახური და ოცნისში სამსახურის გარეშე თავის რჩენა წარმოუდგენელი იყო; მას ერიდებოდა, რომ პოეტ მშობლებს ვერაფრით ვერ ეხიდებოდა ცხოვრების მძიმე ფერების შემსუბუქებაში; მეორე ის, რომ ნარცია ჯერ პატარა იყო და გზაზე იყო დასაყენებელი თავად. ნარციას კი ესენი არ ეპრობლემებოდა. ეპრობლემებოდა მხოლოდ ერთი ვიღაც, რომელიც მისი სურვილის მიუხედავად, გვერდიდან არ სცილდებოდა. წუწუს ამას ვერ ეუბნებოდა, – არ უნდოდა ეჭვიანობის ზღვაში გადაეშვა.

წუწურის კარგად ეცნობიერებოდა ის, რომ შემოსავლის გარეშე შექმნილი ოჯახი მალევე დაენგრეოდა. ამგვარი შიში მისი დის ოჯახის დანგრევამ გამოიწვია. სახლში ჰყავდა გამოთხოვილი და, რომელსაც ოჯახი უჭუჭყინობის გამო დაენგრა. (ნუ, იქ კიდევ მრავალი სხვა პრობლემის სუნი იდგა, მაგრამ ეს იყო უმთავრესი). წუწური კი ისეთი რომანტიული იყო, შიშობდა არ დაეკარგა სიყვარულით სავსე ჰაერი, ამიტომ ჯერ თავს იკავებდა ნარციას ხელის თხოვნისგან.

ნარციას სულსაცმელი – მოქნილი კოპწია გიტარასავით ტანი, რომელიც ჰაერივით მსუ-

ბუქად დასეირნობს მიწაზე, ჰარმონიულადაა შერწყმული ფაქიზ ხასიათთან, რომელიც დიდსა თუ პატარას ყველას ნარცისს აურის ციხეში ატყვევებს. გამხდარი და ჰაეროვანია ის. სულის ერთ შებერვაზე შეიძლება შორს გაფრინდეს და ეს პროცესი ისეთი ლამაზი იყოს, რომ ადამიანმა ხელი არც კი შეაშველოს. სრულიად ერწყმის გარესამყაროს, მაგრამ ამავდროულად, ყველასგან და ყველაფრისგან გამოირჩევა. წუწური კი არაამქვეყნიურად უყვარს, მიაჩნია რომ მისი სული წუწუს სულზე მიბმულია და ვერაფერი დააშორებთ მათ. დარდით დამძიმებულ წუწუს ხშირად მიაპყრობს თავის თაფლისფერ ფახულა თვალებს, შუბლზე ხელის ნაზი, მსუბუქი მოსმით ეამბორება და სიამოვნების ქვეყანაში გადაჰყავს მყისვე, შემდეგ ისევ დარდით ჩამოშვებულ ცხვირის წვერზე დააყრის უამრავ ფაქიზ კოცნას, რითაც დაჭრილ სულს უამებს და ანგელოზის ხმით ეუბნება: ნუ გეშინია წუწუ, მთელი ეს და ის ცხოვრება შენ გვერდით ვიქნებიო. საოცრებაა ნამდვილი.

მეტი რომ აღარ გავაგრძელოთ და საქმეზე გადავიდეთ, ერთხელ გვიანიკამ წუწურის პირობა მისცა, რომ მამამისს დაურეკავდა და დაეხმარებოდნენ სინატრულაში გამგზავრებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ყოველ ჯერზე კი, როდესაც წუწუ გვიანიკასთან მიდიოდა, ხან ეუბნებოდა ხაზია დაზიანებულიო, ხან ნომერი შეუცვლიაო და მალე გაგვაგებინებსო, ხან რას და ხან რას. წუწუს რა გზა ჰქონდა, ელოდებოდა იღბლიანი მომენტის შემოტევას.

გვიანიკა პუტკუნა ტიპია ტიკი-ტომარასავით. ჭამა-სმა უყვარს. ბავშვობიდან კარგჭამასმადიანია. არაფერს აკლებდნენ და ისეთი სქელი იყო, რომ პერანგებს ძლივს იკრავდა მუცელზე კონცერტების დროს. რამდენჯერმე, სხვადასხვა სიტუაციაში, გასკდომია კიდეც ღილი.

* * *

ექიმი ტვინიანი გამოვიდა თავისი კაბინეტიდან კლასიკური მუსიკის თანმხლები ნოტებით და და პაციენტის შფოთადიდებულ დედასთან და ბებიასთან მივიდა.

– პირველი, რაც თქვენს შვილს გადაუდებლად სჭირდება, ეს არის სწორი კვება. დიეტას თუ არ დაიცავს, ჩათვალეთ, რომ არ განიკურნება. ნუ, აქ კიდევ არის სხვა მრავალი წვრილმანი, რომელსაც მოგვიანებით დავადგენ, მაგრამ რაც სახეზეა და დაკითხვის რენტგენი არ სჭირდება, ეს დიეტაა. ხოლო ეს უზარმაზარი ღიპი, რომელიც მის მუცელზე უსაქმურად მოკომფორტკალათებულა, სავარაუდოდ, ამ დაავადების კერაა. საერთოდ, ერთ სამედიცინო საიდუმლოს გაგიმხელთ – ნებისმიერი დაავადება, რომელსაც ბოლომდე ვერ ვცნობთ, ციგრიტია. არსებობს მკურნალობის ორი ვარიანტი: პირველი – შიმშილი და მეორე – ოპერაცია. არჩევანი თქვენზეა. ჩვენ ჩვენი მხრიდან, ყოველგვარი სავარაუდო კერა უნდა მოვსპოთ.

– ვაიმე, შვილო! – აღმოხდა ბებიას და მდუღარე ცრემლებმა, რომლებმაც თვალებიდან იფეთქა, დამჭკნარი ლოყები დაუხეთქეს.

ხოლო პაციენტის დედა, ამჯერად ამათ გასაოცრად, სიმშვიდის ხავსს ეკიდებოდა.

– ბევრი ფულის ბრალია! – ბასრი ხმით გაჭრა სიმშვიდე ქალბატონმა ნევრიკმა. – ფულმა დაღუპა იგი. ყველაფერი მაყუსის ბრალია. ჩემი ქმარი ფულში გვაბანავებს მთელს ოჯახს. განსაკუთრებით კარგი კვების ამინდი იყო სულ ჩვენს ოჯახში და აი, ხედავთ, წაესაჭმელ-სასმელზედმეტა ბავშვს.

ეს სიტყვები მშვილდ-ისრიდან ზედიზედ ნასროლი ისრებივით მოხვდა ბებიას თავმოყვარეობას. გახეთქა ის და ბრაზი გადმოინთხა სალანძღავი კვესებით.

– სულელო, რას ამბობ! – ღრიალის შტორმში მოაქცია რძალი. – შენ უფულოსების ოჯახში უნდა შესულიყავი და ამოშიმშილგხდომოდა სული. – წაუსისინა და ისევ ექიმისკენ მიმართა მძვინვარების ნაპერწკლებით სავსე უზარმაზარი დრაკონისეული თვალები.

– ექიმო, – რაც შეიძლება მალე უნდა გავუკეთოთ ოპერაცია.

– ექიმო! – დედამთილთან ომში დამარცხებული ხმით წამოიძახა ქალბატონმა ნევრიკმა. – ამ

ოპერაციას რაიმე გვერდითი დარტყმა ხომ არ ახასიათებს?

ამ კითხვის გაგონებაზე ბებომაც სასმენ აპარატს ხმა აუწია.

– კითხვა ფრიად მესაინტერესოვა. სიმართლის ჭრილში რომ ვისაუბროთ, ჩვენს ექიმებს ჯერ ოფიციალურად არ დაუდგენიათ ოპერაციის შემდგომი დარტყმების სერია, მაგრამ ზოგადად ბუნებრივი რომ ყველაფერი კარგია, ამაში, ალბათ, თქვენც არ დაიშურებთ თანხმობის განცხადების შეტანას. იმედია, მიმიხვდით რასაც ვგულისხმობ... ქალბატონებო, ახლა მე თქვენს ბიჭს პალატაში შემდგომი დაკითხვითი პროცედურების ჩასატარებლად გადავიყვან, ეს ღამე, მას ჩვენთან უმღერებს „იავნანას“ და დააძინებს ჩვენი თვალცქერის პირობებში. ხოლო მანამ, სანამ აქ არის, მოიფიქრეთ, მკურნალობის რომელ ფორმაში ჩააგდებთ მას. თუკი ოპერაციის შემდეგ კვლავ გააგრძელებს ძველებურ საჭმელხარბიანობას, უფრო მალე გასუქდება და ორმაგ კრუნტვებში ჩავარდება.

ამ დროს, საავადმყოფოს შესასვლელი კარიდან კივილით შემოვარდა ერთი მანდილოსანი შვილთან და კრუნტვებიან მამაკაცთან ერთად.

ექიმი ტვინიანის ყურადღების ისრები ახლა ამ უცნაური სამეულისკენ მიემართა.

– ისევ ციგრიტი! – წამოიძახა მან და იქით გაეშურა, საიდანაც საზარელი შეძახილები და ხითხითის ხმა მოდიოდა.

მოკლედ იმ დღეს ციგრიტით დაავადებულთა რიცხვი საათობრივად იზრდებოდა.

* * *

რამდენიმე წლის წინ, ქალაქ წყვილეთში, ქმრები აუჯანყდნენ ცოლებს, მიზეზი: ცოლებმა უარი განაცხადეს 24-საათიან მომსახურებაზე და 95 პროცენტი სამსახურად გაიხიზნა. ყელში ამოუვიდათ ოჯახური იდილია და საზოგადოებრივ პრობლემებში გაიხლართნენ. საკმაოდ ნიჭიერადაც მიუდგნენ საქმეს და ნაყოფიერი შედეგების დემონსტრირებით დაიწყეს კარიეულად. ამან მამაკაცთა შეუგუებლობის მარში გამოიწვია, რაც შემდეგ სერიოზულ წყვილთა ბრძოლაში გადაიზარდა. ოჯახშებში მამაკაცებს აღარ ხვდებოდათ თბილ-თბილი კერძები, სუფთა ტანსაცმელი, მოწესრიგებული ოთახები და კიდევ მრავალი წვრილმანი. ქალებს უკვე არც ეცხელკერძებოდათ, არც ესუფთსახლებოდათ არც ეტანსაცმელრეცხებოდათ ძველი შემართებით. ამიტომაც თითქმის ყველა ოჯახი გაბზარული იყო.

– აღარ მჭირდება შენი დარეცხილი და დაუთოებული ტანსაცმელი, ცხელ-ცხელი საჭმელები, რომელსაც განსაკუთრებული სიამოვნების სანელებლებით მახვედრებდი, ამ ბოლო დროს, ოჯახში. აღარც შენ დალაგებულ ოთახში ყოფნაობა მსიამოვნებს. -კარგა მადიანი ყვირილით დაანაყრა ერთი ნახევრის ყურები მეორე ნახევრის ხმამ.

– კი, მაგრამ რატომ ბრაზობ? არ შეიძლება ეგ შარვალი შენით დააუთოვო? სხვა ქვეყანაში ყველა მამაკაცი თვითმომსახურებაზეა გადასული. თან, ამდენი წელია, შემინირა შენმა შარვლის ტოტებმა. ერთი და იგივე ყელში გამეჩხირა.

– ჰოდა, თუ მოგბეზრდა, წავედი მე! დიახ, წავედი! ვეტყვი და მალე წამიყვანს სწორედ ის ჩხირები, რომლებიც მაგ შარვლის ტოტებში დევს.

– სად წაგიყვანს, არ გადაგტყდეს ეგ ჩხირები, ვის რაში სჭირდება? ყველას ყელში გაეჩხირება ისინი. გგონია სხვებს ეხალისებათ? დღეს არც ერთ ქალს აღარ ეტოტება.

ეს ქალი და მამაკაცი ნარციას მშობლები გახლავთ, რომლებმაც ამგვარი შემთხვევების საფუძველზე განიზიდეს ერთმანეთი. ნარციაზე ამან უარყოფითად იმოქმედა. ამის გამო გულის ფიცარზე სევდამ გამოაყარა, რაც ქრონიკულ ალერგიაში გადაეზარდა. ოჯახური კერა თავზე ჩამოენგრა და ახლა მის ნანგრევებს თავისი უმწეო ცრემლებით ნამავდა. უყვარდა მისი შემქმნელი ორივე ნახევარი. პირველი ხანი ძალიან გაუჭირდა. ყოველ ღამით, როდესაც დაწვებოდა, სევდა მოერეოდა და მისი ფახულა თვალებიდან სასეირნოდ გამოსული ცრემლები ვარდისფერ ლოყებზე ასტეხავდნენ ხალისს. გულში მუდამ მუნჯი ტკივილი უღიტინებდა. მაგრამ რა

ექნა, ამავდროულად, წუწუს მდგომარეობასაც განიცდიდა. ახლა კი, განსაკუთრებით ამ დროს, მისი ძლიერი ჩახუტება ენატრებოდა, რომელიც მის გულისტკივილს ზარ-ზეიმით გააძევებდა და ლოყებზე მოპარპაშე ცრემლებს, მისი ძლიერი ხელის მსუბუქი შეტევით გააძევებდა ნარციას ავარდისფერებული ლოყებიდან.

და, აი, აამუშავა ნარციამ თავისი ახალი ამბების ხელიფონი და წუწუს წერილი გაუგზავნა შემდეგი შინაარსით: წუწუ, მართალი ყოფილხარ, ქორწინება სიყვარულის მტერია. მენატრები, ახლა ძალიან მჭირდები. მინდა, გულში ჩაგიკრა. ჩამოდი, გთხოვ... ჩემი სიცოცხლე ხარ!

ცრემლაბაზანიანი თვალებით მიაცილებდა თვითმფრინავს, რომელსაც სევდის ბარათი ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰქონდა. თვითმფრინავს ნარციას ისედაც პატარა გულის მცირე ნატეხიც აეკიდა გზაში.

რომანტიული და მგრძნობიარე წუწუ ბარათის წაკითხვისთანავე გვიანიკასთან მივარდა რამდენიმე ჭუჭყინის სასესხებლად, რათა ნარციასთან გამგზავრებულიყო.

– რა აზრი აქვს გამგზავრებას? რაკი ქალი მოგწერს, ჩახუტება მინდაო, ამიტომ მენჯისამოგდებით უნდა გაიქცე მასთან? – დივანზე წამოწოლილმა, მუცელზე ხელდაკრეფილმა, გაბრექილმა გვიანიკამ მარცხენა წარბის აწევით სიმკაცრენარევი ირონიით ჰკითხა წუწუს. – ნახვით რა ეშველება? ტყუილად ხარჯავ გზის ფულს.

– თუ მასესხებ, მალევე ჩაგასესხებ. ჩემი და ხელფასს აიღებს ამ დღეებში და ვალში არ დაგრჩები. თან, რაღაც შანსი ჭუჭყინის შოვნის, მეც მაქვს. რა ვქნა, ძალიან არ მომწონს ამის გაკეთება, მაგრამ მაინც გავაკეთებ და გადაგიხდი.

ერთხელ, წუწუს ოჯახში ერთი კლიენტი მოუვიდა. მან მაძღარი უარით გაისტუმრა ის, მაშინ მამამ გამბედაობა მოიკრიბა და ახსნა-განმარტებითი მორბილრიდებული ხმით ერთი-ორი წინადადება ზრდილობიანად უთავაზა შვილს.

– შვილო, ტყუილად იტანჯავ თავს. რაღაც უნდა გააკეთო იმისთვის, რომ იარსებო. გაიხარო და სხვებიც გაახარო. რაც უნდა ეცადო, სრულიად სუფთა მაინც ვერ გახვალ ამ ცხოვრებიდან. ჩვენ მიწაზე ვცხოვრობთ, მიწა კი ჭუჭყითაა სავსე და ის თავის წილს მოითხოვს. – პირველად აღმოხდა ამგვარი შეგონება მამამისს და თავისი მწუხარებანარევი რეალისტური გამომეტყველებიანი თვალები სწრაფად მოაცილა მისი შვილის ფუჭად მეოცნებე შავ გამჭვირვალე თვალებს. და კიდევ დაუმატა: – რაც გინდა ის აკეთე, ოღონდ დაიმახსოვრე: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა რომ გაგიკეთოს სხვამ შენ – ანუ, არ მოუკვდე შენიანებს!

იმისათვის, რომ სიტუაციას გაურკვევლობის ფარდა ავხადოთ, გეტყვით ერთ რამეს. წუწურის ფულის „კეთება“ შეეძლო. ხო არ დაგვიწყებიათ, რომ მას გრძნობათა მართვის სპეციალობა ჰქონდა და ძალიან ძლიერი იყო ადამიანთშეუღლებაში, მაგრამ მას ეს საქმე მიუღებლად, და უფრო მეტი, სარისკოდაც კი მიაჩნდა. მას ისე შეეძლო ადამიანის გრძნობებზე ემოქმედა, რომ შეეუღლებინა. ეს პროცესი თვითონ მისთვის საზიანო იყო, რადგან ძალას კარგავდა და გონება ეფიტებოდა. ხშირად მოდიოდნენ მასთან ორმოციანებში შეგოგმანებული ორივე სქესის ნახევრები. ზუსტად ერთი ამგვარი ნახევარიზმით შეპყრობილი მამაკაცი აკითხავდა სახლში და სთხოვდა, რაიმე გაეკეთებინა მისთვის. წუწუს თვალში კი ეს ადამიანი, ზუსტად რომ ვთქვათ, სიმპათიის გარსს ვერ სწვდებოდა. თან, ეს საქმე იმიტომაც არ მოსწონდა, რომ დროის გარკვეული მარწუხიდან გათავისუფლების შემდეგ, ისევ ბინძური წყალი გადაესხმებოდა. ვიღაცას რაღაც არ მოეწონებოდა ოჯახში და მას საყვედურის კომპლიმენტებით აავსებდნენ, რაც გარდაუვალი სიმღერა იყო. იმდენად მგრძნობიარე იყო წუწუ, რომ ამის გამო თავისი პროფესია სძულდა და ის ნახევრებიც ეცოდებოდა, ვინც მას აკითხავდა. მაგრამ ზოგჯერ იმას ფიქრობდა, რომ ერთის მხრივ მადლიერების დროებით სამსახურშიც დასაქმდებოდა მისი მუდმივი ლანძღვის ანაზღაურებით.

* * *

როდესაც კიდევ ერთი კრუნტვიანი ადამიანი გამოჩნდა თვალთახედვის არეში, ექიმი ტვინიანი დაბნეულობის კიდევ უფრო სქელ აბლაბუდაში გაება. აირია. არ ეგონა, ეპიდემია ასე სწრაფად თუ გაიღვიძებდა. სათვალეები ცხვირზე ჩამოსრიალებოდა და მისი გასწორების თითიც კი დაბნეულობას განიცდიდა. ნერვულობისაგან ნაოჭებდაძაბული შუბლი აუპრიალდა, რადგან კუთხეებში მარილისფრად აელვარებულ თმებში ოფლის წვეთებს გამიშვი-დამაკავე აეტეხათ.

მეორე პაციენტს კოცნებმა დააყარა, რის შემდეგაც მწვავე კრუნტვებში ჩავარდა. ხითხითებდა, ხითხითებდა, ხითხითებდა, ხითხითებდა სიცილის ამოვარდნამდე. მისმა ხითხითმა საავადმყოფოს კედლები სიცილისგან დაბზარა. ზოგ ადგილას ბათქაშიც კი ჩამოიყარა.

– ციგრიტის აცრა სასწრაფოდ და შემდეგ კლასიკური მუსიკა ჩავურთოთ! – გადასძახა დაბნეულობადამარცხებულმა ექიმმა ექთან გულიანას, რომელსაც მიუხედავად ამგვარი დაძაბული სიტუაციისა, ფრჩხილებზე ლაკის წასმა მოესწრო და ახლა გაშრობით სამუშაოებს ატარებდა. ცოტა ჭკუაზე რომ მოვა, დაკითხვის რენტგენი გადავუღოთ და იქნებ, კრუნტვის სავარაუდო მიზეზი დავადგინოთ. კრუნტვის ამ ფორმას სირთულის აღმატებითი ხარისხი ეტყობოდა.

* * *

– დედას გვიკუნა, სად მიდის ჩემი სიხარული? – ნაზი, ტკბილი და სიყვარულით გატენილი სიტყვები სტყორცნა დედამ.

– გასაუბრებაზე მივდივარ კულტურისა და ძეგლთა და აღორძინების სამინისტროში.

– რა გასაუბრება, ვის უნდა გაესაუბრო?

– რა და, ამას წინათ ბიო რო გავაგზავნე, თავისუფალი ადგილი რო იყო... იქნებ, კიდევ დავიმატო ახალი სამსახური...

ოთახში ბრაზმორეული ბებო ფეხისფანცქალით (აფანცქალებული ფეხით) შემოსწრაფიალდა.

– ბები, გვიკუნა, მე რატომ არ მითხარი, ამხელა საქმეს რომ შეჭიდებიხარ? ერთ-ორ ვარგ რჩევას მოგცემდი, დაგარიგებდი – რა თქვა და როგორ.

შენიშვნა მწარე სილად მოხვდა გვიანიკას მარჯვენა ლოყაზე, მაგრამ მოითმინა და ზრდილობანარევი საპასუხო საყვედურით შეუტია.

– ბებო, მე უკვე დიდი ბიჭი ვარ და ვიცი, რა მე-რა-სად-როდის და როგორ-ება.

– გვიკუ, წუწუსაც ხო არ შეუტანია განცხადება ამ ადგილზე?

– კი, დედა!

– საიდან გაიგო, მაგას ხომ არ ჰყავს ნაცნობები?

– რა ვიცი, დე, ჩემს წინააღმდეგაა ყველაფერი. განგება საპროტესტო აქციებს მიწყობს.

– კიდევ ვინმემ შეიტანა?

– არა, მგონი.

– მაშინ ჩათვალე, რომ ეს ადგილი შენია. წუწურის არც შენნაირი გამოცდილება აქვს და არც პატრონი. მაყუსის ფულის სახელი ყველამ იცის, შენ არ ინერვულო.

– ჰო, მეც მაგის იმედი მაქვს. თან ხო იცი, უფრო მეტი შემოსავალი მჭირდება იმისათვის, რომ ახალი სახლი ავიშენო და დავოჯახდე.

– მინდალა რას ფიქრობს, იცი? დაგთანხმდა უკვე?

– არა, ის ჯერ უარზეა, ხო, ვიცი, თავს იფასებს ახლა, მაგრამ ახალ სახლს რომ ავაშენებ, ნახავთ, იქით შემეხვეწება ოჯახის გაშენებას.

– ბებო, ეგ გოგო რაში გჭირდება, თავი დაანებე, შენ უკეთესის ღირსი ხარ. – ბებოს არც ერთი გოგოსთვის არ ემეტებოდა მისი გვიკუნა.

გვიანიკამ საათს დახედა და წამოიძახა:

– ვაიმე, ათი მრგვალდება, მეგვიანება. გავიქეცი ახლა მე, თორემ წუწური დროზე მივა და მე ვეღარ გავიმარჯვებ ამ ადგილს.

– კარგი რა, ბებო! სად ოცნებებში გაფანტული მფრინავი წუწუ და სად შენ – დედამიწაზე მძიმედ და მყარად მოკალათებული პრაქტიკული ადამიანი. ნუ გეშინია, ბებიკუნა, მაგაზე ნუ ფიქრობ. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ აგირჩევენ და რომ მოხვალ, რომ გიყვარს, იმ საჭმელებით გაჟღენთილ სუფრასაც დაგახვედრებ, უფ, უფ!

გვიანიკამ ბებოს და დედას ნაჩქარევი მზერა თბილად სტყორცნა, თვალები პაჭუნით შეუთამაშა და კარი უკან ჩამოიტოვა. ბებომაც სასწრაფოდ ჩაიცვა და უკან გაყვა გვიანიკას სათვალთვალიეროდ. უნდოდა, პირველს გაეგო გვიანიკას გასაუბრების ტრიუმფალური შედეგი. საჭმელებზე საზრუნავი რძალს მიასხა და მაღალ ქუსლებზე შემხტარი, ხორცით ოთხმოცი და სულით ოცი წლის ბებო ჩუმად აეკვალდაკვალა შვილიშვილს. გვიანიკაზე ადევნება არ იყო რთული. ძლივს მიასავსავებდა მის სხეულს, რომელიც საფუარით გაფუებულ გემრიელ ცომს ეპაექრებოდა. ნაცრისფერი შარვალ-კოსტიუმი და ყვითელი პერანგი ეცვა, რომლის საყელოსაც იასამნისფერი ყელსაჭერი ასვამდა სრულყოფილების წერტილს. მიქუსქუსებდა უკან ბებო და სიამაყის ნერწყვებს ყლაპავდა. ასეთი შვილიშვილი დედამიწის არც ერთ მხარეს არ ეფიქრებოდა. გარეთ კი, მზით გამოპრანჭული მშვიდობისფერციანი დღე ბუნების ფერად სავარძელში უდარდელად მოკალათებულიყო და სიამოვნებისაგან განაბული კოპწია ჩიტების „კრიმანჭულს“ უსმენდა.

* * *

მინდალა ერთ-ერთი უმდიდრესი თანამდებობის პირის ქალიშვილია. მომხიბლავი გარეგნობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ, სამაგიეროდ, ტვინი გადმოსდის და ცხოვრების საკმაოდ გემოვნებიანი სტილი აქვს მეგზურად, ამის საშუალებას კი სოციალური პირობები აძლევს. უამრავი მამაკაცი ცდილობს მისი მეშვეობით მამამისის ქონების საჭესთან მოხვედრას, მაგრამ მამა ჯერ ჯანსაღად ინარჩუნებს პოზიციას. განსხვავებული განზრახვით არის გვიანიკა, რომელსაც ნამდვილი სიყვარულის წყალდიდობა ჩაუდგა გულში და არა ფულით გაღვიძებული ანგარების გუბე. ფული და თან მამის ნაშოვნი, გვიანიკასაც წაზედმეტებული ნორმით აქვს.

მინდალა მან პირველად თავის კონცერტზე შენიშნა, მამამისის გვერდით, წინა რიგში, როგორც მდიდრებს და თანამდებობის პირებს ებედებათ ხოლმე. სწორედ ის პირველი ნახვა იყო, როდესაც გვიანიკას გულში სიყვარულის წვიმა წამოვიდა და გადატბორა მისი სამფლობელო. ამან მთელს სხეულს ჟრუანტელის სასიამოვნო ქარი მოჰბერა. ამგვარი განცხრომის მტევნებში ნებივრობის დროს ვერ გაუძლო სხეულმა მოულოდნელ უცხოემოციურ აღმაფრენას და გვიანიკას პერანგის ღილი ასწყდა. ბედნიერი გრძნობა ღილის აწყდომით გამოწვეული სირცხვილის ნიაღვარში ბანაობის შედეგად ჩამოერეცხა გვიანიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰობოის დამკვრელი სადავეები შეინარჩუნა და საქმე გააგრძელა. ამ გამოსვლის შემდეგ, მას კოცნებმა პირველად გამოაყარა. ამგვარი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად სხვა კონცერტებზე გამოსვლების დროს გვიანიკა უკვე წინასწარ გულის ოყნას იკეთებდა, რათა კოცნები არ გამოყროდა. მინდალას ალერსი მოარჩენდა, მაგრამ მინდალა მას ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა, რადგან მას წუწუს მიმართ ჰქონდა ინტიმური გრძნობა, ბევრჯერ განუცდია თვალებით ორგაზმი მასთან. წუწურის კიდე, ნარციას სიცხე ჰქონდა და, ასე...

მინდალას მამა უზენაესი საკამათოს თავმჯდომარეა. ვერავინ შეედავება მას ამ ადგილში, რადგან ის დამსახურებულად აირჩიეს ამ სკამის გასათბობად, კამათის დროს მას ბადალი არ ჰყავს. განა მხოლოდ სამსახურში? ყველგან კამათობს – სახლში, ეზოში, მეზობლებში, თანამშრომლებში, მეგობრებში, დიდებში, პატარებში. ასდის ენაზე და აზროვნებაზე და, რა ქნას. კამათობს და მოსწონს თავი კამათში. ყველას თავში ურტყამს თავის კომბალივით გათლილ არგუმენტებს და მიაჩნია, რომ ადამიანმა ის საქმე უნდა აკეთოს, რაც უყვარს და მნიშვნელობა არ აქვს, რა ანაზღაურების ხარჯზე. ამ მხრივ, გამართლებამ სხივი სტყორცნა მას, რადგან მის საქმეს დღეს სიძვირის ცეცხლი უკიდია და მას და მის ოჯახს ფუფუნების ალში ხვევს. ყველას როდი უმართლებს ასე. ხოლო რაც შეეხება მის მრავალჭუჭყინიანად შეფასებული ქონების ნუსხას, ის მას ბაბუასგან ჩამოუვარდა შთამო-

მავლობით. საკმაოდ განათლებული პიროვნებაა ბატონი კამათა. უყვარს კითხვა, მრავალი წიგნი აქვს კამათის შესახებაც წაკითხული. გარდა ამისა, კლასიკასაც კითხულობს, მისი საყვარელი წიგნია „ადამიანი, რომელიც სულ ტირის“. თავადაც წარმოუდგენია ცხოვრება ისე, როგორც ამ წიგნშია, და თვლის, რომ რაც უფრო მეტს ტირის ადამიანი, მით უფრო ნაკლები სატირალი აქვს. და კიდევ, ორი ფილმი უყვარს განსაკუთრებით: „რაც გინახავს, რატო ნახე?“ და “„სერტიფიცირებული ქმარი“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იზიდავს, რადგან ზუსტად ისეთი სიძე სურს თავისი ქალიშვილისთვის, როგორიც ამ ფილმშია. პირველად, როდესაც ამ ფილმს ტელევიზორში უყურებდა, ამ პიროვნების თვისებებით იხიბლებოდა; იხიბლებოდა, თუ როგორ აღწევდა ცხოვრებაში წარმატებას ამ სერტიფიკატების წყალობით, და ამ დროს, სიმამრი როგორი სიამაყეგანმტკიცებული დადიოდა სიძის მიღწევებით. მსგავსი სიძე სურს მინდალას მამასაც! დიახაც! რატომაც არა?! მაგრამ მსგავსი კანდიდატი არა და არ მოუყვანია ჰორიზონტის უსასრულო ბოლოებს. ერთადერთი ქალიშვილისთვის ამქვეყნად არავინ ემეტება. კამათას თითქოს თვალი გვიანიკას ოჯახზე უთამაშებს, მაგრამ აქაც თვალს აკავებს, რადგან მისი საყვარელი ფილმის გმირის მსგავსებას მხოლოდ ერთი პუნქტით აკმაყოფილებს. ალბათ, უკვე გასაგებია, რითაც. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კამათა კარგად იცნობს თავისი შვილის არჩევანს, მაინც სასტიკად არ ეთანხმება მას. მუდმივი კამათის ბრჭყალებში არიან მამა-ქალიშვილი მოქცეულნი. ხან ერთი ისვრის საკამათო კამათელს, ხან – მეორე. ქულების დაგროვებით ხან ერთი ჯაბნის, ხან – მეორე. ფრე არასოდეს გაუგორებიათ. ბოლო გაგორებამ კი კამათას გამარჯვების ტრიუმფალური ქუდი დაახურა. ასე წააგო წინა დღით ბრძოლა მინდალამ მამასთან 12:2. თუმცა, იყო ერთი და უძლიერესი შემთხვევა, როდესაც მინდალამ სასტიკად დაამარცხა მამა სიტუაციაზე მუხანათურად მორგებული არგუმენტით. ეს არგუმენტი კი, გრძნობით შევსებული წერილობითი ბლაკი გახლდათ „მე მიყვარს წუწური“, ააფარებდა ამ ფურცელს გულის კედელზე და ნოკაუტში აგდებდა მამას, რის შემდეგაც კამათა ორი დღის განმავლობაში უძლური იყო და კამათის ძარღვი აღარ უტოკდებოდა. სულ იმას იხსენებდა, თუ როგორ დააქორწინა დედამ ახალგაზრდობაში ფულის გამო ქალზე, რომელიც ოდნავაც ვერ უღიტინებდა გულში. დედა კი სულ კოდალასავით უკაკუნებდა ტვინში – „შენს ქონებას გამყარება სჭირდება ქალის ქონებითო“. სადღაც გულის შუაგულში უთანაგრძნობდა მინდალას, მაგრამ თავის პოზიციებს მკაცრად ამაგრებდა კბილებამდე შეიარაღებული ჯარით, რომლის ლოზუნგია „ქონება ქონების წილ“. მინდალაც ხშირად უწყობდა ამ ჯარს საპროტესტო აქციებს. არა და არ იტეხდა მამა კამათს და უარზე იყო, თუმცა გულის სიღრმეში სევდისნაპერწკლებიანი ვულკანი ნელ-ნელა იღვიძებდა. დედა, ამგვარ ბრძოლებში, რა თქმა უნდა, დაბნეული პაიკი იყო და ბევრს ვერ ეხმარებოდა ვერც თავის ქმარს და ვერც – ქალიშვილს.

* * *

გასაუბრება 10 საათზე იყო დანიშნული. გვიანიკასა და წუწურის გარდა ამ სიცარიელის შევსება კიდევ ერთ ბიჭს უნდოდა. სრულიად უცხო იყო. ოცნისელობა არ ეტყობოდა, ჩაცმის სტილითაც განსხვავდებოდა და საუბრის კილოთიც. მოკლედ, ხუთი წუთით ადრე მოსულმა წუწურიმ ბევრი უტრიალა მესამე კანდიდატს, მაგრამ მისი წარმოშობის დამადასტურებელ კვალს ვერ მიაგნო. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ის ბიჭი, გასაუბრების კომისიის ერთ-ერთი წევრის ძმისშვილი იყო წყვილეთიდან, რომელიც თავის ქალაქში, სულ რაღაც, ერთი თვის წინ დაბრუნებულიყო სინატრულადან. იქ გაუბედურებულა საცოდავი. ფულსამსახურდახარბებული დაეხეტებოდა, ბიძამისმა კვლავ სამშობლოში დააბრუნა იმის გარანტიით, რომ დაასამსახურებდა. თან, ის იშვიათი იდეების წარმოქმნისათვის ხელის შემწყობი ფაკულ-

ტეტის სტუდენტი იყო ერთ დროს, სანამ გაემგზავრებოდა. და, აი, სამი კანდიდატი:

1. გვიანიკა – ჯიბეგასიებული;

2. წუწური – მეოცნებე;

3. ნამეტა – დიპლომ-აცდენილი, უცხოეთის ცივ ამინდში გაყინული, რომელსაც ამ შემთხვევამ იმედის კოცონი დაუნთო.

ახალგაზრდები ცალ-ცალკე უნდა შესულიყვნენ გასაუბრებაზე. როდესაც წუწურიმ გვიანიკა დაინახა, გაკვირვების ინერციამ მას თვალები კინაღამ ამოუგდო გუგებიდან.

– გვიანიკა, შენ აქ საიდან?

– სამსახური. – მზა, მანქანური პასუხი ამოვარდა გვიანიკას სამეტყველო აპარატიდან ავტომატურად.

– სამსახური გინდა შეიცვალო?

– არა, რატო უნდა შევიცვალო? სახლის აშენებას ვაპირებ და დამატებითი შემოსავალი მჭირდება. ცოლი მინდა შევირთო, დროა უკვე. მინდალას ისეთ სახლს ავუშენებ, დედოფალს რომ შეეფერება და მერე გამოიქცევა თავის მეფესთან. მეფეს აღარ შეუძლია, კოცნები აყრის, როდესაც მასზე ფიქრობს ან ხედავს. ენატრება მისი კოცნაძუნწი ტუჩები და მზერაგასხვისებული თვალები.

– ჰო, მესმის შენი, იმიტომ, რომ მეც მენატრება ნარცია სიგიჟემდე, არ ვიცი, რა ვქნა, მაგრამ შენ ცოდო ხარ. ნარციას ვუყვარვარ და დამელოდება, აი, შენ კი, უნდა მიხედო საქმეს. შენ უფრო გჭირდება ეს ადგილი, მე აღარ შევალ გასაუბრებაზე.

– აუ, მართლა? ნამდვილი ძმა ხარ! დიდი მადლობა! დღეს დავურეკავ მამაჩემს და შენს თაობაზეც დაველაპარაკები, ვთხოვ, დაგეხმაროს. ხო იცი, სტაჟირებას რო გაივლი იქით, მერე აქ სულ სხვა სამსახურებრივ კატეგორიაში მოხვდები და უფრო ჯანსაღი შანსი გექნება.

– ჰო, – თანხმობის ნიშნად დაუქნია სევდით დამძიმებული თავი წუწურიმ გვიანიკას და სამინისტროდან გავიდა.

ასე გაანიავა გვიანიკამ სამინისტროდან ერთ-ერთი კონკურენტისგან გამოწვეული ზედმეტობის ჰაერი.

* * *

გასაუბრების შედეგებით მძიმე ტომარამოკიდებული წუწური დარდის გასაქარვებლად პირდაპირ ნარციასკენ გაემგზავრა. ხუთსაათიანმა გზამ მოგონებების განსხვავებული სასმისით მონატრების სითხე მიართვა. ახლა უკვე უჩვეულოდ ენატრებოდა ნარციას ფაქიზი თითების ექსკურსია მის სახეზე, რომლებიც აუღელვებლად დასეირნობდნენ მის შუბლზე, შეცურდებოდნენ საფეთქლის ხან ერთ ყურეში, ხან მეორეში. ზოგჯერ შეიჭრებოდნენ იქვე, ახლობელ ტყეში, სადაც რამდენიმე თეთრი ხე იდგა და რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა ნარციას. ხანგრძლივი ტური სახეზე გრძელდებოდა, მოალერსე თითები ერთი ღირსშესანიშნავი ადგილიდან მეორეზე ინაცვლებდნენ. ყურეებს შორის გადაჭიმულ იპოდრომზე კი, ნარციას სამეტყველო აპარატის ჭიშკრიდან იყრებოდა უამრავი კოცნა, რომელიც ვარდის სურნელივით ეფინებოდა. უყურადღებოდ არც ორი პატარა ფახულა მზის კარიბჭე რჩებოდა. ტურის მეორე და დასკვნითი ნაწილი ოდნავ ქვემოთ სრულდებოდა. შეაჩერებდა ხოლმე თავის სასუნთქ მექანიზმს ორ პატარა გამოქვაბულთან, სადაც სულების შეუღლების ადგილი იყო და ამ დროს გაძლიერებული სუნთქვის შედეგად განსაკუთრებული მოწვევით გააქტიურებული ბაგეები ემთხვეოდნენ ყველა სათაყვანებელ ადგილს, ბედნიერების ალით აგიზგიზებულ წუწუს დარდის სამოსს ტანთ აცლიდნენ და ორ ადამიანს ბედნიერების ასტრალურ ქვეყანაში ნეტარების ეტლით მიაქანებდნენ.

მიაქანებდა ასანთის კოლოფებივით ჩამწკრივებული ვაგონების მთელი ასხმა და უმძაფრებდა საოცნებო ადამიანთან შეხვედრის სურვილს. იმისათვის, რომ მალე ჩასულიყო სათაყვანებელ არსებასთან, წუწუ დროს დაუმეგობრდა და თავის გასაჭირს გზადაგზა ფიქრებით უყვებოდა, თავს აცოდებდა. უყვებოდა, თუ როგორ იტანჯებოდა საყვარელი ადამიანის გარეშე. დროც, თითქოს, თანაუგრძნობდა მას და ასანთის კოლოფებივით ჩამწკრივებულ ტრანსპორტს სწრა-

ფად მიაქანებდა წყვილეთის მიმართულებით. დროსთან მეგობრობით გართული წუწუ ნაცნობი ადგილების მოძრავმა სურათებმა შეაქანა. ეს სადგურის სურათები იყო, რომლებიც გზადაგზა, ოდნავ განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი კადრებით იცვლებოდნენ, რამდენი კადრი გამოყო აქედან წუწუმ, ვერ გეტყვით, მაგრამ რომ ეთვალსიამოვნა მის მზერაზეც შეინიშნებოდა.

ლამაზი იყო ღამის წყვილეთი, რომელსაც ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული, გაჩახჩახებული ლამპიონები დაეყენებინა მნათობმცველებად. ეს კიდევ უფრო რომანტიულ ელფერს აძლევდა არემარეს. ამგვარი გარემოებით გაორშმაგებული გრძნობითა და გულებიანი თვალებით აღჭურვილი წუწუ მანამ, სანამ ნათესავთან ღამის გასათეთრებლად მივიდოდა, ნარციას სახლისკენ წასიყვარულდა.

დამრგვალებული შუაღამე იყო, და ამიტომ კარზე ზარი აღარ შეაწუხა და კაკუნი მიაგზავნა. კარი ნარციას დედამ, ქალბატონმა სიამამ, გააღო.

– წუწუ! – თბილ-ღიმილ-შეზავებული გაკვირვებული სახე შეახვედრა წუწურის ნარციას დედამ. როდის ჩამოხვედი? ნარციამ იცოდა შენი ჩამოსვლის შესახებ?

– არა, ქალბატონო სიამა, მოულოდნელად მინდოდა, გამეხარებინა, სად არის?

– მამამისთან წავიდა ამ საღამოს. შემოდი და გავაგებინოთ, აქ რომ ხარ.

– არა, არა, არ შეაწუხოთ, ნათესავთან წავალ და ხვალ დილით გამოვივლი.

– კარგი, როგორც გენებოს, წუწუ. ოღონდ ჯერ მოკლედ მითხარი, თქვენთან, ოჯახში, როგორი ამინდია?

– ყველაფერი ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმში ზის. არაფერი განსხვავებული. – ნაცნობი სევდით ამოაფრქვია წინადადებები. წავედი ახლა მე და ხვალ გამოვივლი. -ემოციადაცლილმა თქვა ეს, უკუ რამდენიმე ნაბიჯით კარს მოსცილდა და დამშვიდობების ნიშნად ხელით ჰაერი დაუტალღა ქალბატონს, შებრუნდა და იმედგაცრუებული სურვილით ნათესავისკენ ნაძალადევად წანაბიჯდა.

ქორწინებაგახუნებული ოჯახი ჰქონდა წუწურის ნათესავს. ამ ადამიანს სახეზე ქრონიკული ტყვიისფერი დასდებოდა, რადგან თავის სასტიკ ცოლს მკაცრი კონტროლის რეჟიმში მოემწყვდია. ამგვარ სიტუაციაში დარჩენა, წუწურისთვის არ იყო მარტივი, მაგრამ რა ექნა, სხვა ნათესავი წყვილეთში არ ჰყავდა.

დილით დედას ნარცია სახლში მოეყვანა და თვალებავარსკვლავებული დახვდა წუწუს. მყისვე მკლავების ალყაში მოაქცია სათაყვანებელი ადამიანი. დაპატიმრებული წუწუ კი, რამდენიმე წამი გაუნძრევლად ტკბებოდა ტყვეობის ნეტარი განცდით და, ამგვარ ტყვეობაში ყოფნის დროს, თავის დაღწევაზე, არც ერთი არ ფიქრობდა.

წუწურიმ ნარცია მუზეუმში წაიყვანა, იქ, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. იმ დღეს ცნობილი წყვილეთელი მხატვრის შედევრი იყო გამოფენილი, რომელსაც ძალიან ბევრი მნახველი ჰყავდა. „ორი სული“ – ეს იყო ცაში აჭრილი ორი მოსიყვარულე სული, მას შემდეგ, რაც მათ მიწიერი სამოსელი დატოვეს. ამ ნახატის შინაარსს შემდეგი ლეგენდა უქმნიდა მარადიულობის საფუძველს: ქალი, სახელად სიცო და მამაკაცი სახელად ცხლე ჩავარდნილან ერთმანეთის სიყვარულის ზღვაში და იძირებოდნენ ვნებებში, მაგრამ წინააღმდეგობის ვულკანი ამოხეთქვისათვის ემზადებოდა ორივეს ნათესავების მხრიდან. ამის გამო არ შეეძლოთ, ფრთები შეესხათ თავიანთი სიყვარულისთვის. ეს მიზეზი კი, სიცოს ბაბუას მიერ ცხლეს ბებიას გაუპარტიულება იყო. ამის გამო გადაკიდებული ორი გვარი ახალგაზრდებს არ აძლევდნენ ბედნიერების კოცონთან ჩაღუღუნების საშუალებას. ერთი-მეორეს სასიკვდილო გაყინვით ემუქრებოდნენ. ამიტომაც, ორმა შეყვარებულმა გადაწყვიტა უმაღლესი კლდიდან გადმომხტარიყვნენ და მათი სიცოცხლე და სიყვარული სიკვდილის შემდეგ სულით გაეგრძელებინათ. ამ სიყვარულის უკვდავსაყოფად ხალხმა კლდეს სიცო-ცხლე შეარქვა. ამ ლეგენდით შთაგონებულმა მხატვარმა თა.გუ.-მ შექმნა ნახატი, რომელიც მართლაც ენით აღუწერელი საოცრება იყო. – ხასხასა

ლურჯ ფონზე ორი მზისსხივისფერი მოალერსე ლანდი ერთმანეთთან მისულხუტებულნი დაფრინავდნენ მამა-ზე-ცაში.

ამ ნახატით აღტაცებულმა წუწუმ ვიღაცის მზერით გამოსხივებული სითბო იგრძნო. უკან რომ მოიხედა, თვალები იმ არსებისკენ ისროლა, რომელიც იგივე სურათს უთვალცქეროდა. ახლა მისმა თვალებმაც წუწუს თვალებში დაიდეს ბინა. გულწრფელი ღიმილი, რომელიც ორივეს თვალებში ერთდროულად დაიბადა, მათი ერთმანეთის გულების დასატყვევებელი იარაღი აღმოჩნდა. მათი თვალები ჩაეკაკლნენ ერთმანეთს და, ასე დაიწყო მათი საწრიალტრფიალო ამბავი. ისინი ისევ აქ მოვიდნენ და მათი სულიერი შეუღლების შვიდ წლისთავს ნაადრევად აღნიშნავდნენ.

– მიყვარხარ! – სიყვარულით გამოთვალთაყვანებული მზერით უთხრა ნარციამ წუწუს.

– მე უფრო! – არ შეარჩინა სიტყვა წუწუმ და მის სიცოცხლეს ორივე თვალზე კოცნა დააყარა. ასე გადასცა ნარციამ თავისი ქალური სინაზითა და სისუსტით გადატენილი თვალები წუწუს ბაგეებს დროებით მფლობელობაში. ამ წუთს ისინი თავიანთი სულების შეუღლების ადგილზე იდგნენ. მუზეუმიდან ზღვისპირა პარკში გადაინაცვლეს. გზად აფენდნენ უამრავ ამბავს, რაც მათ გადათავხდომოდათ და ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს და განცდებს აპკურებდნენ. ამასობაში მთელი დღით გადახურებული მზეც უძირო ზღვაში აპირებდა ჩაყვინთვას დილამდე გასაგრილებლად, როგორც სჩვევია ხოლმე. ამ სანახაობას, ასევე, ჩვეულებით დაღლილი და ნაფეხურებით გამოთაყვანებული კენჭების ბატალიონი ესწრებოდა, რომლის ნაწილიც, სურვილისდა მიუხედავად, ექცეოდა ზღვის უბოროტო ტალღების სერიებში. იქვე მოჩანდა ხეთა ჯარი, რომელიც გულმოდგინე ერთგულებით ამაგრებდა სანაპიროს გამძვინვარებული სიოს შემოტევისაგან. ამგვარი ბუნებრივი რიტუალის წევრები, ორი წყვილი ტუჩის მოალერსე დუელის მოწმენი გახდნენ. ასე აცილებდა მზეს დასავლეთისაკენ ერთად შეკრული ორი ადამიანი, რომლებიც უკვე ბედნიერების ღრუბლებისკენ მიფრინავდნენ და სიხარულით ცის უსასრულობის წყაროს უერთდებოდნენ.

* * *

ოცნისში დაბრუნების დღეს, წუწუმ თავისი გაფუჭებული საოცრებათა კოლოფი შეაკეთებინა და თავისი ახალი ამბების ყუთი გახსნა, რომელშიც უსტარი დახვდა მინდალას მამისგან. უზენაეს საკამათოში იბარებდა თავის კაბინეტში, მეტი არაფერი ეწერა. მოულოდნელობისაგან გაოცებული წუწუ სიტყვადაკარგული გავიდა სახლიდან და მისამართჩართული ნაბიჯებით წარობოტდა დანიშნულების ადგილისკენ.

საკამათოში მოკამათე ხალხის წინასაკამათო რიგი იდგა. რამდენიმე ბატონ კამათასთან შესვლის რიგს ამაგრებდა.

იქვე, ერთ-ერთი უზარმაზარი ოთახიდან კამათის ცხარე სანელებლებიანი სურნელი იფრქვეოდა, რამაც წუწუს ცხვირი კართან მიიპატიჟა. ყელსაჭერიანი ადამიანებით გამოტენილი ოთახი დუღდა და თუხთუხის ხმა გარეთ ორთქლად იპარებოდა.

– ოცნისში სჯობს დადგმა.

– არა, არა, რას ლაპარაკობ, რატო ოცნისში? წყვილეთში უფრო მეტი შემთხვევაა. მე პირადად იქაური ვარ და ვიცი.

– იქნებ სიმონეთს მოუხდეს, თან იქ ნაკლები აღმშენებლობა მიდის და უფრო გამოცოცხლდება ქალაქი.

– არა, ეგ აზრი საკამათო სიიდან გამორეცხილია. – ბასრი წვერით მოჭრა კამათის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა.

– მოდით, ხმების რაოდენობით გადავწყვიტოთ, სად დაიდგას.

– აბა, რამდენია ოცნისში დადგმის მომხრე?

– ერთი, ორი, სამი, ოთხი... რამდენია წყვილეთში დადგმის მომხრე? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა... გასაგებია! გმადლობთ, მეგობრებო! ქანდო ცვილაძის პროექტს დაჭეჭყილი ბოთლის წყვილეთში დადგმის შესახებ დამტკიცებულად ვაცხადებ.

ქანდო ბევრი წარმატებული თანამედროვე პროექტის ავტორია.

– კი, მაგრამ დაჭეჭყილი ბოთლი რა დასადგმელია? ვერ გამიგია, როცა ერთჯერადი, დაკუჭული ჭიქები არსებობს, ან თუნდაც, სიმინდის შიშველი ტარო უფრო მიმზიდველი იქნება.

– მე პირადად, მზესუმზირის ნაფცქვენს დავდგამდი.

– არა, არა, რა სისულელეა, ყველაზე გონივრული...

– რას ლაპარაკობთ! – წინადადება შუაზე გადაუწყვიტა კოლეგას. – ბოთლები ყველაზე მეტი რაოდენობითაა ზღვის პირას, უპატრონოდ მიგდებული. ამის შემდეგ, იქნებ...

ამასობაში რიგისგან გათვალთავისუფლებულმა მდივანმა ქალბატონმა, რომელმაც წუწუს თვალი მოჰკრა, საჩვენებელი თითი თავის მხარეს მოუკაუჭა „მოდი“-ს ნიშნად. შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა, გელოდებაო. კაბინეტის კარი გაუღო და ბატონ კამათას თვალით მიახვედრა, მოვიდაო, რის შემდეგ აკუწკუწებული წუწუ შეუშვა მასთან.

ბატონ კამათას თვითკმაყოფილების იერი ათამაშებოდა სახეზე. თვალები ჯოჯოხეთის ცეცხლის ალივით უბრიალებდა და არასახარბიელო ახალი ამბის მოლოდინში კვესებს ყრიდა.

დაბნეულობის სამოსში გამოწყობილი წუწუ ხვდებოდა, რომ მომავალი პრობლემები ითესებოდა, რომლებიც სულ მალე გაიხარებდნენ კამათას მიერ განოყიერებულ ნიადაგში.

– გამარჯობა! – ინერტული ზრდილობით ესროლა მისასალმებელი სიტყვა წუწუმ.

– გაგიმარჯოს, წუწური, კარგია, რომ დროულად მოხვედი, თორე უკვე ნერვულობის მუწუკები მაყრიდა, და ამასთანავე, ნაირნაირმა ფიქრმა გადაუფრინა ჩემს გონებას. გაფრთხილების ტონი თითქმის გაბატონებულიყო მის ხმაში.

– დღეს, როგორც კი ვნახე თქვენი წერილი, დაუყოვნებლივ გამოვმანქანდი თქვენკენ, შეიძლება, გავიგო ჩემი აქ დაბარების მიზეზი?

– ამის დამალვას არც ვაპირებ. წუწური, შენმა საქციელმა ძალიან გამაკვირვა. გასაუბრების დღეს ვგულისხმობ. ასე რატომ მოიქეცი?

– უკაცრავად, ბატონო კამათა, თუ შესაძლებელია და არ გამიბრაზდებით, ამის მიზეზი, მირჩევნია, ჩემთან იყოს ტყვეობაში.

– კარგი, ჩემო კარგო, როგორც გენებოს. მაშ, მოდი ჩემი შავი ყუთი გავხსნათ. კომისიამ იმ დღეს ბევრი იმსჯელა და ის ადგილი შენ დაგიმიზნა. ოღონდ ჯერ სტაჟირებას გაივლი სამი კვირით საზღვარგარეთ და შემდეგ ოფიციალური ბრძანებით დაინიშნები იმ სიცარიელეს შესავსებად. ამ დღეებში მე და შენ ერთად გავემგზავრებით ინგლანდიაში, თან ინგლანდიური ენის კურსებსაც გაივლი პარალელურად, რაც შემდგომში, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში დაგჭირდება. აბა, ახლა მითხარი, თანახმა თუ ხარ შემოთავაზებულ წინადადებაზე.

მოულოდნელობის ალში გახვეული წუწუ კიდევ უფრო გაგუდა განცვიფრების ჰაერმა. ენა სამეტყველო ყუთში ჩაეკეტა და ტვინეთმაც რამდენიმე წამით ჭიშკარი მიუხურა. შემთხვევით გონის ანკესს რომ წამოეგო, შემოსავლის აუცილებლობის ფიქრებმა ნელ-ნელა ჩამოუარა თავში, რომელიც სამეტყველო აპარატს მისწვდა და მომენტალურად ამოხეთქა ბგერები „დ ი ა ხ“, რასაც რამდენიმეჯერ იგივე სიტყვა დაბნეულ ექოდ მოჰყვა.

– მაშ, ხვალ გელოდები. ჯერ წასვლასთან დაკავშირებული წვრილმანები მოვაწესრიგოთ და შემდეგ გავემგზავროთ სტაჟირებაზე.

ამის შემდეგ წელგამართული დგომით წუწურის ხელშეკრულების ხელი ჩამოართვა და დაბნეული წუწური კარისკენ მიაცილა, გაუღო კიდეც, დაემშვიდობა უკვე მშვიდობადაკარგულ წუწუს და გაუშვა ფუფუნების ნივთებით გადაზედმეტებული თავის შუშხუნა კაბინეტიდან.

მწუხრის რექვიემით სულდამძიმებული წუწური კი ახლა უმისამართოდ დაყიალობდა ქალაქის გალაბირინთებულ ქუჩებში. საკუთარ სახლს დიდი ხნის ბოდიალის შემდეგ მიაღწია. ამ დროს მის ტვინეთს არეული ფიქრების მთელი კოლონა აკიდებოდა. ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა – იყო ეს იღბლიანი დარტყმა თუ – პირიქით – უიღბლობის შემოტევა. არა, ქვეცნობი-

ერში პასუხს კი იცნობდა, მაგრამ საკუთარ თავს ჯიქურ არ უტყდებოდა. ფიქრებთან არცთუ ისე დიდი ხნის პაექრობის შემდეგ გადაწყვიტა, ბედის ბორბალს აკვროდა და გაჰყოლოდა საითკენაც ეს უკანასკნელი გააგორებდა. ამასთანავე, ნარციას გამო უფრო მეტად შეწუხდა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ის ბიჭი არ ეშვებოდა. სულ საჩხუბარი მანქანის საჭეს ხო არ მომართავდა. ბოლოს და ბოლოს, ხო უნდა წამოეყვანა ნარცია თავისთან? ამიტომ, ყველანაირი მდგომარეობის საბუთზე იყო ხელის მომწერი.

* * *

პაციენტების ქარბუქისაგან ტვინაწეწილი ექიმი ტვინიანი თავშესაფარს ვერსად პოულობდა. ამას კიდევ ის დაემატა, რომ კლინიკაში სკამზე დაწებებული მამაკაცი მიიყვანეს, სავარაუდოდ, თანამდებობის პირი. ალბათ, გადაწინაურებას ელოდებოდა და ჩარევა იყო საჭირო.

– სკამხიბლი! სკამხიბლი! – ხმის სიხარულიანი კანკალით წამოიყვირა ექიმმა, რადგან მალევე, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, თვალით დაადგინა, რომ პაციენტს სკამხიბლი სჭირდა. ფაქტი ხომ საჯდომზე იყო.

ექთან გულიანას მრავალი მსგავსი პაციენტი ჰყავდა გასტუმრებული და ახლაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, თვალები ბრჭყვიალა ნაწილაკებით გადაეტენა. სკამხიბლის მკურნალობის შემდეგ უშუალოდ მისი მოსავლელი იყო პაციენტი. საკმაოდ ბევრ ჭუჭყინს ატარებდა თვალ-ხელის აპარატში.

– სკამათალისათვის მოამზადე სასწრაფოდ. – გადაულაპარაკა გულიანას, რომელსაც ვერა და ვერ დაეცხრო სიხარულისგან აბრჭყვიალებული თვალების ბზინვარება.

სკამათალი – ქირურგიული ჩარევაა სკამის საჯდომიდან მოსაშორებლად. ეს გახლავთ ათლის რვასაათიანი პროცესი. ნუ, ძილოზით მარტივია, ვერაფერს გაიგებს პაციენტი. ამ დროს ძილოზის ღრმა დოზა კეთდება, რადგან ამდენხნიან ოპერაციას ზედაპირული დოზა არ კმარეყოფა.

* * *

ამ დროს გვიანიკასათვის დაკითხვიზაცია ჩაეტარებინათ და დაედგინათ, რომ ციგრიტის საშუალო ხარისხთან ჰქონდათ საქმე. ნუ, რთული არა, მაგრამ არც ისე მარტივი იყო მაინც მისი მკურნალობის პროცესის წარმართვა.

ბებიამ და დედამ საბოლოოდ ოპერაცია არჩიეს სწრაფი შედეგების მისაღებად და შესაბამისად, დაიწყეს მზადება. მოსამზადებელი პროცესი ერთ კვირაზე გადაიჭიმა, რადგან ჯერ კლასიკური მუსიკის სამდღიანი თერაპია ჩაუტარდა, ხოლო, დანარჩენ ოთხ დღეს კლასიკოსი მწერლების რამდენიმე შედევრიც გადაუსხეს. ყველაფერი ეს კი იმისათვის, რომ ოპერაციის დროს ორგანიზმს იმუნიტეტი ჰქონოდა და სისულელეებს, ტყუილებს, კრუნტვებს, ბზიკვინტებს და მისთანებს უღალატოდ შებრძოლებოდა.

* * *

კამათასთან შეხვედრის დღეს, წუწუ დიდი ხანი ვერ მიეკარა ძილეთის ქვეყანას. მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი წუთებით გაიტაცა ის სიზმარაულმა. ხოლო, იქ ყოფნაობის დროს ისევ ბატონ კამათას შეხვდა ჰაეროვან პორტში, სადაც მას ბილეთები გადაეცა ინგლანდიაში გასამგზავრებლად და იქვე განეცხადა, რომ საქმეების მოულოდნელი შტორმის გამო ვერ მიყვებოდა თვითონ და რომ მის ნაცვლად თავის ქალიშვილს, მინდალას, აყოლებდა. როგორც ჩანს, კამათას გულში დიდი ხნის წინათ ძალით მიძინებულმა სიყვარულის ვულკანმა, როგორც იქნა, იფეთქა და შვილს დახმარების სცენარი ლანგარზე მიართვა. ასე გაემგზავრნენ წუწუ და მინდალა ერთად. გზად ბევრი ისაუბრეს არაფერზე და თან ყველაფერზე, რაც ცხოვრებას გაცხარებული ტემპით იქეთში მიაქანებდა. ჰაეროტრანსპორტით ძალიან მყუდროკალათებულად იმგზავრეს და დაფრენისთანავე ვაზელინით აპრიალებული ყურყუმელა მანქანა დახვდათ, რომელმაც სტუმრები გასასტუმრებელში დატოვა. კამათას სპეციალურად ერთი ორა-

დგილიანი ოთახი დაეჯავშნა მათთვის. თავდაპირველად, მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ, ხოლო შემდეგ, გეგმების ცვლილების მიუხედავად, ოთახის საკითხი იგივეობაში დარჩა. რაც შეეხება მინდალასა და წუწუს, მათ, გამოდის, რომ ერთ ოთახში უნდა ჩაეტარებინათ რამდენიმე ღამის მათეთრებელი სამუშაოები. მოკლედ, რომ ვთქვათ, კამათას ესეც განუზრუნჭვრეტია. მინდალა ეშმაკისეულად ასიხარულებული ათვალიერებდა ოთახს, რომელშიც საქალწულე ინსტიტუტს ვერაგულად ააფეთქებდა. დაღლადაცემულებმა ცოტა ხნის განმავლობაში დასვენება შეაწუხეს და შემდეგ სადილს წაეთამაშნენ. სადილის გვერდით სასიამოვნო, სურნელოვანი, მათრობელა სასმელები ჩამოედინებოდა. ალკოჰოლმა აბახუსებულები ორთატინგიცში გაიწვია და საპირისპირო სქესის ჟინით აპილპილებული ადამის შვილები ერთმანეთის ალერსის სამსახურში დროებით დაასაქმა. მაგრამ საბოლოოდ გაფორმდა კიდეც ქორწინებამდელი მიღება-ჩაბარების აქტი მინდალასა და წუწუს შორის. აქტს ხელი მინდალას თამადობით მოეწერა, რომელიც ალავერდით წუწურისთან გადავიდა. წუწუმ კი, მათი ახალი ურთიერთობის სადღეგრძელო საწოლში, ცინცხალი-დაწურული წითელი ღვინით გადაღვარა.

ასე დაიწყო ოცნებათა მსხვრევის თვე წუწუსთვის. მისს სასმელით აბუჟუნებულ ტვინეთს ფიქრების ზვინი დაეშალა და უკვე ოცნებების კოცონი დაენთო, სადაც მინდალას მთავარი ოცნება ბრიალებდა.

მეორე დღეს გამარჯვების ალამაფრიალებულ მინდალას ბედნიერების ქარი გულს უწეწავდა. სიხარულსწრაფვით მამას დაუკავშირდა და ახალი ამბის ხელშეკრულების შესახებ ამცნო. შვილის ბედნიერი ხმით უბედურებაგაქარწყლებულმა მამამ ვალი საკუთარ წარსულს შვილის განცხრომით გადაუხადა. მსხვილი ახალი ამბავი ტვინეთში დაუყოვნებლივ წვრილად გადაახურდავა ქორწილის მზადების გეგმის სახით და წამგაუფლანგავად, როგორც სჩვევია ხოლმე, მის განხორციელებას შეუდგა. ამგვარ აბლაბუდაში ჩაჭერილი წუწუ კი, ვერ ხვდებოდა ენარციებოდა თუ არ ენარციებოდა. ერთ რამეს კი დანამდვილებით მიხვდა, ვერასოდეს ვერაფერს გაექცევი, მთავარია, არ გამოგეკიდოს. პრობლემური ფიქრებით დაორსულებული გამოსავალს ვერა და ვერ მშობიარობდა, ვერ მშობიარობდა და სიტუაციასთან ჭიდილში უცებ გონება გაუნათდა, თვალი გაახილა და, როგორც იქნა, დატოვა სიზმარაული. სიზმარაულის დატოვებით კი დარდის სიბინძურე ტანიდან ჩამოიბანა სიცხადის შხაპის ქვეშ. ირგვლივეთი მოათვალიერა და მოთვალწონებული სიცხადის შედეგად, შვებით ამოიჰაერსუნთქა.

ნახევრად გამოფხიზლებული წუწური უცებ სააბაზანოში შევარდა, სარკეს ქურდულად შეაპარა თვალი. თავისი ტყუპისცალის ნორმალური სახემეტყველების დანახვაზე წყალი მიისხა, კიდევ ერთხელ ამოიჰაერსუნთქა და სააბაზანო სამუშაოებს შეუდგა. სისუფთავისგან ტყავგაცლილი ისევ უკან გამოვიდა, საუკეთესო ტანისამოსი გამოალაგა, ბევრი არჩია და ბოლოს, განსაკუთრებულად ტანმოკაზმული, გარეთ გავარდა გვიანიკასკენ.

– ძალიან მერიდება, მაგრამ სასწრაფოდ მჭირდება ფული. თუ გაქვს საშუალება, რამდენიმე კვირით 100 ჭუჭყინი მასესხე და ძველ ვალთან ერთად დაგიბრუნებ.

მართალია, გვიანიკას სიძუნწის არასასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ტვინ-ტანში, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია და უმალ ჯიბეს დაუარა განდაგანა. ამას პლუს, ჩვეულებრივზე მოწყენილიც ჩანდა.

– ა, მინდალასთვის საჩუქრის ყიდვას ვაპირებდი, მაგრამ მოვაკლებ და მერე ისევ დავამატებ. შენ რომ დამიბრუნებ, იქ ჩავდებ, საიდანაც ამას დავამატებ. რაღაცას ვიზამ. მოჩვენებით და თან დაზანტულად აფაფხურდა გვიანიკა.

ათჭუჭყინიანის რამდენიმე ათეულის დასტა ამოიღო, ათი ვარდისფერი გადათვალა და წუწუს გაუხელწოდა.

– მომილოცავს! – გრილგულად და ნაძალგვიანევად დაუმატა. გვიანიკა ისე იქცეოდა თით-

ქოს წუწურისთან ერთად ყოფილიყოს სიზმარაულში.

წუწუს ჯერ ვერ გაერკვია, თუ რას ულოცავდა გვიანიკა, მაგრამ მალევე მიხვდა და მილოცვა ისე აუგდო სახურავზე, რომ იქიდან არც ჩამოვარდნილა.

– მადლობა, გვიანიკა! – უთხრა და ფეხსწრაფვით გავარდა გარეთ. ქუჩაში ფასიანი მანქანა გააჩერა და რკინის სადგურისკენ გაემგზავრა.

* * *

– აი, ეს უკვე ჭუჭყრეტია. კრუნტვები არ აღენიშნება, მხოლოდ ფულის შოვნის მიმართ არის გრძნობაგაშმაგებული. – ნახევრად გარკვევით გადაუბურდღუნა ექიმმა ტვინიანმა თავის უცვლელ მედდა გულიანას, რომელსაც თავისი ყავისფრად მოკონტურებული ტუჩები საკოცნელად გაემზადებინა, მაგრამ ექიმს არ ეკოცნებოდა. მხოლოდ იმ ფიქრით იყო შეპყრობილი, კიდევ ერთი პაციენტი როგორმე ეფექტურად გაეტარებინა დაკითხვის რენტგენში. თუმცა, სიტუაციაზე შეუიარაღებელი თვალით დაკვირვებითაც დაადგინა რომ ჭუჭყრეტთან ჰქონდა საქმე, რადგან პაციენტი მხოლოდ ერთი სიტყვით ბოდავდა – „ჭუჭყინი“.

– ექიმო! – უცებ მჭრელი ხმით წამოიძახა კოცნაგაწბილებულმა მოკონტურებულტუჩებიანმა გულიანამ, რაზეც უმალ სმენა ცქვიტა ტვინიანმა. ახლა უკვე, მოკონტურებულმა ტუჩებმა ჩაიჭირეს ექიმი ტვინიანის კითხვითინიშნებიანი თვალები.

– დღეს ბევრი იმუშავეთ! – ისევ გაიხსნა ყავისფერი მაცდური ტუჩები. – მოდუნება არ გაწყენთ. – უკვე აეშმაკებული, ფანქარმოხატული და ჩატუშული თვალებიც მოიშველია ექთანმა.

– ჰო... – ექთნის გამოწვევაში დამარცხებული ხმით წარმოსთქვა ექიმმა და სმენასთან ერთად მზერაც უფრო გააფაციცა.

ტრიუმფალური სვლით დაგულიანებულმა ექთანმა, ახლა უკვე, მსუნთქავი მკერდიც ჩართო მოქმედებაში ექიმის გაბრუებული მოთმინების სათაგურში შესატყუებლად. ქათქათა ხალათიდან ამოსავარდნად გამზადებული ორი პირმრგვალა ბურთი კიდევ უფრო დაიბერა და ექიმის მამაკაცური მოთმინებაც უმალ გახეთქა...

რამდენიმე ათეულ წუთში უკვე თმაალეწილი ექიმი და კონტურგადადღაბნილი, ბურთებგადათელილი, თვალებწაშლილი ექთანი საკუთარი სხეულების უწესრიგობას ებრძოდნენ. ექიმი თმებს და შარვალს ისწორებდა, ხოლო ექთანი, რომელიც ბრძოლაში ბოლომდე დაიხარჯა, სახე-აღდგენით სამუშაოებს შეუდგა, რომლის ხელსაწყოები იქვე, მაგიდაზე, მოთავსებულ პატარა ხელჩანთაში ეწყო.

უკვე ფსიქიკადამშვიდებულნი შევიდნენ პაციენტის პალატაში მკურნალობის კურსის დასანიშნად. პაციენტს და და დედა ახლდნენ, რომლებიც სხეულმოუსვენრად ელოდებოდნენ ამ უჩვეულო ექიმური წყვილის გამოჩენას.

– მოკლედ, სიმპტომებიდან ჩანს, რომ ჭუჭყრეტის დაავადებაა, მაგრამ იოლ ფორმებში და რადგან ასეა, ორი, ორ-კვირიანი მკურნალობის კურსი საკმაოდ სასარგებლო იქნება. ჭუჭყის რეტს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დავჩაგრავთ.

– როგორ უნდა ვუმკურნალოთ?

– ერთი თვით სრულიად ჭუჭყინის და ფუფუნების ნივთების გარეშე გავუშვებთ ღარიბულ ქოხში საცხოვრებლად ღარიბი მეზობლების გარემოცვაში. მსგავსი პაციენტი ბევრი გვყოლია და მკურნალობის ეს კურსიც წარმატებულად არის აღიარებული, ამასთანავე, არც გვერდითი დარტყმებია დაფიქსირებული. შესაძლოა, დროთა განმავლობაში რამდენჯერმე დასჭირდეს კურსის გამეორება, მაგრამ, სამაგიეროდ, სამუდამოდ განიკურნება ამ დაავადებისგან. ახლა მთავარია, გული ავამოქმედოთ, რომელიც კარგა ხანია გაჩერებულია. – თქვა ექიმმა და გვერდით პალატაში გადაინაცვლა სხვა პაციენტების პატიპუტიტინის მოსასმენად.

– გვიანიკა, როგორ ხარ დღეს?

– მშვენივრად, ბატონო ექიმო.

– მუცელი გტკივა?

– აღარ.

– ეს წიგნი მთლიანად წაიკითხე?

– არა ჯერ, მაგრამ მალე დავასრულებ.

– როგორ მოგწონს?

– კარგია, მაგრამ გოგონა მეცოდება ძალიან.

– რას იზამ, ასეთი სასტიკია ცხოვრება.

– კი, მაგრამ ცხოვრებას ადამიანები ჩვენივე ხელით ვხატავთ. საღებავები ჩვენს ხელშია და ფერების არჩევანიც ჩვენზეა.

– კარგია, გვიანიკა, კარგი. გააგრძელე კითხვა. ეს დღის ბოლომდე დაასრულე და მერე ისევ გინახულებ. გშია?

– არა, არ მშია, საჭმლის დანახვა არ მინდა...

– დღეს ჭამე რამე?

– არა, არაფერი ჯერჯერობით.

– არ შეიძლება, ცოტა მაინც უნდა ჭამო.

– კარგი, ბატონო ექიმო.

დაკითხვის რენტგენის სურათით კმაყოფილი ექიმი მალევე გავიდა გვიანიკას პალატიდან.

გვიანიკას საწოლის გვერდით, მადის აღმძვრელ მაგიდაზე, ნაირნაირი კერძი იწონებდა თავს. ქალბატონ ბურღუნას მიჰქონდა და მიჰქონდა მსუყე საჭმელები, მაგრამ გვიანიკას შევიწროვებული შიმშილი ვერც ერთს ვერ იტევდა. მხოლოდ სისადავეში გამოპრანჭული ბოსტნეული და ხილი იმსახურებდა მისი კუჭის სიმპათიას.

ექიმი ტვინიანის გასვლის დროს ხელსავსე ბებო და დედა გამოჩნდნენ. ბებოს მზერა უმალ კერძებით გაჭედილ მაგიდას შეასკდა და გაიბზარა. პირდაპირ გვიანიკასთან წამოიწყო საუბარი. პარალელურ რეჟიმში გაიმართა ექიმისა და დედის ორთალოგი კარს უკან.

– გვიკუნი, ეს რა არის? – წყენა-ბრაზიანად ხმამაღლა ამოიკვნესა ბურღუნა ბებომ სავსე მაგიდის დანახვაზე.

– რას გულისხმობ, ბებიკუნა?- თბილი და ვითომ მიუხვედრელი, მიამიტი და თან უძლური ხმით უპასუხა გვიანიკამ.

– საჭმელი არ გაჭამეს? – კიდევ უფრო გააძლიერა ბებომ კვნესა.

– არ მინდოდა, ბე.

გულიდან ამომთბარი სევდიანი თვალები ჩაუსახლა ბებიას უაზროდ მზრუნველი თვალების გუგებს და მდუღარე ბრაზი გაუნელთბილა.

– მშიერი ხარ, ბებიკუნას გვიკუნა?

– არა, ბე, არ მშია!

– რო არ გიჭამია, ბებო?

– არ მშია, ბე?

– როგორ არ გშია, ბებო, არაფერი გიჭამია!

ხოლო დედის მზერა ექიმის კმაყოფილმა იერმა მიიზიდა

– ექიმო, როგორია გვიანიკას მდგომარეობა? – ჩვეული მღელვარებით, მაგრამ ამჯერად, ნერვოზის სადავეების კონტროლით იკითხა შფოთდამცხრალმა დედამ შვილის მშვიდი თვალების დანახვაზე.

– ყველას გასაოცებლად სტაბილურზე უკეთესი. ჯერ მსგავსი შედეგი არ გვქონია, მაგრამ ეს არ არის დასასრული. დროა საჭირო და მოფრთხილება, და რაც...

– არაფერს დავაკლებთ! – ნერვული ტუზით გააწყვეტინა სიტყვა ლაპარაკჩართულ ექიმს. – არაფერს დავა...

– და რაც მთავარია, სიმშვიდე! – სვლა გადაუჯოკრა ექიმმა, რითაც მიახვედრა, რომ ტიკისთან ურთიერთობას ჩვეული ფორმით ვერ გააგრძელებდნენ.

– სიმშვიდე!!!! – მეორე ჯოკერიც ცხვირწინ აუფრიალა ექიმმა.

დედამ მიხვედრილობისგან თავი მორცხვად ჩახარა და ტანსიმსუბუქით შევიდა პალატაში.

– როგორ ხარ, დე? – იკითხა დედამ ხელოვნული სიმშვიდით.

– უჭმელია ბავშვი, ვერ ხედავ? – უხეშობა არ დაიშურა ბებომ.

– ჯერ არ მშია, მშვენივრად ვარ. ორის დასაკმაყოფილებელი პასუხი გასცა გვიანიკამ.

– ხო არ გცივა, დე? – ახლა უკვე ბუნებრივად მოწვეული სიმშვიდით იკითხა დედამ.

– უკვე დავახურე მეორე ადიალი, კიდე დაგიმატო? – ნევრიკს პასუხი მისცა, ხოლო გვიანიკას კითხვა გაუორმაგა.

– აღარ მცივა. – ამჯერადაც ორივეს უპასუხა ერთად.

– კარგი, შვილო, კარგია.

– თქვენ როგორ ხართ, ხო არ ნერვულობთ?

– კი ბებო, აბა, არ ვნერვულობ?

– არა, შვილო. – სინქრონულად ორმა განსხვავებულმა პასუხმა გაიჟღერა.

– ყველაფერი კარგადაა, მეთვალხუჭება და ცოტას დავიძინებ, კარგი?

– მშვიდად იძინე, შვილო. – ფონი მოუმშვიდა დედამ ძილისთვის.

– კარგი, ბებო, დაიძინე, არ გადაიღალო.

ასე დაასრულა ბებომ სხვადასხვა ხასიათში გამართული სამთალოგი.

ოპერაციის მეორე დღეს გვიანიკა წუწუმ ინახულა. უჩვეულო სითბო მოდიოდა გვიანიკასგან.

* * *

– სწრაფად, ციგრიტის აცრა! – უკვე საღრიალო ზარბაზანი დაუშინა ექიმმა ტვინიანმა ექთან გულიანას, რომლის ტყვიაგაუმტარ გულგრილობას სასაუბრო ტონის ვერანაირი კალიბრის იარაღი ვერ აზიანებდა. ექთნის სამოსელში გამოკოხტავებული, თვალ-ტუჩ-ფრჩხილ მოხატული გულიანა აჩქარებული, პრანჭია ნაბიჯებით შეკაკუნდა ექიმის კაბინეტში და უკვე წამლიანი შპრიცი გამოიტანა დერეფანში, სადაც კიდევ ერთი პაციენტის ადიდებული ხითხითის ჯებირს გამაგრებითი სამუშაოებით აკავებდა ექიმი და პაციენტის ორი დაბნეული მეგობარი.

ბიჭიკო პროფესორიშვილი უკვე მეორედ მოხვდა საავადმყოფოში ექიმ ტვინიანთან. ახალგაზრდა, 37 წლის მამაკაცს პირველ ჯერზე სკამხიბლი სჭირდა. მაშინ ჭორი უნის პრორექტორი იყო და რექტორად აწინაურებდნენ. ოპერაციამ წარმატებულად ჩაიარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროგრესი განუცდია და ახლა უკვე ციგრიტით დაავადებული მიიყვანეს საავადმყოფოში. მასთან ერთად კიდევ ბიჭიკოს სამი, შუა ასაკის, მეზობელი ქალი მიიღეს მწვავე ციგრიტის ნიშნებით.

ეს სამი ქალბატონი დები არიან, სამივე შუა ასაკის. ყველაზე უფროსი ცისა, ყველაზე კეთილი ადამიანია ბიჭიკოს სამეზობლოში. მზრუნველი და მოსიყვარულე დედა, რომელსაც ორი პატარა შვილი ჰყავს გვიანი ქორწინების შედეგად შეძენილი. ქმარი მეზობლის ქორწილში ატეხილი ჩხუბის შედეგად დაეღუპა და მას შემდეგ პატიოსნად ზრდიდა ბავშვებს სიყვარულის ალში. მისი შუათანა და სულით შინაბერა და, გულით რომანტიკოსი, თავის უფროს დას ეხმარება ბავშვების მოვლაში. ხოლო უმცროსი ახლახან დაინიშნა ბიზნესმენზე, რომელიც ნიშნობის შემდეგ, მოულოდნელად გაკოტრდა მთავრობაში მომხდარი ცვლილებების გამო.

* * *

ხითხითი არ წყდებოდა საავადმყოფოში...

ექიმი ტვინიანი ახლა უკვე კითხვით ოთახში ჩაიკეტა, რადგან არ იცოდა, რა დაენიშნა ბიჭიკოსთვის, რომელიც საკმაოდ ნაკითხი და განათლებული ბიჭი იყო. არა მხოლოდ ცნობილი ხალხის, არამედ უცნობი ხალხის ცხოვრებასაც საკმაოდ კარგად იცნობდა. რაც შეეხება მედიკამენტს, ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იყო. დამამშვიდებლებით უნდა გადაეგორებინა კრიტიკული მომენტი, თან გაძლიერებული თვალყური უნდა ედევნებინათ, რადგან რაიმე სისულელე არ ჩაედინა.

უდუღდა ტვინი ექიმ ტვინიანს და პირ-ყურ-ცხვირიდან ორთქლი ამოსდიოდა პაციენტების ხითხითის ხმებით.

* * *

ექიმმა ტვინიანმა სასწრაფო ექიმოთათბირი მოიწვია. თათბირს დამხმარე ექიმთა ტრიო, ტვინიანის და გულიანას დუეტი და პროფესორ ციგრიტიანის სოლო ესწრებოდა.

– არის რაიმე ახალი?

– ჯერჯერობით არაფერი.

– ძალიან უნდა მოინდომოთ. – ოფლიანი ენა უცებ მოატრიალა ტვინიანმა დამშრალ პირის ღრუში.

– ვიცი. მონდომების სადავეებს არ ვუშვებ ხელიდან... მანდ უკვე შემოსევაა, ჰო?

– ჰო, უკვე დაბნეულობის ქსელში გავიხლართეთ. სერიოზული ხალხსევაა.

– სულ ცოტაც და... ერთი პატარა, მთავარი ნაწილაკი მაკლია. ცდას ვატარებ და მერე მიახლოებით პასუხს მაინც გეტყვით. შენ შენი

მხრიდან ანგარიშები მომიმზადე რენტგენის ყველა სურათთან ერთად.

– დიახ, ბატონო მეცნიკ, მაგ საკითხზე მუშაობა დავიწყე. წაიმღერ-წაიღიღინა სცენაზე გასასვლელად გამოკოხტავებულმა გულიანამ.

– მკურნალობის რა შედეგები გაქვთ?

– კიდევ ერთ-ერთ პაციენტს ოპერაცია გავუკეთეთ, რომელმაც აქამდე არარსებული დადებითი შედეგი აჩვენა გადაჭარბებული ნორმით, მაგრამ იმედი ხელიდან ხელს შუა მეკარგება. სასწრაფო აცრაა საჭირო იმისათვის, რომ სტაბილურობის აღვირახსნილ ტემპს არ ჩამოვრჩეთ.

– კიდევ ცოტა ხანი როგორმე უნდა სდიოთ. მე, ჩემი მხრიდან, გონებრივ იერიშს არ ვზოგავ. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე მეგობარმა ექიმმა გამოგვიწოდა დახმარების მედიკამენტები სხვა ქვეყნებიდან, მათაც დაიწყეს მუშაობა ჩვენს დასახმარებლად. დაკვირვებების შედეგად უცხო ხალხის ნიაღვარი შემოედინ-გაედინება, მაგრამ უახლესმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ მოქალაქეებს ბუნებრივად თანდაყოლილი ძლიერი იმუნიტეტი აქვთ, როგორც ჩანს. მსგავსი დაავადების არანაირი სიმპტომი არ გააჩნიათ.

– ანუ, ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადამდები არ არის.

– ჭეშმარიტად! და კიდევ, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ვინც დროზე არ მიხედა ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ჭუჭყრეტი, სკამხიბლი, ცნობილიზმი, ბზიკვინტი და კიდევ მისთანები, განვითარდა და ციგრიტად ჩამოყალიბდა.

ექიმმა ციგრიტიანმა თავისი აქტიური სოლო სიახლეების გარეშე გამბედავად ჩაასრულა, თვალი იმედისმომგვრელად ჩაუკრა ნახევრად აქტიურ დუეტს, შემდეგ პასიურ ტრიოს ზრდილობის მიზნით მზერა გადაავლო. ამით კონცერტი დაასრულა და ჯიბეხელჩალაგებულმა სცენა დატოვა.

ექიმეთის აპლოდისმენტმოშიებული ადამიანური რესურსები განმგმირავ კუჭის ტკივილს განიცდიდნენ.

ნიჭირეთში ამ დროს ისეთი პოლიტიკური ყინვა იყო, რომ სამედიცინო პრობლემების სიცხე არავის ეკარებოდა.

– თავმჯდომი ისევ გაცივდა! უკვე მერამდენე ვადა შეეყარა?! – წკიპინტრა ხმით განაცხადა ერთ-ერთმა სკამაცდენილმა კანდიდატმა.

– ჩიტების ჭიკჭიკი ტვინში ყვითლად მიკაკუნებს. ვიგებ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი მკითხავთან დარბიხართ და ბელადიზმისგან განსაკურნებელ წამლაპუდრს უკვეთავთ და გინდათ, რომ ჩუმად, მოტყუებით, განკურნოთ თავმჯდომი. გააქტიურდა მისი კოლეგაც. – მეგობრებო, ახლა ისე, როგორც არასდროს, ერთიანობა გვჭირდება. ყველამ კარგად იცით, რომ ძალა ერთობაშია, მაგრამ მაინც ეული ისრებივით იქცევით. – განაცხადა მშვიდობის მტრედობაზე პრეტენზიის მქონე კიდევ ერთმა კანდიდატმა ხალიკომ.

მელანოს ბიჭი ნიჭიერი თავმჯდომია, რაც დედის მუცლიდან აჰყვა და მოსალოდნელი მუხანათური დარტყმის თავიდან აცილების მიზნით, აღარც მიკროფონებს ეკარება და აღარც მათ პატრონებს. ორი თავი არა აქვს, აღარც იმედი აქვს და აღარც მეცხრე ცაზე პარპაშის მადა. მხოლოდ მზეს ეფიცხება და მისი მაგიური სხივებით ენერგიას იკრეფს.

– დაავადება არ არის გადამდები! – წარბის მკაცრი აწევით დააჩხავლა მკითხავმა მწარედ მონდომებულ მარგუშას.

– აბა, რა შეიძლება? – სიტყვა ჩააკვეხა ინტერესის ტყვეობით შეწუხებულმა რუსიკომ.

– მხოლოდ ხალხური ხმებით დამზადებული წამალი უშველის, რომელიც მას დაავადებას შეაძულებს და თვითონვე განდევნის მისგან.

– ბიძაჩემს ვთხოვ დახმარებას, უარს არ მეტყვის, კერძო საქმოსანია. ჭუჭყინებში არ უჭირს (ჩუმად გაიფიქრა მარგუშამ და თვალები მოავლო ყველას, იმის დასამტკიცებლად რომ მისი ფიქრი არავის გაუგონია).

– სასწრაფოდ შეუდექით! ფული უ-რაოდენობით გვაქვს, პრობლემა არ არის! – თვალებით დაიძახა იმედით აბჟღვიალებულმა რუსომ სათვალეების ჩამოწევით და ამ სიტყვების სრულ მნიშვნელობაში ჩასმის შემდეგ უცნაურად მოხატული ოთახიდან გავიდა.

* * *

კლასიკურ ტანისამოსში გამომწყვდეული წუწური გვიანიკასგან ჰაეროვანი პორტის ნაცვლად რკინის სადგურში გაექანა. უცებ შეცვალა გეგმა მძიმე ღამის გადატანის შემდეგ. გული ჩვეულზე მეტად სცემდა წუწუს და სულსაც ძლივს ერეოდა, რომელიც ამოფრენის სტარტთან იდგა. დანიშნულების ადგილზე მისვლაში სულმა სხეული დაამარცხა. ემოციებთან ბრძოლით ქანცდაცლილი სხეული ძალას იკრეფდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. ეს ნაბიჯი კარზე დაკაკუნება იყო. ჰაერში კარზე დასარტყმელად გამზადებული ერთ მუშტად შეკრული თითები ჰაერშივე დარჩა, როდესაც უცებ ნარციამ კარი გამოაღო და უმწეოდ შეჰკივლა სიხარულისგან.

– წუწუ??? – სამმაგი გაკვირვება დაედო ხმაზე.

– წავედით, სასწრაფოდ წავედით. ძებნის გარეშე ამოხეთქა სიტუაციაზე მოურგებელი წინადადება.

– სად, წუწუ, სად? – ახლა უკვე ინტერესის ელემენტით გააფორმა გაკვირვებული ტონი.

– ჩემთან, სახლში, ჩვენთან... ერთად ვიყოთ.

ნარცია დაიბნა. ახლა მისი ბრინჯის მარცვლების აკრეფას იდეურად ზედმიწევნით დალაგებული წინადადება სჭირდებოდა.

– როგორ ვიყოთ, სად ვიყოთ, რა ხდება, წუწუ, დამშვიდდი და წესიერად მითხარი. – ჩაჰკრა თითი წუწუს აფუებულ მღელვარებაში და ოდნავ ჩაჩუტა ის. – შემოდი, დაჯექი! გშია? გწყურია? ვერა და ვერ აიკრიფა ბრინჯი დაბნეულმა ნარციამ.

წუწუს წინააღმდეგობა არ გაუწევია და უსიტყვოდ ჩაბარდა ნარციას სიტყვებს. სახლში შევიდა და ჩამოჯდა. მდგომარეობა ორჯერ სამი წუთი გაგრძელდა. უსიტყვობა და გაუნძრევლობა სუფევდა ჰაერში. ნარციას მოსაფერებელმა ჰაერმა წამოუქროლა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ამის ფუფუნება იმ წუთს არ იყო. ისიც განაბული ელოდა დროს, როდის მოუტანდა სიახლეს.

– წამოდი ჩემთან ოცნისში, წამოხვალ?

– კი, წუწუ, წამოვალ. თვალები სასიამოვნო გაკვირვებისგან აუციმციმდა ნარციას.

– ჩაალაგე, გაემზადე და წავედით.

– კი, მაგრამ დედა? მამა? არ ვუთხრა?

– უთხარი და წავედით. გააფრთხილე, რომ უკან აღარასოდეს დაბრუნდები.

ნარცია რაღაცას მიხვდა, მაგრამ ბოლომდე ვერა.

– სად არის დედა?

– სამსახურში.

– როდის მოვა?

– საღამოს.

– მაშინ მამაშენთან წავიდეთ.

– მამაც სამსახურშია.

ახლა უკვე წუწუ ჩაიკეტა აბნეულობის ოთახში, მაგრამ მალევე გააღო გამოსასვლელი კარი და გამოვიდა.

– მივაკითხოთ ორივეს და ვუთხრათ.

– კარგი. – მის აზრს გაყვა ნარციაც.

იმავე შუადღით წუწუ და ნარცია ოცნისში გაემგზავრნენ. იმავე საღამოს დაიწყო ახალგაზრდული თაფლობის ხანა, რომელიც კუნძულ ფანტაზიაზე გაატარეს. ხელოვნური ზღვა, ირგვლივ გაშენებულ სიმწვანეში სასიამოვნო განცდებს აპკურებდა არემარეთს. ნარციას და წუწუს კი მთლად აელეთმელეთოდათ გულები. ამგვარი განსხვავებული ხერხით დაცოლქმარდნენ ისინი.

* * *

გვიანიკამ ტკბილნარს ჩაუარა და გაიფიქრა, მინდალა დაეპატიჟებინა იქ, რადგან იქნებ იმ საოცარ გარემოს მოეხდინა შთაბეჭდილება მასზე.

ტკბილნარი – ზღაპრული ბარი, რომელიც ცენტრისა და გარეუბნის ქუჩების გადაკვეთაზე მოდერნისტულად გამოპრანჭული ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულის ნახევარსფეროში გამოწკეპილიყო, რამდენიმე თვის წინ გაეხსნა სინატრულადან ჩამოსულ გაბედნიერებულ წყვილს. ამ ბარმა რეკორდული სისწრაფით მოიძია პუპულგანთქმულობა სხვადასხვა ასაკის თუ სქესის წარმომადგენლებში.

ტკბილნარი სხვადასხვა დამტკბარი კუთხით იწონებდა თავს და ამგვარად ისევდა ხალხს. მისი უჩვეულო ინტერიერი განსხვავებულობის შეჯიბრში პირველობას უკონკურსოდ ისაკუთრებდა.

პირველი კუთხე არის ნამცხვრის ბისკვიტის მოყვანილობის, რომლის შუაგულშიც იგივე ფორმის პატარა, ოთხი ადამიანის დამტევი მაგიდაა დაფენილი, ირგვლივ იგივე ფორმის უფრო მომცრო ზომის სკამებია. ოთახის ზედა სფეროს გულში ლანგარის ფორმის, ჭაღი თავისი ნეონის ლამფებით გაბჟღარნათებული კიდევ უფრო უჩვეულო სახეიერს უმტკიცებს ოთახს.

მეორე კუთხე „შუს“ ფორმის ინტერიერით გამოირჩევა. „შუს“ ფორმის ფუმფულა, მოზრდილი მრგვალი მაგიდა, იგივე ფორმის მომცრო ფუმფულა სკამებით, რომლებსაც წვრილნახვრეტებიანი თეთრი გადასაფარებელი შაქრის პუდრივით გადაჰფენოდა. ვანილის სურნელი მეფობს ოთახში.

მესამე კუთხე – ხილნარია. წითელი ვაშლის ჭაღი მოჭრილი ბოლოთი, რომელშიც ნათურებია ჩამონტაჟებული, წითლად აფერადებს ოთახს. გაჭრილი საზამთროს ფერის და ფორმის მაგიდა ირგვლივ შუაში გაჭრილი მსხლის, ფორთოხლის, კივის და ალუბლის სკამებით. ჭერზე გაჭრილი ნესვი გაჭაღებულა. ფარდების – მწვანეფოთლოვანი ფონი აქვს, ადესა ყურძნით მსუბუქად დახუნძლული.

მეოთხე კუთხე ყავისაა, სადაც შავი ყავის კაკლის ფორმის მაგიდაა, ისეთივე ფორმის და ფერის მომცრო სკამებით. ფანჯარაზე თეთრი შოკოლადის ფილის ორნამენტებიანი ფარდაა გაკრული. ერთ-ერთ კედელზე სურათი ჰკიდია, რომელზეც ყავის მოთუხთუხე მადუღარაა დაფერწერებული. ამ ყველაფერს თეთრი ყავის კაკლის ფორმის ჭაღი დაჰნათის, რომლის თითოეულ ნახევარსფეროში თითო ნათურაა გამოჭერილი. მეხუთე კუთხეში შოკოლადიანი ვაფლის ფორმის დაბალფეხიანი ფაფუკი მაგიდა დგას, რომლის ირგვლივ რაფაელოს ფორმის ფაფუკი სკამები მოყუჟულან და რომელთაც იგივე ფორმის ჭაღი ციალით გადმოჰყურებს. შოკოლადის ამარეტოს სურნელი ნეტარათრობს არემარეს.

ტკბილნარის შესასვლელ კარზე ტკბილეულის მოზაიკაა გაკეთებული, რომელზეც ბარის უცვლელი მენიუა ამოტვიფრული, ხოლო გარედან თითოეული კუთხის ფანჯარა თავისი ოთახის ამსახველი მოზაიკური ელემენტებითაა მოჭედხატული.

ძალიან სურდა გვიანიკას მინდალას ტკბილნარში შეტყუება, მაგრამ არ ტყუვდებოდა მინდალა. ყველაფერზე უარს ეუბნებოდა. ეშინოდა შეცდომით არ დამტკბარიყო.

– როგორ მოვიგო მინდალას გული? – ხმამაღლა ამოიფიქრა გვიანიკამ წუწუსთან.

– ძალიან მარტივად. შეიძინე იღბლიანი დარტყმის ლატარია. – პასუხი არ დაიშურა დროებით კარგ გუნებასთან სტუმრად მყოფმა წუწუმ.

– ნეტავი, რა უნდა ისეთი, რა გავუკეთო, რომ გავაოცო?

– რას გაიგებ, რა უნდათ ქალებს, რას ითხოვენ ცხოვრებისგან.

– ჩემი ჭკუით რაც გავუკეთე, არაფერს იკარებს.

– ამას წინათ ფიქროდს ვკითხულობდი და ძალიან საინტერესო რამ ეწერა მათ შესახებ. გაოცებული დავრჩი.

– რა ეწერა ამისთანა? – სმენა ჭყიტა გვიანიკამ.

– ასე წერდა: „იმისათვის რომ მამაკაცმა გაიგოს, რა სურთ ქალებს, მინიმუმ ქალი უნდა გახდეს და მაქსიმუმ ქალად უნდა მოკვდეს“.

– რთულია.

– რთულია, მართალია. ალბათ, ფიქროდი, ტყუილად არ ფიქრობდა იმდენს მთელი ტომეული რომ მიუძღვნა ქალთა ტვინის აპარატის მოქმედებას.

იდეამ ლატარიის შეძენის შესახებ გვიანიკას ტვინში ერთ-ერთი უჯრედი დროებით საცხოვრებლად იქირავა. ონავარი იდეა ისე ხმაურობდა, რომ ხშირად აწუხებდა დანარჩენ უჯრედებს და გვიანიკას მოსვენების საშუალებას არ სწირავდა. მაგრამ გვიანიკას მინდალიზმისგან განკურნება თითქმის შეუძლებელი იყო.

* * *

– ჰიჰიჰი... ჰაჰაჰაჰა... სიცილის ყირაზე გადადიოდა წუწუ. სულ რაღაც შვიდჯერ ოცდაოთხი საათის ჩამოსული იყო სინატრულადან. გვიანიკას მამამ ვეებერთელა დახმარება გამოუწია გვიანიკას თხოვნის შემდეგ. საცოდავი ნარცია კი ზაფრანის ძლიერ მკლავებში მოხვედრილი მწარე სახით აკვირდებოდა სათაყვანებელი ქმრის გადაბრდღვნეულ თვალებს, რომელშიც აზრი არ ჩანდა.

– ჰაჰაჰა... ჰაჰაჰა... უუუუუ...

ახლა უკვე წუწუ და ორგზის ციგრიტიანი გვიანიკა ერთმანეთის გაგებით ხითხითებდნენ.

* * *

– მეცნიკ ექიმო, სასწრაფოდ თუ არ ვიტვინეთ რაიმე, დაავადება ყველას წალეკავს.

– დამშვიდდით, ექიმო ტვინიანო. თქვენთან დაკავშირებას უკვე ვაპირებდი. ვაქცინა სახელად „ა-მოკალი“ დიდი ხნის წვალების შედეგად მზადაა.

– მადლობა ღმერთს! როგორ მოახერხეთ?

– მადლობა მე! სანამ აპოკალიფტური ნაწილაკები არ გავურიე, არაფერი გამოდიოდა.

– ანუ, მაინც გამოიყენეთ ის, რის გამოყენებასაც თავს არიდებდით?

– დიახ!

– ჰმ!!! სხვა ნაწილაკები ვერ ნახეთ?

– სხვა რესურსი, ფაქტიურად, არ არსებობს.

– კარგი, რა გაეწყობა...

– დავიწყოთ?

– სხვა გზა არ გვაქვს...

* * *

– ბაბუ, ბაბუ!

პატარა ბუბულიკო თვალებბრჭყვიალა მივარდა ბაბუასთან.

– ჰო, ბაბუ, გისმენ!

– ბაბუ, ქვეყნები ერთმანეთს ომს რომ უცხადებენ და ებრძვიან, ცუდი ხომ არის? არ შეიძლება, ომის მაგიერ მშვიდობა გამოუცხადონ ერთმანეთს და სიკეთის კეთებაში შეეჯიბრონ? თვალებგაბურთული ბაბუ უეცრად ისე გაშრა, რომ სიმშრალისგან გახმა და მოკვდა. მართალია, ის მოკვდა და დაასაფლავეს, მაგრამ სამაგიეროდ, იმედი იზრდება.

# რევინ აბუსელიძე

## ამ ქალაქში

ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი ბავშვობა.
ის ჩაიძირა ისე,
როგორც იძირებიან ფეხზე სიმძიმეგამობმული ადამიანები
თვითმკვლელობისას,
ჩუმად და არავის დასანახად.
მისი ცრემლები შეერია ზღვას და
ზღვა გახდა უფრო მარილიანი.

ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი პირველი სიყვარული,
ის უნივერსიტეტის ფანჯრიდან გადახტა და გაძვრა ცისარტყელის ქვეშ,
როგორც ცურვისას შორს გასული კაცი,
წყალზე გულაღმა მწოლიარე რომ ბრუნდება უკან
და ნაპირისაკენ ხშირ-ხშირად მოიხედავს
მშფოთვარე ფიქრით – „თუ მივაღწევო“ –
ისეთი იყო.
ის ვერ გადარჩა...
შეერია ზღვას და ზღვა გახდა უფრო წებოვანი,
უფრო შავი.

ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი ბავშვობის მეგობარი,
ის ჩაიძირა ყველა იმ ბედნიერ წუთთან და
სიცილის ზარებთან ერთად,
რომელსაც თოვლში, ცხელი შოთის პურივით მინაწილებდა.
მისი სული თოლიებმა აკენკეს,
წვეთწვეთობით მიუტანეს ზღვას და
ზღვა გახდა უფრო თბილი.

ამ ქალაქში ჩაიძირა მამაჩემი,
როგორც ადრე ვთქვი, სიკვდილს ვერ შეასწრო თოვაში,

იგი იყო ისეთი ახალგაზრდა, როგორც – მინდოდა,
იგი იყო ისეთი კეთილი, როგორც – ტირიფი,
იგი იყო ისეთი მაღალი, როგორც – ცა,
მაგრამ შეერია ზღვას და
ზღვა მოხუცდა.

ეს ქალაქი მძირავს მეც,
მისხალ-მისხალ...
მას ფეხაკრეფით შემოაქვს ღამე,
სამახსოვრო ბარათებივით
ლექსებს მაწერინებს და არასოდეს მაპატიებს, ალბათ,
რომ მე არ შემიძლია ისეთად დავიმახსოვრო,
როგორზეც სიამაყით გვიყვებოდნენ ხმატკბილი ადამიანები...
და ჩვენც გვიყვარდა.
ქალაქი, სადაც ზღვა შორიდან აღარ ჩანს,
ქალაქი, რომელიც ცათამბჯენებში ჩაიძირა.

* * *

მე მოვედი და გითხარი, რომ
ომში მივდივარ!
სწორედ წინა დღით
დაგითანხმე ცოლობაზე და დღეს ეს...
გავცვალეთ ფოტოსურათები, იმედები და
კეფაზე ტყვიასავით მომხვდა ცრემლის წყალში
დამბალი „მიყვარხარ“...
მე გავიფიქრე „რატომ ხდება ასე ყოველთვის,
რატომ გშორდები სწორედ მაშინ, როცა მთანხმდები“
– ჰო, ეს ომია, საკუთარ თავში დაწყებული
ხანგრძლივი ომი,
სადაც არ მკლავენ!
საიდანაც მუდამ ვბრუნდები!
მერე მოვდივარ, გპირდები და ისევ იგივე,
ოსპის მარცვლებს დაემსგავსენ შენი თვალები,
ჰა, ჰა, საცაა ჩაქრებიან,
ცრემლი აღარ გაქვს,
სიყვარულიც დაშრება მალე.
მე მოვედი და გითხარი, რომ ომში მივდივარ,
სწორედ წინა დღით
დაგითანხმე ცოლობაზე და დღეს
მოგკალი!...

*  *  *

თვალებდახუჭულს შემიძლია შენი დანახვა.
მე მაგონდები გვირილებიანი კაბით –
რძისფერ ხეზე ასული,
მწიფე ხელებით რომ კრეფდი ბჟოლას...
ქვემოთ კი იდგა შემოდგომა
შემოდგომის წრეში შესული ბიჭებით,
შენი თითების ბრწყინვალე მტვერი რომ
ეფერფლებოდათ ფოთოლცვენისფერ
თვალებზე, თმებზე...
მე მაგონდები გვირილებიანი კაბით
რძისფერ ხეზე ასული...
რა დრო გასულა,
მერამდენე შემოდგომა ჩათავდა უკვე,
ეს ჩემი ფიქრის ბილიკია და ვხუჭავ თვალებს,
შენც ისევ აქ ხარ, გუგების ქვეშ და მე გამომდის –
წარმოვიდგინო – თუ როგორ გკრეფ, როგორ გაგროვებ...
თვალებდახუჭულს შემიძლია შენი დანახვა,
ვახელ თვალებს და... დგას ბჟოლის ხე,
შენ კი არა ხარ...

*  *  *

დღეს მე ასე ვწერ, შევიცვალე!
დაგპირდი და შევიცვალე...
ამ სტილში მხოლოდ ის ვისწავლე, –
უბრალოდ ფრაზა დავიჩემო,
ბოლოს კი ისევ იმ ფრაზასთან
შევწყვიტო წერა.

არადა, ჩვენ ხომ ბევრი რაღაც
ვისწავლეთ ერთად?!
ახლა მე ვსწავლობ უშენობას,
თუმცაღა მიჭირს,
ჩვენ ხომ ერთად ვსწავლობდით და
გამოგვდიოდა.

გამოგვდიოდა ჩემს ოფლში და
შენს ცრემლებში პურის ჩაწობა...
გამოგვდიოდა ერთმანეთის თვალებში ლოცვა.

წვიმაც, თოვლიც, ქარიშხლებიც, გამოგვდიოდა.
გამოსვლას თავი დავანებოთ! –
ხომ ვაშავებდით?

გახსოვს, რამდენჯერ დავაშავეთ დუმილი?
გახსოვს, რამდენჯერ ვიმარხეთ ერთმანეთი?
გახსოვს, რამდენჯერ დავარღვიეთ არფიცი?
გახსოვს, რამდენჯერ მოვიტყუეთ „არმიყვარხარ“?

ერთ დღეს, კი, როცა ყველაზე ტკბილი არცოდვა, –
შვილი ჩავიდინეთ,
შენ გაუცხოვდი!

დაშრა ოფლი და ცრემლები,
შეწყდა სიყვარული და ლოცვა.
გადაიღო წვიმამ და თოვლმა და ჩაგდა ქარიშხალი.

ახლა, შენ, სწავლობ უჩემობას,
რომელიც მე „მამაო ჩვენოსავით“
გაზეპირებული მაქვს და
ვერაფრით გეხმარები,
ეს შენი ხეა,
რომლის კენწერო მწარეა და
ფესვები ტკბილი.

რა იქნებოდა, მაგ ხის ფესვზე პატარა სახლი,
ნედლი ცხოვრება და ხმელ-ხმელი გაკვეთილები,
ჩვენ ხომ ერთად ვსწავლობდით და გამოგვდიოდა,
დღეს კი...
ასე ვწერ...

* * *

ორი ავტორის ერთი წიგნია სიყვარული,
ჩვენ მას ერთად ვწერთ, ჯერ არ ვიცით, რა გამოგვივა,
იქნება იგი ნოველა თუ, უბრალოდ, ერთი
დიდი რომანი, უსარჩევო, უღრუბლო, ვარცლი...
სადაც ჩვენ მოვზელთ
ვერცხლის ამბებს,
ოქროს ტკივილებს,
და ეჭვებს გავცრით.

შენ უკვე ხვდები,
რომ ეს წიგნი არის ძვირფასი,
ის იწერება ცრემლით და სისხლით,
აქ წინა გვერდზე რაც შეგვცდება, ვერ ჩავასწორებთ,
ჩვენ, შეგვეძლება, შემდეგ გვერდზე შევცვალოთ წინა
შეცდომა, ქცევა, მოგონება და როცა გვძინავს –
ვიყოთ მშვიდები...
ნამდვილი გრძნობა არასოდეს ქრება ბოლომდე,
ის ფასოვდება, ინახება არქივში გულის.
ძირფესვიანად რომ აღმოვფხრათ, ეს ჩვენ არ ძალგვიძს,
არ გვაქვს უნარი.
გითხრა, მასეთი სიყვარული რას მოგაგონებს?
ფოთლისფერ მინდორს რომ ატყვია ნაკოცონარი...
ორი ავტორის ერთი წიგნია სიყვარული,
ჩვენ მას ერთად ვწერთ.
მე რომ მოვკვდები, შენ მის წერას ვერ გააგრძელებ,
მარტო შერჩები ამ ბრწყინვალე ქრონოლოგიას...
წლების შემდეგ კი მოგაყოლებენ შენ ამ წიგნზე,
გაგახსენებენ მისი ღორღით, მისი ბადაღშით...
მე, მხოლოდ ერთს გთხოვ,
ნურასოდეს ნუ ატირდები,
როდესაც ჩვენს წიგნს,
ჩემს საფლავთან,
მარტო გადაშლი.

## მიწის პოეტის მსხვერპლი

**I**

მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
კრიალოსანით ხელში,
კავით ხელში,
ხელში წერაქვით...
ყოველ გაზაფხულს ის თესდა ლოცვებს,
ყვავილებს, სიმინდს, ხორბალს და ხეხილს...
მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
პოეტი – გლეხი.
იცოდა მამამ მიწის ფასი,
მისი ოფლით და მისი ცრემლით მორწყული ბაღი
მუდამ ყვაოდა.
ხოლო მზის შუქზე სულ ბრწყინავდა ეზო,
სანახი,

კარგად იცნობდა სავსე მთვარეს,
ნახევარმთვარეს
და რგავდა ვენახს მთვარის კარნახით.
იცოდა მამამ ღვინის მადლი, იცოდა გემო,
მშობლების გამო სულ სხვა გზებს და ფიქრებს უსმინა,
თუმც ვერავინ ვერ დაასწრებდა სადღეგრძელოს თქმას
მამას, მუსლიმანს.
ის ახარებდა ჩვენს ეზოში
თითქმის ყველა ხილს,
მხოლოდ მსხალმა ვერ გაიხარა და სულ ამბობდა,
მსხვერპლს მოითხოვსო...
მწველ და უნაზეს – მზის სხივს ნაწნავში მოიმწყვდევდა
იმ დროს ვენახი
და ვსაუბრობდით, დუმბაძეზე,
„ხაზარულაზე“.
მზის ამოსვლამდე იღვიძებდა მამა ყოველთვის,
სიმინდის მარცვლებს
ამოკრეფდა თხელი ვარცლიდან
და სანამ ირგვლივ მოაპნევდა ჩემი ხნის ფოცხით,
მზისგან დაკოჟრილ, დამწვარ მიწას
ზურგს უვარცხნიდა.

**II**

„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო,
ჰაუ, რანაირად თენდებაო“ – შეხე,
ვიტყოდი ლებანიძეს და მიპასუხებდა,
– შვილო, რიჟრაჟით ვერ გააოცებო გლეხებს...
მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
მისი ბელტივით დამსკდარი ხელებიდან ამოდიოდა შემოდგომა,
მის თითებს ჰქონდა ყურძნის სუნი და ფიჭის გემო,
ბრწყინავდა ეზო,
სექტემბრებით,
ვაზით,
ნიათით,
შემდეგ იწყებდა მამა ლოცვას,
მეც ვლოცულობდი...
და ხის ოდაში ეტეოდა – სახარება და აიათი...
მოჭრილი სიმინდის ორთქლით გაბრუებულ მერცხლებს ენკენისთვე
ნელ-ნელა მიჰქონდათ თბილი ქვეყნებისკენ.
მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
ყოველ გაზაფხულს ის იწყებდა წერას სულ რაღაც
ასიოდ წყრთაზე...

წერდა უფლისთვის,
წერდა თავისთვის,
ჩვენ გამო წერდა,
რომ წაგვეკითხა მიწის ლექსი მამის ხელებში,
რომ მოგვეყოლა თავად მამებს შვილებისთვის და
ეს პოეზია ყოფილიყო უპირველესი.
პოეტი იყო მამაჩემი!
მისი სიკვდილი არ ყოფილა საყოველთაო,
არც ტყე ტიროდა, არც ცა ქუხდა, არც გასცდენია –
პატარა სოფელს ეს სიკვდილი,
ცრემლი,
გლოვის ხმა,
მაგრამ მიწამაც აღიარა, ალბათ, პოეტად, –
ჩვენთან, ეზოში, მსხლის ხემ მოისხა...

*  *  *

დედა,
დღეს მივხვდი,
თუ რატომ ირჩევდი ყოველთვის,
წვიმიან დღეს
გამოსამშვიდობებლად...
რატომ მომყვებოდი გვერდით უხმოდ,
ქოლგის გარეშე და
თვალს მარიდებდი.
არადა, მე, სულელს, მეგონა,
რომ ერთხელაც არ გიტირია,
ქალაქისაკენ მიმავალ მატარებელზე –
ჩემი გაცილებისას.

## „შენთან გასაგზავნი წერილი“

უკვე შობაა. შობამდე კი როგორ ვფხიზლობდი,
როცა ტაძარში ირგვლივ მყოფებს ჩამოეძინათ,
ეს შემთხვევითი არ ყოფილა, უფრო მიზნობრივ
სახეს იძენდა და ვიფიქრე, რომ მე მეტწილად –
ვაცალკევებდი მოგონებებს, მტერთა, მოყვასთა,
შემდეგ კი როცა სახარებამ ღამე გარინდა,
ტაძრიდან შენი საგალობლის ხმა გამომყავდა,
როგორც იესო გამოჰყავდა დედას ბაგიდან.

და სანამ მკერდზე, ფრესკასავით ამოგკაწრავდე,
საკუთარ თავში გავერკვიო უნდა სრულებით,
ჩემი ყველა გზა დღეს იმიტომ მოდის ტაძრამდე,
რადგან ტაძარში, ფერფლისფერო, შენ მეგულები.
არ მიპოვნიხარ, შენ ყოველთვის ჩემში იყავი,
რას მომისჯიან ძილისპირზე, ნეტავ, ღმერთები?
საკმარისია, თვალი მოგკრა და შემიყვარდე.
წვიმიან ღამით, ელვის შუქზე როცა ენთები...
ხოლო ეს ღამე, ტკივილების შავი მამონტი,
მემილიონედ იცვლის პოზას, კბილებს სარძევეს,
მე ისე მინდა შენთან ყოფნა და არ გამომდის,
როგორც სიზმარში გვინდა ყველას თავის დაღწევა –
როცა მოგვდევენ, ანდა კიდევ – როცა ვვარდებით
უფსკრულებისკენ სიმაღლიდან, შენ კი უბიწო
თეთრი ტაძრიდან გამოდიხარ, ტაძრის ფარდები,
დაშვებულია და მე მინდა გამოვუღვიძო –
საკუთარ სხეულს, საკუთარი ძილის ეტაპი,
სანამ სიკვდილის ქარიშხლები დამიბერავდნენ,
მოვიდე შენთან და მაგ გულის სათუთ ზედაპირს,
მოვხსნა თავი და ჩავიძირო შენში ფსკერამდე.

## მარტივი ამბავი

ცხოვრებაში ერთხელ მაინც
გაიფიქრებს ათეისტი,
რომ ღმერთი არსებობს
და
ერთხელ მაინც
იფიქრებს მორწმუნე –
უფლის არარსებობას.

და შენ არ გწამდა!
მე მიკვირდა,
ჩვენ ხომ ერთმანეთი ნოეს კიდობანში
გავიცანით და შეგვიყვარდა...

შეგვიყვარდა –
ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ მოყოლილ
სიყვარულის სამაგალითო ისტორიებზე
ადრე.
სწორედ მაშინ ვისწავლეთ
სარკის ნაცვლად –

ერთმანეთის თვალებში
გაგვესწორებინა თმა.

ხოლო, როცა ყველაფერი დასრულდა
კიდობანზე უარაფროდ ასულებმა
ჩვენ ჩვენი გულის კიდობნები
ჩამოვიტანეთ უკან,
რომელშიც ერთმანეთი
აღარ შეგვიყვანია...

ახლა კი ვზივართ ასე, უერთმანეთოდ,
ღია ცის ქვეშ,
შენ ღმერთის გწამს,
მე – აღარ
იმის იმედით, რომ
კიდევ ერთხელ მოხდება წარღვნა!...

## წვიმის ამბები

წვიმს, დღეს ეს წვიმა უფრო მეტია,
ვიდრე მანძილი ჩემს და შენს შორის,
წვიმს. რა გაუძლებს ამ სველ ხეტიალს,
ასეთ ქროლვაში, ამინდში ასეთ
და ბაგეები, როგორც სენსორი,
კრთებიან წვიმის წვეთების ხმაზე...
იცი, სიზმრებშიც ვერ მოვიცილე
თეატრი – ჩვენი გრძნობების ბუდე,
როგორ ვტოვებდით სიცილ-სიცილით
ჰოლში – ტკივილებს, ქოლგებს და ქუდებს.
წვიმს, დღეს ეს წვიმა უფრო ვრცელია.
სრულდება მთვარე – ლექსების ლოგო,
ქუჩას, შენსავით ლამაზყელიანს,
ევსება ბროლი, ხოლო მე ვუცქერ
ახალშობილი წვიმები, როგორ –
ტოვებენ ღრუბლის დაბერილ მუცლებს...
შენ ამბობ – რამე მითხარი. მოდი.
წვიმს მილიარდი პატარა წვეთი.
შემდეგ ფიქრები ეძებენ მოტივს
და მთელ სხეულში შემოდის ვნება...
მე კი რა გითხრა იმაზე მეტი,
რასაც ეს წვიმა ამბობს და ყვება?...



# ოთარ ჩოგაძე

*  *  *

ჩემთან მხოლოდ შენა ხარ და ფურცლები ქაღალდის,
მინდა დიდხანს გიცქირო, სანამ ისევ გნახავდე.
მინდა, ერთხელ ჩამხედო ამ ქანცგაცლილ თვალებში,
ვზივარ მოწყენილი და ციდან მზეს და მთვარეს ვშლი.
ალბათ, ისეთივეა, ჩვენთან ახლა აპრილი,
ქარიშხალი შავ ზღვაზე მაზუთიან ძაბრივით.
გაგუდული კლუბები და ქალები ტატუთი,
ცაც არ არის ისეთი ლამაზი და სათუთი,
მეც აღარ ვარ ისეთი, შენ რომ ადრე გეგონე,
ვეღარა ვცნობ ყველაზე უახლოეს მეგობარს.
გამოვივლი ძველ ქუჩას და მოედანს, ნაგვიანს,
შენი სახლის ჩრდილი და აივანიც აქვეა,
ამოვივლი ძველ კიბეს და საფეხურს ათივეს,
ყოფნა გახდა უბრალო, უაზრო და მარტივი.
მე ყველაფერს მავიწყებს შენი თეთრი ხელები
და პირქუში კოსმოსი სავსე შავი ხვრელებით.
ვერაფრით მივეჩვიე ტკივილს მკერდის არეში,
ყოფნას ფასი არა აქვს თავგანწირვის გარეშე.
დედამიწაც დროდადრო აკვანივით ირწევა,
თავს ადვილად მოვიკლავ, დათრგუნული ისე ვარ.

## ფრთები

მე მეჩვენება, რომ ფრთები არ გვაქვს,
და არც – სურვილი სადმე გაფრენის,
ეს სამყარო კი არაფერს არ ჰგავს,
გამოგონილი და ცრუ ზღაპრებით.

მე უკვე ვიცი, რომ ყველა ტკივილს
და ყველა სევდას ჰქვია სახელი,
მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დღეს, ამ დილით,
უთუოდ შევძლებ თვალის გახელას.
მე კარგად ვიცი, ვინაც აქამდე
მიყვარდა,
დღესაც მიყვარს და ვკვდები,
ველარ მივაღწევ მზეზე ლაქამდე,
რადგან წაიღეს სულიც და ფრთებიც.

*  *  *

მე ოთახში ვარ, მთვარე რაფაზე,
მთელი სამყარო ფეხზე მკიდია,
ჩანს სათანადოდ ვერ დავაფასე
და ვარსკვლავები ჩემგან მიდიან.
მინდა დამთავრდეს, გათავდეს, მორჩეს,
დღეებიც, ღამეც, ტკივილი ყველა,
დღეს ჩვენს ქუჩაზე ხეები მოჭრეს,
მე კი ვერაფრით შევძელი შველა.
მე ვერც საკუთარ გრძნობებს ვუშველე,
მოტყუებული დავრჩი ქალაქით,
სადაც ბიჭები ფრანებს უშვებენ
და მუსიკაზე სურთ ლაპარაკი.
მე აღარა მსურს გამოვიგონო,
შენით სიგიჟე, ან – უშენობა,
იქნებ, ეს სევდაც თან ჩაიყოლონ,
ჩამოქცევისას ცათამბჯენებმა.

## თამაში

ვთამაშობ სიტყვებით,
ფრაზებით,
მარცვლებით
და მგონი, სიცოცხლეც თამაშში გამძვრება.
გარეთ კი თოვლია მუხლამდე... წელამდე...
მე მგონი ისე თოვს, ვერც მოვალ შენამდე.
ამ თოვლში, რომ გრგვინავს. მეზობლის თოფია,
ვიხსენებ საღამოს და „კეფეტოპიას“.
უკრავდა მუსიკა, ქუჩაში გრიგალი,
კაფეშიც, ქალაქშიც მხოლოდ ჩვენ ვიყავით.

*  *  *

კატარღები მიუბამთ ნაპირზე და ნაპირი
მშვიდი სამოთხესავით...
შენ ხომ წასვლას აპირებ?
ქუჩაც გადაუთხრიათ ომის წინა ხაზივით,
შენ ზედმეტად კარგი ხარ, შენ სიყვარულს ასხივებ.
ზეცაც დაბზარულია და ბზარები განივი,
მთაზე ეკლესია ჩანს ნოეს კიდობანივით.
მამამ ვერ დამიტოვა, სამწუხაროდ, ვენახი,
სულ არ შევიცვლებოდი, შენ რომ ადრე მენახე,
აღარ წამოვიდოდი ამ ქალაქში საერთოდ,
ან ღუმელი გაგვენთო, ან ბუხარი გაგვენთო,
აღარ მომიხდებოდა საცობებში ლოდინი,
მანქანიდან გადმოსვლა და ბარბაცი ლოთივით.
კატარღებს, კი, მიბმულებს ნაპირზე და ნაპირი
მშვიდი სამოთხესავით...
მე შენს ნახვას ვაპირებ.

## ჩემი და შენი ამბავი

დილით გაუშვა ფრანი,
მერე აეროპლანით გაფრინდა.
აეროპლანით კი არა,
ისე გაფრინდა, უბრალოდ,
ცხრა მთა რომ გადაიაროს,
მაინც აქ მოვა, უფალო.
ცაში მზე არის ათასი,
მზე მწიფე, როგორც მოცხარი,
გითვლის გაქაჩულ ნაფაზებს,
გითვლის და ოხრავს მოძღვარი.
შენი სამშობლო საბრალო,
ზურმუხტითა და ფირუზით,
ცა მეძავების საბანი
გაშლილი სანაპიროზე.
უბნის ბოზები ნაცემი,
ბარათი ზედა უჯრაში
და ქალწულების საცვლები
გამოფენილი ქუჩაში.

შენი და ჩემი ამბავი
ერთმანეთსა ჰგავს ძალიან,
მეეზოვეს კი ნაგავი
გააქვს და არა სცალია.

*  *  *

მომენატრება შენი ალერსი,
მერე – მკვდარი, მე რომ გავლექსე;
მერე – ზედმეტად ჭრელი მარაო,
პეპლის ფრთასავით როცა ქანაობს;
მერე – ქალაქი ზღვასთან ნაგდები,
განთიადისას როცა ლაგდება
მე არ ვიცვლები, მე ვარ უხეში,
რადგან არსაით არის ნუგეში,
რადგან მთვარე ოდნავ დახრილი,
ვერ შევიცვალე და ტალახივით
დავრჩი ცივი და ასე უგვანო.
იქნებ, არავინ არც შემიყვაროს,
ან, იქნებ, ეს დღეც გამოვიგონე
და ახლა რომ ვწერ, ამ სუსტ სტრიქონებს,
არ წაიკითხავს, იქნებ, არავინ,
იქნება, ვნებებს მიტომ მალავენ,
რომ ყოფნას შერჩეს, უბრალოდ, აზრი,
რომ არ აღმოვჩნდეთ გარეთ ღირსების
და თქვენი სული თუ აღივსება
მიმტევებლობით...
შემინდეთ ცოდვილს!

*  *  *

სანამ შენ გამოჩნდებოდი, მარტო ვიყავი,
არავინ მთვლიდა არც მეზღაპრედ, არც მეიგავედ.
ვწერდი, უბრალოდ, ყველაფერზე: ჩიტებზე, ცაზე,
როცა ვერ ვწერდი ვიჯექი და ვავლებდი ხაზებს.
მერე მოხვედი, მოიტანე წვიმა და ქარი,
დამღალე ძლიერ უძილობით, შიშით და ვნებით,
უეცრად გაქრა ღამეები, ვიცვალე მხარი
და ჩემ მაგივრად აუჯანდნენ სამყაროს მთები.

შენს მოსვლამდე კი, არა ვტყუი, მე სხვა ვიყავი,
გეტყვი, როგორაც მაშინებდა სიკვდილზე ფიქრი,
ხანდახან ახლაც ვიხსენებ და თავს ვერ ვიკავებ,
რადგან კოშმარი წარსულიდან დღესაც ხელს მიქნევს.
შენ კი ჩემს ქალაქს დაუბრუნე მინის თავანი
და ხეივნები გაბადრული მთვარის ნათელით
და როცა გარეთ აღარ იყო მართლა არავინ,
ღამის ტაქსები დაამსგავსე ციცინათელებს.

## ღამდება

ღამდება. მთები ჩანს ფანჯრიდან,
ვერტმფრენი კორპუსებს ჩაუვლის,
არ ვიცი, რა მსურდა, რა მრჯიდა,
მეგონა, დამღლიდა ხმაური.
მეგონა, რიგები შეგვცვლიდა
პურის და მარილის... სიცივე...
მე, მგონი, უბრალოდ, შეგვცივდა,
მე, მგონი, ამაღამ იწვიმებს.
მეგონა, წარსულში დავტოვეთ,
წარმოთქმაც აღარ მსურს – ღალატი,
უბრალოდ, მე ისევ მარტო ვარ,
უბრალოდ, მომწერე – ხვალამდი!

* * *

აქ, ამ ქალაქში, არაფერი არ არის კარგად,
აქ მარტოობის განცდა არის ზედმეტად მწვავე,
ქალაქს, რომელსაც დროდადრო და ნელ-ნელა ვკარგავთ,
„პატრიოტები“ დღეჩაგდებით სიზმრებში წვავენ.
აქ პოეზიის მეფეც არის მიუსაფარი,
მიტოვებული უპატრონოდ დავიწყებისთვის,
მხოლოდ ზამთარი მიდის მასთან თეთრი საბანით,
ოღონდ მალულად, დაფარულად, ოღონდ სხვებისთვის.
აქ პროვინციულ კვნესას ადგას გვირგვინი დაფნის
და რუსთაველის ქუჩის მერე არ არის „მერი“,
არც „მე და ღამის“ ქუჩა არის, სხვა სული დაქრის,
სხვა რამეს ამბობს და სხვაგვარად, „ფიქრობს“ და „მღერის“.
აქ ფარისეველს ტაშს უკრავს და პატივს სცემს ხალხი
და მოღალატემ არ იცის, რომ მოღალატეა,

აქ სამოსელსაც უმეტესად ფერი აქვს თალხი,
სახლში – აჰმედი, ქუჩაში კი მაინც მათეა.
და მე დამღალა ყველაფერმა და ეს წყვდიადიც,
გაორებული სახითა და უგუნურებით,
და საბაგიროს კაბინა კი თავს ძლივს მიათრევს
და ემუქრება მთელ სამყაროს განადგურებით.

## ოდისეა

გვიანია ძლიერ, ძლიერ, ძლიერ, ძლიერ,
მე შენს მონატრებას ვეღარაფრით ვძლიე.
ბოლო ერთი კვირაა უსაშველოდ მიჭირს,
აივნიდან ვისმენ ჭრიჭინების ჭრიჭინს,
სანამ ჩამძინებია, მოდი დავსვამ წერტილს,
ყველაფერთან ერთად ახლა შენზეც ვწერდი.
შენ, ნუ ინერვიულებ, გავაგრძელებ სიზმრად!..
ჩაძინება ჩემი და ხატაეთს მისვლა.
მოკლედ, ეს ოდისეაც, არის შენი ბრალი,
მთვარე ისეთივეა, ყვითელი და მრგვალი.

## წვიმს

წვიმს, ახლა სველი ფერი აქვს ასფალტს,
შენც უფრო მეტად გიხდება კარე,
დიდი ხანია წვიმის დროს არ ვსვამ
და აღარც გასვლა არ მინდა გარეთ.
წვიმს. ჩვენ ერთად ვართ, შენ მოიწყინე...
არ გადაიღო ქალაქში ჯერაც
და სანამ გარეთ ასე იწვიმებს,
მე დავივიწყებ ლექსების წერას.

* * *

მესროლეთ ტყვია, გამიყვანეთ, კოცონზე დამწვით,
გადამიხსენით ვენები და სისხლით გაძეხით,
თქვენ შეგიძლიათ, შეეცადეთ, არ არის გვიან,
მერე წადით და თბილ ლოგინში – მშვიდად ჩაწექით.
დაკავდით სექსით მასთან, ვინაც გგონიათ ნეკნი,
ანდა – პირიქით, – დედოფალი, თავი კი – მონა,

ვისთვისაც მზად ხართ, მხოლოდ მაგ დროს დაიდგათ ეკლის
გვირგვინი, ახლა წვიმაა და გორები ბოლავს.
მე არსად წავალ, ნუ გექნებათ მაგის იმედი
და ვივლი ასე, ცაც იქნება უფრო მაღალი,
ვიცი, ბოლომდე ვერ გამწირავთ, ვერ გამიმეტებთ
და თქმად არცა ღირს, გულგრილობით როგორ დამღალეთ.

## უნდა გადარჩე

უნდა გადარჩე... უნდა მისცე მათხოვარს ხურდა,
არსად დატოვო ოცნება და ფიქრი უშენოდ,
თუნდ ჩამოგახრჩონ, ან უსიტყვოდ დაგხვრიტონ თუნდაც,
თუ ვინმე შენგან შველას ითხოვს, უნდა უშველო.
უნდა გადარჩე... თორემ სევდამ მომიღო ბოლო,
თორემ მეც ვრჩები უსასრულოდ დროში ნარბენი,
მე თუ მიშველის, შენი ყოფნა მიშველის მხოლოდ,
სხვა ვერაფერი, დამიჯერე, სხვა ვერაფერი.

*  *  *

მე შეშლილი ვარ, მისტერ!
წყენას ვერაფრით ვინელებ,
ბაბუაწვერას მისდევს
მინდორში მაგდალინელი.
ბაბუაწვერას მისდევს,
ფრთებს გამოისხამს ნიავის,
ცას უკვდავებას მისცემს
და შეავედრებს იაჰვეს.
მერე სურვილი გაქრეს,
იქნება უფრო მზიანი
და უფუნქციო საგნებს
ვერავინ დააზიანებს.
თავად კი დიდხანს ივლის,
მერე კი უფლის ნებითაც,
გვირგვინს დაიდგამს ივნისს,
დაწნულს, ძეწნების თმებისას.



# ირმა კეკელიძე

## ვარაიდა, სი ვარაიდა

**(მოთხრობაში გამოყენებულია რეალური ფაქტები)**

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში, აფხაზეთშიც, მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდგარ, ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში, სამხედრო, მწვანე-ხაკისფერ ტანსაცმელში შემოსილ, მძინარე მამაკაცთაგან ერთ-ერთმა თვალი გაახილა. მზის სხივმა, რომელიც პატარა სარკმელში დაუკითხავად შემოსულიყო, პირდაპირ თვალებში შეანათა ახლად გაღვიძებულს, რომელმაც თვალები ჭუჭყიანი, მურიანი ხელებით მოისრისა და მის გვერდით აქეთ-იქით მიგდებულ და მიძინებულ თანამებრძოლებს გადახედა.

„რა მჭირს, რა მემართება, სად ვარ? სიზმარში ვარ“? – გაიფიქრა ახლად გაღვიძებულმა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ეს მისი სინამდვილე და რეალობა იყო. ცოტა ხანში გამოფხიზლდა, ირგვლივ მიმოიხედა, აზრზე მოვიდა, ყველაფერი გაახსენდა... ღამე მიტოვებული, ნახევრად ჩამონგრეული, გამურული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობაში გაათენეს. საშინლად დამშეულებს გაუმართლათ, რომ თავი ისეთ ადგილს შეაფარეს, სადაც დარჩენილი თევზის კონსერვები და ქვასავით მაგარი ორცხობილებით სავსე რამდენიმე ყუთი დახვდათ. დამშეულები ისე მადიანად მიირთმევდნენ მოპოვებულ საკვებს, რომ არაფერზე აღარ ფიქრობდნენ. შემდეგ ისე მიეყარნენ და მიიძინეს, არავინ და აღარაფერი ახსოვდათ... სხვებს ისევ ეძინათ... გურამი თანდათან ფხიზლდებოდა, ბოლოს აზრზე მოვიდა და საშინელი სევდა და უიმედობა შემოაწვა მის გულს... ფეხზე წამოდგა, თანამებრძოლებს უხასიათოდ გადახედა. მათ დანახვაზე კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. მთელი ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად ჰქონდათ გატარებული. საამური და ლაღი, უდარდელი წარსული ჰქონდათ. უბნის ბიჭებმა ერთად მოინდომეს ებრძოლათ. ერთად ჩაიცვეს სამხედრო სამოსი და ერთად დაადგნენ ბრძოლის გზას... დასასვენებლადაც ხომ ერთად დადიოდნენ სოხუმში, ზღვაზე. ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე საომრად მოუწევდათ აქ ჩამოსვლა... ხუთი წლის წინ, სოხუმში აფხაზ ბიჭებს, ზურაბს და ვიტალიკას დაუმეგობრდნენ. თბილისშიც ეწვივნენ აფხაზი მეგობრები სტუმრად. მათი მეგობრობა ხომ ლაღი და გულწრფელი იყო... „რა ხდება, რატომ ამოყირავდა ყველაფერი. რა ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს თავს... ან აქ რა მინდა?“ – ფიქრობდა ახლად გაღვიძებული მეომარი და უაზროდ მიშტერებოდა ნახევრად ჩამონგრეული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის ჭუჭყიან კედლებს.

* * *

ოცდაორი წლის გურამმა, როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა და მის უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ზღვა-

ზე წასვლა გადაწყვიტა. სოხუმში ჩასულთ წვიმიანი ამინდები დაუხვდათ. „არ გაგვიმართლა, როგორია, ზღვაზე იყო და ვერ ბანაობდე“, – ბუზღუნებდა მერაბი. გურამმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა უმცროსი ძმა და მის გასართობად ხან რას მოიგონებდა და ხან რას. აგვისტოს თვე იწურებოდა, სოხუმის ცა კი, თითქოსდა, ჯინაზე სულ მოღუშული იყო. დილით ადრე გაღვიძებულმა მერაბმა ისევ ცას გახედა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია: „ისევ მოღრუბლულია, ისევ იწვიმებს. გურამ, დროა აქედან ავიბარგოთ და თბილისში წავიდეთ“. გურამმა საწოლიდან თავი წამოყო და ძმას ორაზროვნად შეხედა. მერე ისევ ბალიშს ჩაეხუტა და ძმას ზურგი შეაქცია. მერაბი გაბრაზდა ძმის საქციელზე და მკაცრი ხმით მიმართა: „რა ზურგი შემაქციე, ვერ გაიგე, რაც გითხარი?“ გურამი სწრაფად გადმობრუნდა ძმისკენ და გაღიმებული სახით უთხრა: „არ იდარდო, ვისაუზმოთ და ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ“. მერაბმა გურამს უსიამოვნო სახით შეხედა და მკვახედ გასცა პასუხი: „ამ მოღრუბლულ და წვიმიან ამინდში ბოტანიკურ ბაღში რა მინდა?... მასულელებ?“... გურამი სწრაფად წამოდგა საწოლიდან, სწრაფად მოიწესრიგა თავი და კვლავ ძმას მიუბრუნდა: „ვიცი, რასაც გეუბნები. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან პატარა სპორტული დარბაზია. იქ მაგიდის ჩოგბურთი შეგვიძლია ვითამაშოთ. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს... ჰოდა, ვითამაშოთ... შემდეგ კიდევ რამეს მოვიფიქრებთ და ამასობაში შეიძლება გამოიდაროს კიდეც...“. მერაბმა ძმას წინააღმდეგობა აღარ გაუწია და ხმადაბლა უპასუხა: „კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა...“.

ნაშუადღევს მაგიდის ჩოგბურთის თამაშით გადაღლილმა გურამმა ძმას ბოდიში მოუხადა: „მერაბ, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია“. მერაბმა ძმას უსიამოვნოდ შეხედა: „ვიცოდი, რომ დიდხანს თამაშს ვერ შეძლებდი და ასე შუა თამაშში მიმატოვებდი...“ იქვე, ახლოს, მდგომი ბიჭი, რომელიც ძმების თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა, ღიმილით მიუახლოვდა მათ, ორივე ხელი გაშალა და ისე მიმართა მერაბს: „თუ გნებავთ, მე გეთამაშებით, მეც თქვენსავით მიყვარს ეს სპორტი...“ მერაბს სახე გაუნათდა და აღფრთოვანებულმა თთქმის ყვირილით, ხმამაღლა უპასუხა: „დიდი მადლობა, ძალიან კარგი, ვითამაშოთ!...“ თავდავიწყებით თამაშობდნენ. მოსაღამოვდა. ისინი კი თამაშის დამთავრებას არ აპირებდნენ. სპორტული დარბაზის კარები საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღო და მოთამაშეებს მიუახლოვდა: „ვიტალიკ, მთელი დღეა, გეძებ. შინ წამოდი, გვიანია!...“ ბიჭებმა თამაში შეწყვიტეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. უცებ გურამი გამოერკვა და უცნობებს მიმართა: „მთელი დღე ერთად გავატარეთ და ერთმანეთს არც კი გავცნობივართ“. მერაბმა ძმას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „მართალი ხარ... მე მერაბი მქვია, ეს კი ჩემი ძმაა, გურამი... თბილისიდან ვართ...“ ვიტალიკამ გაუღიმა ძმებს და თავისი თავი წარუდგინა: „მე ვიტალიკას მეძახიან, ეს ჩემი უფროსი ძმა ზურაბია. აქაური, სოხუმელი აფხაზები ვართ...“ თბილისელმა ძმებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. გურამმა ცნობისმოყვარეობით შეხედა აფხაზ ძმებს და ისე შეეკითხა: „ასე კარგად იცით ქართული? ვერც წარმოვიდგენდით თუ აფხაზები იყავით...“ ძმებს გაეცინათ: „ვიცით, ბებია ქართველი გვყავს, სკოლაც ქართული დავამთავრეთ... ბიჭებო, აქვე, ახლოს, ვცხოვრობთ, წამოდით, გვესტუმრეთ, ერთად ვივახშმოთ!“ გურამს და მერაბს დიდხანს არ უფიქრიათ. ის საღამო ახლად გაცნობილი აფხაზი მეგობრების ოჯახში გაატარეს... დიდხანს საუბრობდნენ. როდესაც ძმებმა, ზურაბმა და ვიტალიკამ ქართული „მრავალჟამიერი“ წამოიწყეს, აფხაზთა ოჯახი, მამის, დედის და ქართველი ბებოს ჩათვლით ფეხზე წამოდგნენ. ფეხზე წამოდგნენ ქართველი სტუმრებიც და ქართული „მრავალჟამიერის“ შემდეგ აფხაზური „ვარაიდა, სი ვარაიდა... ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... ისე დააგუგუნეს, რომ მათმა სიმღერამ მოღუშული ცა გააპო... მეორე დღეს მოღრუბლული ცა მზის სხივებმა გაარღვია და ცისფერ ფონზე ღრუბლები აქეთ-იქით მიმოფანტა...

* * *

ფეხზე წამომდგარი გურამი მძინარე ჯარისკაცებს მიშტერებოდა. მათ შორის თვალებით მისი ღვიძლი ძმა, მერაბი მოძებნა, მიუახლოვდა, დაიხარა, თმაზე ხელი გადაუსვა. მერაბს ისე ღრმად დასძინებოდა, ძმის ხელის შეხება ვერც კი იგრძნო, არც განძრეულა. „როგორ დაღლილა. ყოველთვის ჩემზე ადრე იღვიძებდა. ახლა კი ჩემი ხელის შეხებაც ვერ იგრძნო“, – გაიფიქრა გურამმა. დაფიქრებული ისევ ძმას მიშტერებოდა, როდესაც ავტომატების ერთიანმა გასროლის ხმამ არემარე დააყრუა. ავტომატების ხმას მუსიკის ხმა მოყვა, შემდეგ სიმღერის, ცეკვის და მხიარული შეძახილების ხმა... გურამი სწრაფად გამოერკვა ფიქრებიდან. ჯარისკაცები ოდნავ შეიშმუშნენ და ისევ ძილი გააგრძელეს. გამოფხიზლებული გურამი უცებ მოვიდა აზრზე. ორივე ხელი თავზე მიიდო და გაიფიქრა: „გამარჯვებას ზეიმობენ!... ესენი კი გაღვიძებას არ აპირებენ. თუმცა რომც გაიღვიძონ, რა უნდა ქნან? რეალურად ალყაში ვართ. აქედან როგორ უნდა გავიდეთ. არც ტყვია-წამალი, არც საჭმელი, არც სასმელი, რაღა დაგვრჩენია?!“ იქვე ყურისძირში კი აფხაზთა მხიარული შეძახილების და ზარ-ზეიმის ხმა ისმოდა.

გურამმა მოულოდნელად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. მიძინებულ ძმებს კიდევ ერთხელ გადახედა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ხის ჭრიალა კარები ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა. ცას გახედა, მზემ პირდაპირ თვალებში შეანათა. არემარე შეათვალიერა. რაც თვალში მოხვდა პალმების ლამაზი ხეივანი იყო. სახე გაუნათდა, ღიმილი მოერია. ზარ-ზეიმის ხმა და აფხაზთა მხიარული შეძახილები თანდათან ახლოვდებოდა. გაოგნებული იდგა. ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას გახედა და გაიფიქრა: „როგორმე უნდა შევაჩერო ისინი, ჩემს ძმებს ვერ ჩავახოცინებ. დავარწმუნებ, რომ არ ღირს ჩვენ შორის ბრძოლა...“ დაფიქრებული, წელში გამართული მიდიოდა და მიაბიჯებდა პალმების ბაღში. ბაღის ბოლოს ბეტონის ფართო კიბეს მიუახლოვდა, რომელიც ქვემოთ დიდი მოედნისკენ ეშვებოდა, იქ, სადაც აფხაზები ზეიმობდნენ. ნელი ნაბიჯებით კიბეზე დაეშვა. მიდიოდა ამაყი, თავდაჯერებული, წელში გამართული...

მოედნის შუაგულში მოცეკვავე აფხაზი უცებ შეჩერდა და მზერა კიბეებზე ჩამომავალ ქართველ ჯარისკაცს მიაპყრო. მისმა მზერამ ირგვლივ მყოფნიც შეაჩერა. ყველამ მის მზერას გააყოლა თვალი. მოცეკვავემ ახლომახლო მყოფნი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და წინ წამოვიდა. რამდენიმეჯერ შეჰყვირა, რომ კიბეზე ჩამომავალი შეჩერებულიყო... მის შეძახილს სხვებიც აყვნენ, მაგრამ ჯარისკაცი, თითქოს არ ესმოდა მათი შეძახილები, თავის გზას აგრძელებდა, კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა და ნელი ნაბიჯებით ქვემოთ, მათკენ მიემართებოდა. აფხაზთა ჯგუფს უკანა მხრიდან ხანში შესული, ბრგე, ჭაღარათმიანი, შუბლშეკრული, ხელში ავტომატმოღერებული მამაკაცი გამოეყო. წინ წამოვიდა, მოცეკვავე აფხაზი განზე გასწია, სხვებს მიუბრუნდა და უსიტყვოდ გასცა ბრძანება... კიბეზე ჩამომავალი ქართველისკენ ტყვიების ჯარი დაიძრა. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი დატრიალდა. არ წყდებოდა ტყვიების ნაკადი, რომელმაც ჰაერი ისე გააპო, რომ მისმა ტალღამ ქართველი, სოხუმის ბეტონის დიდ კიბეებზე ჩამომავალი, უიარაღო ჯარისკაცის სხეული ჰაერში აიტაცა და წამით გააჩერა... შემდეგ კი ნელ-ნელა ძირს დაეშვა და კიბის საფეხურებზე ხელებგაშლილი დაენარცხა. მის ხელებგაშლილ, უსულო სხეულს სახეზე ღიმილი შერჩენოდა და ღია თვალებით მიშტერებოდა ლურჯ ცაზე მოკაშკაშე მზეს... მზე კი მის სხივებს უხვად აფრქვევდა არა მხოლოდ უსულოდ დაგდებული ქართველი ჯარისკაცის წაბლისფერ თმას, ფართო მხარბეჭს, გახელილ თვალებს და მოღიმარ სახეს, არამედ მთელ არემარეს, ზღვას, მის ლამაზ სანაპიროს, ქუჩებს, მოედანს, სადაც აფხაზები შეკრებილიყვნენ და ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას, რომელშიც უკვე გამოფხიზლებული ქართველი მეომრები ფეხზე

წამომდგარიყვნენ და რაღაც უსიამოვნოსა და ავის მოლოდინში ერთმანეთს სახეგამეხებული მიშტერებოდნენ...

აფხაზები გარს შემოერტყნენ ცხედარს. ხელით ეხებოდნენ. მიხვდნენ, რომ იარაღის გარეშე იყო და თავჩაქინდრულები იქვე, მის გვერდით, კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ. მხოლოდ ერთი, საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ჯარისკაცი გახევებული იდგა და დასცქეროდა ქართველი ჯარისკაცის უსულო, სისხლში მოცურავე სხეულს... „მე ხომ მას ვიცნობ, ნამდვილად ვიცნობ, ნუთუ ეს ისაა? კი, ნამდვილად ის არის!... ეს გურამია თბილისიდან“. – ფიქრობდა აფხაზი მეომარი და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე... მისი ცრემლების მიზეზს სხვებიც მიხვედრილიყვნენ და უხმოდ გარინდულნი ისხდნენ. შემდეგ ყველამ თავიანთი იარაღი შეამოწმა და ნახეს, რომ არც ერთი ტყვია აღარ დარჩენოდათ. მიხვდნენ, რომ მათმა ტყვიათა ჯერმა აიტაცა იმ ქართველი მეომრის სხეული ჰაერში, რომელიც ახლა მათ წინ ხელგაშლილი, უიარაღო, ღიად დარჩენილი თვალებით მზეს მიშტერებოდა... „ნეტავ, მისი ძმა სად არის, ის მაინც თუ არის ცოცხალი? იქნებ, მას მაინც არ ებრძოლა ამ საშინელ ომში... გუშინწინ ჩემი ერთადერთი ძმა, ვიტალიკა მივაბარე მიწას. ახლა ჩემი ქართველი მეგობარი უნდა მივაბარო... რა საშინელი ბედისწერაა...“ – ფიქრობდა აფხაზი მეომარი ზურაბი და თავს ვეღარ იკავებდა, მუშტებით იწმენდდა ცისფერი თვალებიდან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს... მოცეკვავე აფხაზმა მხარზე ხელი დაადო და მიანიშნა ზურაბს, რომ დრო იყო მიცვალებულისთვის მიეხედათ. არც ერთ ჯარისკაცს არ უკითხავს ზურაბისთვის, რატომ ტიროდა, ვის დასტიროდა ასე ცხარე ცრემლებით. ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის მისთვის ან მეგობარი ან ისეთი ახლობელი იყო, რომ ზედმეტი შეკითხვა კიდევ უფრო გაუმძაფრებდა იმ ტკივილს, რომელიც აფხაზი მეომრის სულსა და გულს ერთიანად სწვავდა და ანადგურებდა...

დუმილის შემდეგ თვალცრემლიანი ზურაბი დაიხარა, მიცვალებულის ხელში აყვანა სცადა. სხვებიც უსიტყვოდ წამოდგნენ, მიეშველნენ მას. ხელში აიყვანეს ქართველი მეომრის ცხედარი. კიბეს ზემოთ აუყვნენ, საიდანაც მოულოდნელად გამოჩნდა ქართველი ჯარისკაცი. გუმანით მიხვდნენ, რომ იქ, სადმე ახლომახლო, მისი თანამებრძოლები იქნებოდნენ...

გაოგნებული და სახეზე ნირწამხდარი მერაბი მიტოვებული მაღაზიის შენობის შიგნით წინ და უკან გადი-გამოდიოდა. თანამებრძოლებს უყურებდა და თითქმის ყვირილით ეკითხებოდა: „სად არის ჩემი ძმა, სად წავიდა, სად დაიკარგა?“... ამასობაში მეომრებს გარედან აფხაზთა ფეხის ხმა და ლაპარაკი შემოესმათ... გარინდულნი იყვნენ... აღარ იცოდნენ, რა ექნათ... აფხაზი მეომრები შენობას მიუახლოვდნენ. ზურაბმა მათ თვალებით ანიშნა, რომ შეჩერებულიყვნენ. მიცვალებული იქვე, მწვანედ მობიბინე ბალახზე, დაასვენეს. თვითონ ჩამონგრეული შენობის მორყეულ კარებს მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. შემდეგ ქართულად შესძახა: „გამოდით, თუ მანდა ხართ, აქ თქვენი მიცვალებულია. მიხედვა უნდა, დამალვას აზრი არა აქვს, გამოდით!...“

ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს გაფითრებული სახეებით გადახედეს. უსიტყვოდ მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო აფხაზთა ხელში ჩავარდნილი მიცვალებული. მერაბს სახე გაუშეშდა, ენა ჩაუვარდა და უაზრო, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით უყურებდა მის გვერდით მყოფ, უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მეომრებს. „რა უნდა ვქნათ, ბიჭებო?!“ – იკითხა ერთმა ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა თეთრი მიტკლის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული და მარცხენა ხელში ცარიელი, ტყვიების გარეშე დარჩენილი ავტომატი ეჭირა. „ვერაფერს ვერ ვიზამთ, ალბათ ყველა გურამის ბედს გავიზიარებთ“, – ხმადაბლა წარმოსთქვა იქვე მდგარმა დაბალი ტანის შუბლშეკრულმა, თავჩაქინდრულმა მეომარმა და თავი უფრო მეტად ჩაქინდრა...

მერაბმა ცრემლები მოიწმინდა, მეომრებს გახედა და ხმამაღლა კბილებში გამოსცრა: „საკმარისია მსხვერპლი, უნდა ვიმღეროთ და სიმღერით გავიდეთ აქედან“. მეომრები ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა მერაბი და შეძახილებით ეკითხებოდნენ: „რა სიმღერა?... ხომ არ გაგიჟდი?... ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?“... მერაბი გაშეშებული, გამეხებული სახით იდგა. უცებ ყელი მოიღერა, თან სხვებსაც ანიშნა, ამყევითო და აფხაზური სიმღერა წამოიწყო: „ვარაიდა სი ვარაიდა“... შენობის შიგნით მყოფნი ხმაშეწყობილად აყვნენ... მათდა მოულოდნელად და გასაკვირად გარეთ მყოფმა აფხაზმა მეომრებმა ხმამაღალი შეძახილით ერთხმად გააგრძელეს სიმღერა: „ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... შენობის შიგნით და გარეთ მყოფნი, ქართველი და აფხაზი ჯარისკაცები ხმაშეწყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერის ექო ცას სწვდებოდა. ქართველებმა სიმღერით გამოაღეს ხის კარები და რიგრიგობით გამოდიოდნენ დანგრეული შენობიდან. აფხაზმა ჯარისკაცებმა დერეფანი გააკეთეს და გზა დაუთმეს ქართველ მეომრებს. შემდეგ ქართველი ჯარისკაცის ცხედარი ხელში აყვანილი იქვე მახლობლად მდგარ სატვირთო ავტომანქანამდე მიიტანეს, ზედ დაასვენეს და ქართველ მეომრებსაც მიანიშნეს, რომ დამსხდარიყვნენ ავტომანქანაზე და რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ მათი სიცოცხლისათვის საშიში ადგილსამყოფელი... მერაბი თავად იჯდა სატვირთო ავტომანქანის საჭესთან და ძმის ცხედართან ერთად მისი ცოცხალი თანამებრძოლები სამშვიდობოს გაჰყავდა...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში – აფხაზეთშიც კარგი დარი იდგა. მოკრიალებულ ცაზე მოკაშკაშე მზე უხვად აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს ძირძველი ქართული კუთხის ულამაზეს ბუნებას, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებს და დაობლებული, დადუმებული, მიტოვებული სანაპიროს გაღვიძებას ამაოდ ცდილობდა...

## ჩემი სახლი

სექტემბრის თვე იდგა. თბილისური მზიანი დილა გათენდა. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯებით მიაბიჯებდა საშუალო სიმაღლის, ოდნავ ჩაფსკვნილი, თეთრი, მრგვალი პირისახის ქალბატონი, რომელიც დიდ, ცისფერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ხელში დიდი, შავი, გაბერილი ჩანთა ეჭირა. ახალაშენებული კორპუსის დიდ, შავ ჭიშკართან გაჩერდა. ღრმად ამოისუნთქა, ჭიშკარი ჭრიალით გააღო და ეზოში შევიდა.

– მერი მოვიდა, მერი! – შესძახა ეზოში მდგარ ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარმა მოხუცმა ქალბატონმა ზიზიმ და სიხარულით ტაშიც შემოჰკრა. მისი ხმის გაგონებაზე, ახლად აშენებული კორპუსის ეზოში, პირველი სართულის, ეზოს მხარეს არსებული რკინის კარებიდან ხანში შესული მამაკაცი, ვახტანგი გამოვიდა. მერის დანახვაზე მასაც გაეღიმა და ხელგაშლილი მიეგება.

– მოხვედი, მერიკო?! მთელი კვირაა არ გამოჩენილხარ. ძალიან დავდარდიანდი. ვიფიქრე, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. როგორც ჩანს, მძიმე ჩანთა გიჭირავს, დაგეხმარები, – უთხრა ვახტანგმა მერის და ჩანთა ჩამოართვა. მერი ქოთქოთით შევიდა მოხუცთა სახლში, რომელიც კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულიყო.

– ოჰ, როგორც იქნა, მობრძანდა ჩვენი დაკარგული ქალბატონი, – ფეხდაფეხ მიაგება პანსიონის დირექტორმა მერიკოს და თან თვალებით ანიშნა, ტახტზე, ჩემ გვერდით ჩამოჯექიო. მერიკო გვერდით მიუჯდა და თან ცისფერ თვალებს აქეთ-იქით ინტერესით აბრიალებდა.

– როგორ არიან მოხუცები?... ხომ ყველაფერი წესრიგშია?... ღერღილი, მჭადის ფქვილი და მეგრული სულგუნი მოგიტანეთ. გუშინ მომიკითხა ზუგდიდიდან ჩამოსულმა ნათესავმა, –

ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა მერი და თან ინტერესით პანსიონის დირექტორს, ქალბატონ ლალის შეჰყურებდა. ლალიმ მხარზე ხელი დაადო და მშვიდად უპასუხა:

– წესრიგშია, ყველაფერი წესრიგშია. შენ როგორა ხარ, მერიკო, რა ჰქენი, მოაგვარე პრობლემები?

მერიკომ ორივე ხელი მუხლებზე დაიწყო. ცოტა ხანს დუმდა. შემდეგ ლალის თვალებში შეხედა და ხმადაბლა ჩაიბურდღუნა:

– მოვაგვარე, თუ ამას მოგვარება ჰქვია, მაგრამ აღარ დავეძებ. ხელმეორედ გადავაგირავე სახლი. მე და ჩემი ავადმყოფი, უსინათლო ძმა ისევ იმ პატარა სამზარეულოში ვიქნებით, სადაც აქამდე ვიყავით. ცოტა უფრო მეტად მინდოდა გადამეგირავებინა, მაგრამ არ გამომივიდა. სვანეთის უბანში, მაღლობზე მეტი არ მომცეს. ეჰ, რა ვქნა, რაც არის, ეს არის!...

– ბიჭისგან რამე ისმის, მერიკო? – შეეკითხა პანსიონის მობინადრე ვახტანგი და თან იქვე სავარძელში ჩამომჯდარმა სიგარეტი გააბოლა. ამის შემყურე ლალი სიბრაზით წამოწითლდა და მერიკოს პასუხის გაცემაც აღარ დააცადა, ეტაკა ვახოს და სიგარეტი ხელიდან წაგლიჯა.

– რამდენჯერ გთხოვეთ, ბატონო ვახტანგ, სიგარეტი აღარ მოგეწიათ. ორჯერ მყავდა თქვენს გამო სასწრაფო დახმარება მოყვანილი და ისევ იგივეს აკეთებთ?!

– არა, ქალბატონო ლალი, როგორ გეკადრებათ, რამდენი ხანია სიგარეტი აღარ მომიწევია. დღეს, მერიკო რომ დავინახე, ზედმეტი ემოციისგან თავი ვეღარ შევიკავე. მაპატიეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სიგარეტს აღარ გავეკარები, – ემუდარებოდა ბავშვივით დაბნეული ვახტანგი პანსიონის დირექტორს.

– კარგი, ლალი, გეხვეწები, აპატიე. ყველა გაგანერვულეთ ჩემი ოჯახური ცხოვრებით და პრობლემებით... კიდევ კარგი, ჩემი ბიჭი მშვიდობით ჩავიდა ადგილამდე. ძალიან განვიცდი, მაგრამ სხვა საშველიც რომ არ გვქონდა. არ მინდოდა, ჩემი ერთადერთი შვილი სადღაც უცხოეთში გადახვეწილიყო. თან როგორ ვზრდიდი... წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. განათლებული ბიჭია, პროფესიით ისტორიკოსი, მაგრამ ვის რად უნდა შენი ისტორია და განათლება, – თქვა გულმოკლულმა მერიკომ და ტახტიდან ყოჩაღად წამოდგა. იქვე, სამზარეულოში, შევიდა, ცოცხს და აქანდაზს ხელი წამოავლო და მოხუცების ოთახების დაგვა დაიწყო.

შუადღემ მოატანა. პანსიონის კარები ახალგაზრდა, სანდომიანი სახის ქერათმიანმა ქალმა შემოაღო. აქეთ-იქით მიმოიხედა. ფოიეში არავინ იყო. გეზი სამზარეულოსკენ აიღო. სამზარეულოში შესულს ჭურჭლის რეცხვაში გართული მერიკო ზურგშექცევით დახვდა. ქალი მერის ზურგს დაჟინებით მიაშტერდა. შემდეგ მკაცრი ხმით მიმართა:

– მერი!

მერიმ ჭურჭლის რეცხვა წამით შეწყვიტა და სახე ქალისკენ მიაბრუნა. ქალი თავს აქნევდა და გაბრაზებული უყურებდა მერის... ქალმა მკაცრად გააგრძელა და მერის შეკითხვები მიაყარა:

– მერი, რატომ მითიშავ ტელეფონს? რატომ არ მპასუხობ? – მერიმ პასუხი არ გასცა. ჭურჭლის რეცხვა განაგრძო.

– მერი, შენ გელაპარაკები! პასუხი გამეცი! მასხრად მიგდებ ამხელა ქალს?!... რა გჭირს, ავად ხომ არა ხარ?!

მერიმ თავი ვეღარ შეიკავა, ჭურჭლის რეცხვა შეწყვიტა, ხელები საგულდაგულოდ დაიკაპიწა, შემდეგ დოინჯი გაიკეთა, გამეხებული სახით მოტრიალდა და მკვახედ უპასუხა:

– რა გინდა, ნანა, რას გადამეკიდე, რატომ გინდა, რომ წყობიდან გამომიყვანო? რატომ გინდა, რომ შეურაცხყოფა მოგაყენო?!... იცი, შენ როგორ მიყვარხარ!

– ვიცი, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ძალიან მწყინს, რომ არ მიჯერებ, ყურს არ მიგდებ და ჩემს რჩევას არაფრად აგდებ! – უპასუხა ნანამ და მერის მისდაუნებურად მიუახლოვდა. ხელი ხელზე მაგრად წაავლო და სთხოვა, რომ სამზარეულოში მდგარ მაგიდასთან რბილ სავარძელზე ჩამომჯდარიყო. მერი დაემორჩილა.

თავჩაქინდრული სავარძელში დაეშვა და ჩუმად მიმართა ნანას:

– მითხარი, რა გინდა, რატომ დამდევ? აქ ჩვენი სამსახურია, ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. რატომ გინდა, რომ გული მატკინო?! მელაპარაკები იმაზე, რისი მოსმენაც არ მინდა და რასაც არასოდეს დავთანხმდები.

– მერიკო, ძალიან კარგად იცი, რომ შენთვის სიკეთე მინდა. გეხვეწები, მომისმინე და დამიჯერე! – არ ეშვებოდა ნანა.

– მოგისმინო, დაგიჯერო! რა ადვილად და უბრალოდ ამბობ... რა მოგისმინო, რა დაგიჯერო!... ან რატომ უნდა მოგისმინო? რატომ უნდა დაგიჯერო? – არ ცხრებოდა მერი.

– რისი იმედი გაქვს, მერიკო? ღმერთმა შანსი მოგცა, რომ მდგომარეობიდან გამოხვიდე და უარს ამბობ? რითი ვერ გაიგე, რომ აფხაზეთში მთელი არქივი განადგურებულია, ის სახლი ისედაც აღარ არის შენი!... იქ ჩვენი აღარაფერი არ არის!...

ნანას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სამზარეულოში მათ ცხარე კამათს პანსიონის შეფი, ქალბატონი ლალი შემოესწრო. ორივე გაისუსა. ლალიმ ინტერესით გადახედა ორივეს და შუბლშეკრულმა ოდნავ მკაცრი ტონით მიმართა:

– რა ხდება, რატომ კამათობთ?... სადაცაა მოხუცები უნდა ვასადილოთ და რას ფიქრობთ, დიდხანს აპირებთ კამათს?

– არა, ჩემო ლალი, ახლავე მივხედავთ ყველაფერს, ახლავე!... გაიგე, გოგო?!... მიხედე საქმეს, – დაუქაქანა მერიკომ ნანას და სამზარეულოში ციბრუტივით დატრიალდა.

* * *

შუადღე გადასული იყო. მერიკო პანსიონის ფოიეში ტახტზე ჩამომჯდარიყო და თავისთვის თვალებდახუჭული თვლემდა. უცებ მობილური ტელეფონის ხმამ გამოაფხიზლა. დაბნეულმა მობილური ტელეფონი ყურთან მიიდო და ხმამაღლა უპასუხა:

– გისმენთ!... კი ბატონო, გისმენთ!... რომელი ხართ?... ლეილა?... ჰო, გისმენ, ლეილა! – მერიმ სერიოზული სახე მიიღო და გაირინდა. რამდენიმე წუთი უხმოდ ჰქონდა მობილური ტელეფონი ყურთან მიდებული და გამეხებული სახით თავზე წამომდგარ ზიზის უაზროდ მიშტერებოდა. ამასობაში ფოიეში ნანა და ლალი ხელში ხილით სავსე თასებით შემოვიდნენ. მათი ყურადღება მერის მკაცრმა და ხმამაღალმა ლაპარაკმა მიიპყრო.

– ლეილა, ძალიან მიხარია, რომ ბავშვი კარგად არის!... ძალიან ვნერვულობდი... მაგრამ ჩემიც მოისმინე!... რას მთხოვ, ლეილა, რას?... ჩემი სახლი როგორ მოგყიდო, როგორ?... ის ჩემი სახლია!... იცხოვრე, ისედაც ხომ ცხოვრობ, მაგრამ გაყიდვას ნუ მომთხოვ!... რა გინდა, ლეილა, ცოცხლად გინდა დამმარხო?!...დამანებე თავი, ლეილა, ჩემი გაჭირვება მეყოფა!... – გაბრაზებულმა მერიმ მობილური გათიშა და იქვე ტახტზე მიაგდო. ფეხზე წამოდგა, პანსიონის კარი გააღო და გარეთ ქაქანით გავიდა. ლალიმ და ნანამ ხილით სავსე თასები პანსიონის ფოიეში მდგარ მაგიდაზე მოათავსეს. დირექტორმა მერის თვალი გააყოლა, შემდეგ ნანას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ამიხსენი, რა ხდება, განერვულებული ჩანს, რაღაცას მიმალავთ, მითხარი, რა ხდება? ხომ მშვიდობაა მერის ოჯახში?

ნანამ ლალის შეხედა და თითქმის ხვეწნით მიმართა:

– ქალბატონო ლალი, იქნებ თქვენ დაელაპარაკოთ, იქნებ, თქვენ შეაგნებინოთ რამე.

– მითხარი, რა ხდება და მოგიკვდეს ჩემი თავი, აგერ არა ვარ?!... რა არის ისეთი, რომ მერიმ მე არ დამიჯეროს?... – ინტერესით ჩაეკითხა ლალი. ნანამ მზერა პანსიონის კარისკენ გადაიტანა, მერი ხომ არ დაბრუნდაო და დაიწყო:

– რა, ქალბატონო ლალი, და სოხუმიდან მერის აფხაზი მეზობლები, ლეილა და ნატო ჩამოვიდნენ თბილისში. რძალ-მული არიან. ლეილას ბავშვი არ ჰყავდა კარგად და აქ, თბილისში, გაუკეთდა ოპერაცია. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბავშვი გამოკეთდა. ლეილა ოჯახთან ერთად, ამჟამად სოხუმში, მერის მამისეულ სახლში ცხო-

ვრობს. უვლის იქაურობას. მერიც კმაყოფილია, რომ ლეილა ცხოვრობს მის სახლში. ლეილას ცხონებული ქმარი, მერის ნათესავი, ქართველი იყო. ლეილამაც კარგად იცის ქართული. მერისთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ტელეფონით აქვთ ერთმანეთთან კავშირი. გუშინ დილით ლეილა სახლში მეწვია და მთხოვა, რომ მერის დავლაპარაკებოდი და მეთხოვა, სახლი მისთვის მიეყიდა.

– რომელი სახლი? ვერ გავიგე, – ჩაეკითხა ლალი.

– რომელი სახლი და სოხუმის სახლი, სადაც ახლა ლეილა და ნატო თავისი ოჯახებით ცხოვრობენ. – ლალიმ მხრები აიჩეჩა და ისე უპასუხა:

– რა უნდა მიყიდოს, ისედაც მათი არ არის?

– ჰოდა, მეც ამას ვეუბნები. ისედაც დაკარგული აქვს ყველაფერი. იქ ჩვენი კანონმდებლობა არ მოქმედებს. მადლისთვის ლეილა წესიერი ადამიანია და სთავაზობს გარკვეულ თანხას, რისი შესაძლებლობაც აქვს, აიღე და მეც მშვიდად ვიქნებიო. მხოლოდ მინდობილობას სთხოვს, რომ თანახმაა მერი, მისი სახლის მესაკუთრე ლეილა იყოს, მისი აფხაზი ნათესავი და მეზობელი. თანაც იმ ფულით, ქალბატონო ლალი, დაგირავებულ სახლსაც გამოიხსნიდა ეს საცოდავი, ვალსაც მთლიანად გაისტუმრებდა და იმდენიც დარჩებოდა, რომ კარგა ხანს პრობლემაც აღარ ექნებოდა. მაინც დაკარგული აქვს ყველაფერი და ეს იმ თანხის სანაცვლოდ, რასაც ლეილა სთავაზობს, მინდობილობასაც არ აძლევს. ვერაფერი ვერ გავაგებინე, ვერაფერი ვერ შევაგნებინე. იქნებ, თქვენ დაელაპარაკოთ, ქალბატონო ლალი, ძალიან მეცოდება. სოხუმში ჩვენი ოჯახი მეგობრობდა მათ ოჯახთან, დიდ პატივს ვცემდით. თვითონაც ვუყვარვარ, იმიტომაც მომიყვანა თქვენთან სამუშაოდ, მაგრამ ხომ ხედავთ, რა ჯიუტი ქალია, რა ქვის ნატეხია, – სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ნანა და ლალის მუდარის თვალებით შესცინებდა. ლალი გაოგნებული იჯდა და ხმას არ იღებდა. შემდეგ თავზე ხელი გადაისვა, ნანას შეხედა და გაოცებულმა უპასუხა:

– კარგი, დაველაპარაკები. შევეცდები დავითანხმო.

ამასობაში პანსიონის დერეფნის კარი მერიმ ქოთქოთით შემოაღო, ხელში პოლიეთილენის პარკი ეჭირა, რომელშიც რამდენიმე თონის პური საგულდაგულოდ მოეთავსებინა. გეზი სამზარეულოსკენ აიღო, მაგრამ ლალის ხმამ შეაჩერა:

– მერი, პური სამზარეულოში შეინახე და მოდი, აქ დამიჯექი, შენთან სალაპარაკო მაქვს.

მერი სწრაფად შევიდა სამზარეულოში და, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში ლალის გვერდით, ტახტზე, ყელმოღერებული წამოსკუპტა. ფოიეში ვახოც შემოვიდა და იქვე, სავარძელში, ჩამოჯდა. ხელში გაზეთი მოიმარჯვა და ჩუმად კითხვა დაიწყო. ლალიმ ვახოს გახედა, შემდეგ მერიკოს მიუბრუნდა და დაუყვავა:

– მერიკო, რა ხდება, ბინა ხომ გადააგირავეთ?

მერიმ გაკვირვებულმა შეხედა და უპასუხა:

– ამ დილით, ყველაფერი ხომ მოგახსენეთ, ქალბატონო ლალი?! ბინა არა, სახლი, სახლი გადავაგირავე ხელახლა.

– მერიკო, ნანამ ყველაფერი მითხრა. რატომ ჯიუტობ? რატომ იტანჯავ თავს? ისედაც კარგად იცი, რომ ყველაფერი დაკარგული გაქვს. ვინ დაიბრუნა სოხუმში სახლი, რომ შენ დაიბრუნო?... შენი ნათესავის ცოლი, შენი ყოფილი მეზობელი, აფხაზია? – ჩაეკითხა ლალი და მერის პასუხს სულმოუთქმელად დაელოდა.

– დიახ, აფხაზია, კარგი ქალია, არაფერი მეთქმის, ის მისას მთავაზობს...

ლალიმ მერის ლაპარაკის დამთავრება არ დაეცადა და თვითონვე გააგრძელა:

– როგორც ჩანს, წესიერი ქალია, თორემ სხვა, მის ადგილზე მყოფი, ვინ რას შემოგთავაზებდა? სოხუმში შენი სახლის იურიდიული მესაკუთრე ვინ არის?

– იქაური კანონმდებლობით ლეილაა, ქალბატონი ლეილა, მაგრამ მასაც უნდა, რომ ჩემთან მართალი იყოს და მეც ვისარგებლო რაღაცით. მხოლოდ მინდობილობას მთხოვს, მაგრამ არ შემიძლია, ქალბატონო ლალი, არ შემიძლია,

მისგან მე ფულს ვერ ავიღებ, ვერ გავყიდი ჩემს სახლს, მამაჩემის სახლს! ასჯერ მეტიც რომ მომცეს, არ მინდა! – მერიმ ორივე ხელი ზემოთ ასწია და ჭერს ახედა. გაოგნებული ლალი მერის მიშტერებოდა. ცოტა დუმილის შემდეგ ლალიმ ისევ დაიწყო:

– მერიკო, ძალიან გთხოვ, ყველაფერს რეალურად და ჯანსაღად შეხედე. გაიაზრე, რა დღეში ხარ. შენი ხელფასით თვიდან თვემდე ვერ გაგაქვს თავი. თან ავადმყოფ ძმას უვლი. შენი შვილიც იძულებული გახდა უცხოეთში წასულიყო და არც კი იცი, რას შეძლებს და რას მოახერხებს. სახლიც დაგირავებული გაქვს... აიღე ფული და მოიგვარე შენი პრობლემები. რისი იმედი გაქვს, მერიკო, დაფიქრდი!

მერიმ თვალზე მომდგარი ცრემლი მუშტით მოიწმინდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– იმედი ღარიბი ადამიანის სანოვაგეა, არც დაგაწყნარებს და არც მშიერს დაგტოვებს.

ლალიმ თანაგრძნობით შეხედა მერის, შემდეგ ვახოს და ნანას გადახედა. დუმილის შემდეგ ისევ მერიკოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– კარგი სახლი გქონდათ სოხუმში?

უცებ ნანამ თავი ასწია და მერის მაგივრად უპასუხა:

– ქალბატონო ლალი, მათ ოჯახს ყველა იცნობდა სოხუმში. გამორჩეულად შეძლებული ოჯახი იყო. ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა სოხუმელმა იცოდა, ვინ იყვნენ კანკავები. ყველაზე პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ ადგილზე ცხოვრობდნენ, ლესელიძის ქუჩაზე. საკუთარი სანატორიუმი ჰქონდათ, ედემის ბაღით და სამი ულამაზესი აუზით.

– აუზებს ნუღარ გამახსენებთ. მიწით ყოფილა ამოვსებული და ზედ პომიდორი, ქინძი და ოხრახუში მოჰყავთ თურმე. ბაღში იმდენი ჯიშის კაქტუსი და სხვადასხვა დეკორატიული მცენარე მქონდა, რომ ვერც ვითვლიდი. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. გამწვანების დიზაინერ-დეკორატორი ვარ პროფესიით და რა უფლება მქონდა, ედემის ბაღი არ მქონოდა, – ისევ აქაქანდა მერი.

– მერი, ვიცი, რასაც გრძნობ, რა განცდაც გაქვს, მაგრამ დაფიქრდი, ცივი გონებით იმსჯელე და ისე მოიქეცი, როგორც შენს მდგომარეობას სჭირდება. ის ფული, რასაც ლეილა გაძლევს, დაკარგულ სოხუმის სახლში, რეალურად შენთვის ხომ საჩუქარია?! – უთხრა ნანამ და ლალის შეხედა გადიდებული თვალებით. მერის არც კი შეუხედავს მისთვის და თითქოსდა, მისი ნათქვამი არც კი გაუგიაო, ისე განაგრძო:

– ვიცი, რასაც ფიქრობთ ჩემზე, თქვენს თვალში, ალბათ, დებილს ვგავარ, მაგრამ დებილი არ ვარ!

– რას ამბობ, მერიკო, დებილი კი არა, საოცარი ადამიანი ხარ, – თავი ვერ შეიკავა ვახომ, გაზეთი გვერდით მაგიდაზე გადადო და მერის გაოცებული თვალებით შეხედა:

– მე შენი ძალიან კარგად მესმის. მეც ჩამაცივდნენ ჩემი ოჯახის წევრები, შენი ვალტორნა გაყიდეო, მაგრამ არ გავყიდი! ასაკში ხარ, არ მუშაობ, ველარ უკრავ, რად გინდა, ტყუილად რომ გიდევსო. კარგი კლიენტი გვყავს და, გინდა თუ არა, გაყიდეო!

– მერე, გაყიდე, რატომ არ ყიდი, თუკი მაინც არაფერში აღარ იყენებ? – დაუფიქრებლად მიახალა ნანამ.

– რაო? ხომ არ გასულელდით თქვენ, ჩემს ვალტორნაში მთელი ჩემი ახალგაზრდობაა დარჩენილი... მე სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავდი, მუსკომედიაშიც ვმოღვაწეობდი. სულ ასეთი კი არ ვიყავი, – გაბრაზებულმა უპასუხა ვახომ.

– რატომ გაბრაზდით, ვახტანგ ბატონო, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ რა ინსტრუმენტია ეს ვალტორნა ასეთი, რომ გასაყიდად ვერ იმეტებთ-მეთქი. მაჩვენა მაინც რა არის და როგორია, – დაუყვავა ნანამ ვახოს და თვალის მზერა ისევ მერიკოსკენ გადაიტანა. ვახო მისი ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა და ფოიე დატოვა. შემდეგ ისევ სწრაფად დაბრუნდა და ხელში ვალტორნას პატარა, ოქროსფერი მოდელი ეჭირა... მოდელი ნანას თვალებთან მიუტანა და უთხრა:

– აი, ეს არის ვალტორნა, ეს მისი მოდელია, ჩასაბერი ინსტრუმენტია. საქართველოში ყველა პროფესიონალი მუსიკოსი მიცნობდა მე, ვახტანგ იაშვილს, როგორც ვალტორნის საუკეთესო დამკვრელს. საკმაოდ რთული საქმეა ვალტორნაზე დაკვრა, ადვილი არ გეგონოთ. უცხოეთში ათი ათასი დოლარი აქვთ ხელფასი, ვინც ვალტორნაზე უკრავს, ხოლო, როდესაც პენსიაზე გადიან – საამური და უზრუნველყოფილი ცხოვრება... მე კი რა, საცოდავად 180 ლარი მაქვს პენსია. როდესაც ჩემი პატარა შვილიშვილი მოდის ჩემს სანახავად, სირცხვილით ვიწვი. ბავშვისთვის ვერაფერი ვერ მიჩუქნია.

– გამაგიჟებს ეს ხალხი. ერთს დაკარგული სახლის გაყიდვა არ უნდა, მეორეს კი – გამოუყენებელი ვალტორნის! – გაოცებას ვერ მალავდა ნანა და ხან ვახოს და ხანაც მერის გაბრაზებული სახით მიშტერებოდა. ლალიმ ნანას შეხედა და სევდანარევი ღიმილით მიმართა:

– ვერ განვსჯით, ნანა, ჩემო კარგო! ხომ ხვდები, მათ გულებში რა ტკივილიც არის ჩაბუდებული. ნუღარ გავანერვულებთ. იყოს ისე, როგორც მათ უნდათ!

ვახომ ლალის მადლიერების თვალით გადახედა. შემდეგ ისევ მის ხელთარსებული ვალტორნის ოქროსფერ მოდელს დახედა და პანსიონის ფოიე ნელი ნაბიჯებით დატოვა. მერიმ თვალი გააყოლა ვახოს და თავისთვის წამოიწყო ლაპარაკი:

– მე ჩემს სახლს არც სოხუმში გავყიდი და არც მაჭარკაში.

– მაჭარკა სადღაა? – ჩაეკითხა ლალი.

– მაჭარკაშიც გვქონდა სახლი მე და ჩემს ქმარს, ალექსანდრე ბეჭვაიას. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს მისი თავი. მაჭარკაში პორტიც იყო და სვანეთში მიმავალი გზაც. მაჭარკასთან ახლოს იყო აგუძერაც, დრანდაც, გუმისთაც, მაიაკიც... როდესაც მაიაკი დაიბომბა, ვინც კი გადარჩა, თითქმის ყველა ჩვენთან გვყავდა სახლში. ზოგმა სვანეთის გზით დატოვა იქაურობა, ზოგიც გემით ფოთის გზას დაადგა. ჩემი სახლი ყველას თავშესაფარი იყო. ყველაფერს ვაკეთებდით მე და ჩემი ოჯახი, რომ მიგვეხედა მათთვის... ბევრი კონსერვი მქონდა გაკეთებული, სურსათიც ბლომად გვქონდა მომარაგებული. ვინც შევიფარეთ, არავინ არ გვიშიმშილებია. მაინც ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი მათ მოვახმარე, ღმერთმა შეარგოთ!... ბოლოს, როცა იქ გაჩერება შეუძლებელი იყო, ჩვენც დავტოვეთ იქაურობა. მთელი ოჯახი გემით ფოთში წამოვედით. ჩემი შვილი, შალვა, ძალით ავიყვანეთ გემზე, საიდანაც გადმოხტომა სცადა და ძლივს გავაკავეთ... ჩემი ბიჭი ოცნებობს, რომ მის სახლში ჩავიდეს, მისი სახლი ნახოს და მისი ოცნების სახლი როგორ გავყიდო? ჩემი ხელით დავწერო მინდობილობა და დავადასტურო მისი საბოლოოდ დაკარგვა? – მერიმ თავი ჩაღუნა და ლამინირებულ იატაკს უაზროდ დაუწყო ცქერა. ლალიმ თანაგრძნობით გადაუსვა თავზე ხელი და მორიდებით ჰკითხა:

– ძალიან გენატრებათ იქაურობა?

– მე ხომ ფიქრებით იქ ვცხოვრობ. იქ ვიძინებ და იქ ვიღვიძებ, სოხუმში, ჩემს სახლში, ჩემს ლამაზ ეზოში... ჩემი ბაღის, ჩემი ყვავილების, ჩემი ზღვის სურნელი მენატრება. ჩემი ოცნება, ჩემი მონატრება, ჩემი იმედი როგორ გავყიდო? – მერის ცრემლები რომ დაემალა, სავარძლიდან წამოდგა და სამზარეულოში გავიდა...

* * *

საღამოს, როდესაც მოხუცებმა ივახშმეს, მერიმ პანსიონში ყველაფერი სწრაფად მიალაგ-მოალაგა, იატაკი მოწმინდა და მოაპრიალა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და წასასვლელად მოემზადა.

– მიდიხარ, მერიკო? ხვალ ისევ მოხვალ? – ფეხდაფეხ მიაყოლა შეკითხვების კორიანტელი მოხუცმა ზიზიმ. მერიმ თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ თავი დაუქნია და გასასვლელისკენ გაემართა.

– მერი, მოიცადე, არ წახვიდე! – მოესმა ლალის ხმა. მერი შეჩერდა. პანსიონის დირექტორი მიუახლოვდა და ხელში სავსე ჩანთა შეაჩეჩა.

– რა არის ეს, ქალბატონო ლალი? – ჩაეკითხა მერი პანსიონის შეფს.

– რა არის და საჭმელია. ცოტა ხილი, ცოტა ხორცი, ცოტაც ღვინო, თონის პური და ცოტა ტკბილეულიც. შინ რომ მიხვალ, დაღლილი იქნები, ძმასთან ერთად ივახშმე და დაისვენე! – ხმადაბლა უპასუხა ლალიმ. მერიმ მადლობის ნიშნად უხმოდ გაუღიმა ქალბატონს და პანსიონი დატოვა...

* * *

სექტემბრის თბილი საღამო იდგა. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ნელი ნაბიჯებით მიაბიჯებდა საშუალო სიმაღლის, ოდნავ ჩაფსკვნილი, თეთრი, მრგვალი პირისახის, ცისფერთვალება ქალბატონი და ფიქრობდა: „მე განა არ ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გინდათ. განა არ ვიცი, რომ ყველაფერი ისედაც დაკარგულია?! მაგრამ ჩემს გულს რა ვუყო?! ჩემს თავს არ ვჩივი, ამქვეყნიურ ცხოვრებასაც არ ვჩივი! მთავარია, უფალთან ვიყო მართალი!... ან რა უნდა დავიჩივლო?... არა, მე არაფერს არ ვჩივი, რაც ჩემს თავს ხდება. მე მხოლოდ ვტირი, ისე, უბრალოდ, ვტირი, მეტი არაფერი!... საკმარისი არ არის, რაც ძალით წამართვეს?! ჩემი ხელით, ჩემი ნებით როგორ მივცე დასტური იმის გაცემაზე, გაყიდვაზე, საბოლოოდ დაკარგვაზე, რაც ჩემია?! ყველამ იცის, რომ მართალი ვარ!... ჩემთვის კი სიმართლე ყველაფერია!... ძველი არქივი განადგურებულიაო! იქ შენი არაფერიაო! შენი სახლი და ეზო-კარი მაინც დაკარგულიაო!... რაში მაინტერესებს მაგათი ოხერი არქივი?! მთავარი ის არის, უფლის არქივში რაც წერია! უფლის არქივს ვერავინ წაშლის, ვერავინ გაანადგურებს! უფლის არქივში ყველაფერი სიმართლე წერია!... სიმართლე კი მჩქეფარე წყალივითაა, დიდმა მორმაც რომ ჩაუხერგოს გასასვლელი, თავის გზას მაინც იპოვნის!“

ფიქრებში წასულმა, მძიმე ჩანთით ხელში, ვერც კი იგრძნო, როგორ აუყვა ნელი ნაბიჯებით სვანეთის უბნისკენ მიმავალ აღმართს. როგორ უნათებდა მთვარე ჩამობნელებულ, დადუმებულ, შინისკენ მიმავალ მტვრიანი ქუჩის ოღროჩოღრო გზას... შინ მარტოდ დარჩენილ უსინათლო ძმას კი მისი ფეხის ხმის მოლოდინში სული და გული ელეოდა... გარეთ კი უკვე ბინდმორეული, სექტემბრის მშვიდი, თბილისური საღამო იდგა...

# ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

## ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ

ოჰ, მეტრფევ ჩემო,
უფლის ბაღში ნეტარად მყოფო,
ოჰ, მეტრფევ ჩემო,
ჩემი სულის შეყვარებულო,
მწუხარებაში დავრჩი ობლად,
დავტოვე სახლი...
დავემშვიდობე ათასი წლით
ყოფნის გაზაფხულს,
რადგან უგუნურს,
მომლოდინეს კარის გაღების,
მიმქრალ ლამპარში
მადლის ჩასხმა დამაგვიანდა.
ბნელი ლამპარით,
სუფთა, მაგრამ ბნელი ლამპარით,
სამოთხის კართან ცრემლის ღვრაში
გათენდეს უნდა.
სევდამ დამრია,
ან ამ ზაფხულს გავუძლო როგორ?
იქნებ მანიშნო და ათას წლის ლოდინის მერე
მოსულს ბაღებთან ჩარაზული კარი გამიღო?
ოჰ, მეტრფევ ჩემო,
ჩემი სულის შეყვარებულო...

*  *  *

მე ვდგავარ სამხრეთის ქუჩასთან,
არ ჩანხარ...
გელოდო?
ვღელავდე?
ლოდინთან, ხომ იცი, ყოველთვის,
ცოტათი ვერა ვართ ქალები...
მე ვდგავარ სამხრეთის ქუჩასთან,
არ ჩანხარ...
გელოდო?
ვღელავდე?
ვდარდობ და
ჩვენ გამო ქალაქში
დაქრიან
სამხრეთის ქარები...

*  *  *

წამით გსურს, დუმდე
და სამყაროც დუმდეს შენსავით,
ან აღარ წვიმდეს,
არ ჟინჟღლავდეს მზის ამოსვლისას...
სარკმელთან იდგე,
და ითვლიდე გაფრენილ სიტყვებს
ჩემი გულიდან შენს გულამდე,
ანდა – პირიქით...
როცა გსურს, დუმდე
და სამყაროც დუმდეს შენსავით.

## ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲐ

ცა ასეთია:
იყურები საკუთარ თავში, როგორც სარკეში
და ხედავ ავდარს:
ღია სარკმლიდან როგორ გძარცვავს
დეკემბრის დილა.
როგორ არ გჯერა
სამყაროსთან შენი კონტრასტის
და ზღვების მხრიდან
საავდარო ქარების ქროლვა.

როგორღაც ჩარჩა უნდობლობის შენდამი განცდა
ვიღაც ახლობელს.
ცა ასეთია:
ხედავ სარკეს და ღია სარკმელს,
საიდანაც ვერავინ გძარცვავს!

* * *

შენ, მფრთხალო სულო,
ჩაკეტილო ცოცხალ თიხაში,
არ იწონი ჩიტის წონასაც,
ცხოვრობ ჭრელ და
ცდომილ მიწაზე.
შენ,
მფრთხალო სულო,
სიყვარულის გალიის მკვიდრო,
ელოდები ჟამს სინაზისას,
როცა სიყვარულს გაულღვება
გალიის კარი,
და დიდი სივრცის
შიგ შუა გულში გადაგიტყუებს...
შენ,
მფრთხალო სულო,
ჩაკეტილო ცოცხალ თიხაში,
არ იწონი ჩიტის წონასაც...

* * *

რამდენჯერ?
იმდენჯერ, რამდენჯერაც!
და გულის კოვზთან დასხდებიან
მძიმე ლოდებად,
ფესვებს გაიდგამენ
უმწეობის ბალახებად,
უგზოობის ნისლებით დაგბანგავენ,
უიმედობით დაგანაყრებენ
ჩუმი დარდები...
გატკენენ იმდენჯერ,
რამდენჯერაც
გაბედავ ყოფნიდან გაქცევას!

* * *

ოქრომკედით დაქარგული შენი ჩოხა,
ჩემი კაბა – ფარჩა ლურჯად დანისლული,
ქუჩა ხმელი,
შარიშური ჩემი კაბის,
შენი ჩოხის ბოლოები აკეცილი
და ქამარში მაჭახელას ცივი ლულა.
ქუჩა ხმელი,
გზა არსაით,
ბინდი მრუმე,
თოხარიკით მოჯირითე შავრა ცხენი,
ჩემი კაბა – ფარჩა ლურჯად დანისლული,
ჩოხაც მხოლოდ სურათებში დასარჩენად...

* * *

მხრებჩამოყრილი და ნაძრახალი
ივსება ღამე მარტის ძახილით,
როგორც არავინ და უსახელო
დღე ჩამომივლის თეთრი მარხილით.
ის კი, დილამდე (დღემდე ასეა),
მხრებჩამოყრილი და ნაძრახალი
ივსება მწველი მარტის ძახილით.
მერე კვირტების თოვა მომისწრებს,
მერე მზე მოვა, მერე გავთბები..
ეს მერე, ხოლო გულში ამ წუთში
ნახანძრალია და ნასახლარი.

## ყავაზე სიკვდილთან

დილით, უზმოზე,
ან გვიან ღამით,
ფინჯან ყავასთან
ფეხს ფეხზე გავდებთ,
მე, ფაშფაშა და
შენ, ძვლებდათვლილი დედაბერი.
წავიჭორავებთ ამ მთის,
იმ ბარის,
მაგრამ მე, შენგან განსხვავებით,
ჯიუტად ვკვდები.

ვხვრეპთ ცხელ ყავას და კარკადეს ჩაის.
მიმქრალ კვამლზე გამოკრთება
ათასი ლანდი.
დილით, უზმოზე,
ან გვიან ღამით,
ცხელ ყავას რომ მივაყოლებთ
უხმო საუბარს,
გარინდდებიან წამიერად
შენს გზაზე მდგარნი...
გამოგვხედავენ,
თითქოს, სურნელს უსინჯავენ კარკადეს ჩაის.
ხოლო ჩვენ, ორნი,
ყოველ დილით ან ყოველ ღამით
ვსხდებით დაღლილნი
ერთმანეთზე სალაპარაკოდ.

* * *

ველარ დავდუღდით,
მაჭარივით ვასკდებით კედლებს,
კედლიდან კედელს,
სიბერწეს და სიბერეს შუა...
ხოლო ჩვენს სხეულს,
ცოდვის ჭურჭელს,
დარდი აბერებს.
ღმერთმა ხომ იცის, როგორ გვტკივა,
როგორ ვევნებით...
მაჭარივით ვასკდებით კედლებს,
კედლიდან კედელს,
სულიერი სიბერწის გამო.
და იმის გამოც, რომ სიცოცხლეს
არა აქვს ფასი...

* * *

დუმილს ირჩევენ
ვარსკვლავები – ღამის ხარჭები,
ამ ღამით დუმილს აირჩევენ
დარდის ხარჭებიც.
გარიჟრაჟისას მოყირჭდებათ
ხარჭებს ციმციმი,
და მზის მოსვლისას დახუჭავენ
გადამქრალ თვალებს.
მე კი ვერაფრით დავივიწყებ,
დარდად ვიქცევი,
დილით ხარჭების დუმილის
და სიმკრთალის გამო.

* * *

– ვკვდები-მეთქი. – და კარი გაიხურა.
– ვკვდები-თქო! – მივაძახე.
დუმილი დამიტოვა სამოთხეში.
ნოემბერი – სამოთხის გარეთ.
წასვლამდე სარკმელი გაეხსნა, მინდოდა
და ჩემთან შემოეშვა ქარი.
– ვკვდები-მეთქი. – და მიმატოვა.
– ვკვდები-თქო! – მივაძახე.

* * *

მშფოთვარე სული,
უძილო და მშფოთვარე სული,
გადაყოლილი უცხო გზებს და უცხო სავალებს,
ამ ქარაშოტებს, ამ ქალაქებს, ამ უდაბნოებს!
მშფოთვარე სული,
დაღლილი და დამშრალი სული,
რომელიც დარდებს, როგორც ქარვის
ჭრელ ყელსაბამებს
მიუსაფარ და უცხო ხალხში
ვალად არიგებს...
მშფოთვარე სული,
ქარაშოტის მხედარი სული,
ახლა ჩამდგარი და
სარკმელთან მდუმარე ვნახე...
ღმერთო, ულხინე და მშვიდობა უბოძე ამათ,
გადაყოლილებს წუთისოფლის უაზრო ვალებს,
ამ ქარაშოტებს,
ამ ქალაქებს,
ამ უდაბნოებს!
ღმერთო, ულხინე
ყველა დროის მშფოთვარე სულებს!

* * *

დრომ შემიკერა ჩუმი საკანი,
ოთხი ფიცარი დაჟანგული ლურსმნებით ჩხვლიტა,
ასე მჩხვლეტდნენ გულში ეჭვები...
დრომ გამოზარდა ხე უნაყოფო,
რომელიც მოჭრა, გარანდა და გაალამაზა..
ვითო-ვითომ ჩემი გული მოიგო ამით...
მაგრამ არ იცნობს დრო იმ სივრცეებს,
სადაც მარტივად, ყოველგვარი პრანჭვის გარეშე,
დამსახურების მიუხედავად,
გამოგიფენენ გზაზე გვირილებს,
მხოლოდ გვირილებს,
რომლებიც მერე სიყვარულად გაგეშლებიან.

* * *

რატომ დაგჩემდა ფუღუროში შეკეტვა, სულო?
ან მორჩილება რად გგონია მონების ხვედრი?
თავისუფლება მოდის მერე, როდესაც კარგავ
და სიხარულიც მერე მოდის, როცა მწუხრდები...
რატომ დაგჩემდა მარტოობა, მითხარი, სულო?
მაშინ, როდესაც აღვსებულა მთელი სამყარო?
ნუ დაგჩემდება ფუღუროში შეკეტვა, სულო,
და მორჩილებაც ნუ გგონია მონების ხვედრი.

* * *

გახსოვს, რომ გწერდი
„არას“ და „ჰოს“ შუა...
ახლა იქა ვარ და დღეებს ვითვლი,
და მე მგონია ვიღაცის რითმას
ვიღებ თაროდან
და ლექსად გიწვდი...
ეზოში მზეა,
ჩვენ პალატაში...
ოთახი ჰქვია,
მაგრამ ქვა არის...
მგონი, რაღაცა ავურიე,
ვიღაც გავქურდე,
რითმაც და რიტმიც არ მგონია,
ჩემი რომ იყოს,
მაგრამ შენ წევხარ,
პალატაში აღწევს მზის სხივი,
ხოლო საწოლთან ჩამუხლულა
დრო – აგონია,
გახსოვს, რომ გწერდი
„არას“ და „ჰოს“ შუა...?
ახლა იქა ვარ და დღეებს ვითვლი,
და თან მგონია,
ვიღაცის რითმას
ვიღებ თაროდან
და ლექსად გიწვდი.

* * *

მეტრფე ვარ შენი,
ზანზალაკი წკარუნობს ქარში,
მე ვდგავარ კართან,
გულის კართან
ტრიალებს ქარი...
მეტრფე ვარ შენი,
ველოდები ჩადგომას ქარის...
ზანზალაკები გაჩერდეს და
გამიღო კარი.
მეტრფე ხარ ჩემი,
ზანზალაკი წკარუნობს ქარში,
შენ დგახარ კართან,
გულის კართან
ტრიალებს ქარი...
მეტრფე ხარ ჩემი,
ელოდები ჩადგომას ქარის,
ზანზალაკები ჩამოვხსნა და
გაგიღო კარი...

ᲣᲩᲐ
ᲝᲥᲠᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ

# ᲚᲐᲖᲣᲠᲐᲓ „ᲭᲐᲜᲘ“ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲪᲘᲣᲠᲜᲘ“...

„აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი დღესაც ისმის. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა; რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები და სხვანი, სწორედ ლაზურად მეტყველებდნენ; რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ *(ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 415)*.

2015 წელს თბილისში ავტორთა ჯგუფმა (ნ. ახალაია, წ. ბაწაში, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ო. მემიშიში, ზ. ქავთარაძე) გამოსცა დიდტანიანი კრებული „ლაზები და ლაზეთი თურქულ გამოცემებში“.

აღნიშნული კრებული მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომია, მაგრამ მისთვის დამახასიათებელ ყველა ასპექტს ჩვენ აქ ვერ შევეხებით. თუმცა გვსურს განვიხილოთ და აზრი გამოვთქვათ კრებულში მოცემულ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე საკითხზე, რომელთა შესახებ ჩვენც გვიფიქრია და გარკვეული დაკვირვება გვიწარმოებია.

კრებულის მესამე თავია „ლაზთა გენეზისი და ისტორია თურქეთის გამოცემებში“ (იქვე, 79-87), რომელშიც ვკითხულობთ: „...სახელი ლაზი – ქრისტიანობის პერიოდიდან დაკავშირებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ყურეში მცხოვრებ სხვადასხვა ქვეყნებთან და უმრავლეს შემთხვევაში, განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან. არადა ეს სიტყვა აუცილებლად გარკვეულ ეთნიკურ ან ლინგვისტურ ჯგუფს უნდა აერთიანებდეს. ეთნიკური ლაზები განსხვავებულ ხალხს წარმოადგენდნენ და ცხოვრობენ თურქეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბოლოში, ფაზარის რაიონსა და მდინარე ჭოროხის დელტას შორის. მათი ენა საქართველოში მცხოვრებ მეგრელების მეტყველებას ძალიან ემთხვევა და თვით ქართულთან და ამ ქვეყანაში მცხოვრებ სვანების ენასთანაც აქვს კავშირი. ლაზები თურქეთში და შავი ზღვის მოსახლეობაშიც კი უმცირესობას წარმოადგენენ (იქვე, 89).

ჩვენ აქ უნდა მხარი დავუჭიროთ ვარაუდს, რომ სახელი ლაზი ქრისტიანობის პერიოდიდან კი არა, პროტობერძნული (სანამ ბერძნული მოდგმის ტომები ხმელთაშუა და ეგეოსურ თუ მცირეაზიულ სამყაროს დაიკავებდნენ) ეპოქიდან ფიქსირდება შავი ზღვისპირეთის, მისი მიმდება-

რე მცირეაზიულ თუ ეგეოსურ სამყაროში, სახელწოდება „პელაზგი“-ში (პე-ლაზ-გი), სადაც „პე“, ისევე როგორც „მე“ „მე-გრე-ლი“-ში, „მე-ს-ხი“-ში (მე-გრ-ე-ლი, მე-ს-ხი) წინსართ-მწარმოებელი უნდა იყოს, „გი“, იგივე „ხი“ კი წარმომავლობის მიმანიშნებელი. ამასთან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „პელაზგი“, სახელწოდება „მელაზხის“ ელინიზირებული ფორმაა, რადგანაც ცნობილია, რომ ასო-ბგერა “პ“ ქართულში თავისუფლად გადადის „ბ“-ში, მისი „მ“-დ ქცევა კი გამორიცხული არ არის, ანდა ბერძნულში, პირიქით; იგივე შეიძლება ითქვას „გ“-ს „ხ“-დ ქცევაზე და პირიქით. აქედან, სრულიად დასაშვებია მოსაზრება, რომ „პელაზგის“ წინარე, პროტობერძნული, ანუ უძველესქართული შესატყვისი ფორმა იყოს „მელაზხი“, რაც უნდა ნიშნავდეს ლაზეთიდან წარმოშობილს, ანუ წარმოშობით ლაზს.

ჩვენ მტკიცე რწმენა გვაქვს იმისა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ეგეოსური თუ მცირეაზიული წინარებერძნული სამყარო, ანუ ამ რეგიონის ისტორიის პელაზგური ეპოქა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროტოქართულ, იგივე პე-ლაზ-გურ, ლაზ-ურ სამყაროსთან, რაზედაც საუბრობენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკვლევარები (ჰუმბოლდტი, ეშენბახი, ზ. გამსახურდია და სხვ.).

ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნას, აგრეთვე, ტროას ომის შემდეგ იქედან ლტოლვილი ენეასისა და მასთან ერთად გადარჩენილი და აპენინის ნახევარკუნძულზე გადასახლებული ტროელების ისტორია, რომელთაც იქ, ჯერ კიდევ ძველი რომის დაარსებამდე (ანუ ძვ. წ-აღ-ის 753 წლამდე) დიდი ხნით ადრე ააშენეს ქალაქი ალბა-ლონგა, ხოლო მათ მიერ დაპყრობილ და შემდეგ შემომტკიცებულ პროვინციას „ლაცი-უმი“, ანუ ლაზთა ქვეყანა, ჩვენი აზრით, თავიანთი ადრინდელი სამშობლოს, საიდანაც ისინი გამოაძევეს, სახელი უწოდეს. (ლაცი=ლაზი, -უმი კი ლათინური ბოლოსართი-მწარმოებელი); აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სწორედ ალბა-ლონგელებმა თავიანთი ქალაქიდან 25 კილომეტრში დაარსეს „მარადიული ქალაქი რომი“.

ამავე კრებულში თუხა ბერზენა ლაზების ვინაობის შესახებ ასე მსჯელობს: „ყველა სიძნელის მიუხედავად, ლაზების ერთი ნაწილი მაინც თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს. ლაზური ჩვენი ცხოვრების წესით ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ლაზურში წარსული ცხოვრობს, მომავალი მაინც სხივოსნდება. ჩვენი დედა ენა ათასწლოვანი ენით გადმოცემულ პოემასავითაა. მიუხედავად ამისა, ის მაინც წნეხის ქვეშ იმყოფება. ამ ძველი ენის არსებობა ვის დააზიანებს? ნუთუ ის თურქეთის კულტურული სიმდიდრის დანამატი არ არის? – ნათქვამია სტატიაში. მაგრამ, ჭეშმარიტად უნდა ითქვას, რომ ლაზური ენა თურქეთის კულტურის სიმდიდრის დანამატი კი არა, თუ თურქული კულტურის მესვეურნი მართებულად გაიაზრებენ და მას სათანადოდ გამოიყენებენ, ამ კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და საფუძველია. „არადა ცდილობენ საუკუნეების სიღრმიდან გადმოცემული ჩვენი ენის წაშლას ხალხის მეხსიერებიდან“ – ამბობს ავტორი. ანუ საქმე გვაქვს ამ უნიკალური ეთნოსის საბოლოო აღმოფხვრის ცდასთან. რას მიიღებს ამით დღევანდელი, „ევროპული განვითარებისაკენ“ მოსწრაფე თურქეთი?! – რასა და კიდევ ერთ მკვდარ ზონას საკუთარ სხეულზე, რომელიც სიცოცხლის შემთხვევაში, მისი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების დაუშრეტელი წყარო იქნებოდა.

აქვე, სტატიაში „ლაზები და ქართველები“ (იქვე, 91-95) ა. ი. აქსამაზი აღნიშნავს ბ. გ ჰიუიტის შემოთავაზებას, რომ „ქართულ ენაში ტერმინ ქართველელის დამკვიდრება ტერმინ ბრიტიშს დაემსგავსება, ხოლო ტერმინი ქართველი გაუტოლდება მეგრელს, სვანს, ლაზს და ტერმინი ქართველელი შეასრულებს ისეთსავე როლს მათ მიმართ, როგორც ბრიტანელი ასრულებს ინგლისელი, შოტლანდიელი, გალიელი და ირლანდიელი ტერმინების მიმართ (იქვე, 95). მაგრამ ასეთი რამ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია და

ჩვენ ჩვენი ისტორიის რაობისა თუ ვინაობის გასარკვევად უნდა მივყვეთ ჩვენში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ ტრადიციას და უკვე არსებული რეალობის აღსანიშნავად არ გამოვიგონოთ ახალი, ხელოვნურად შექმნილი ტერმინები, რადგან ქართველი მოიცავს ქართლელსაც, ლაზ-მეგრელსაც, გურულსაც, აჭარელსაც, მესხსაც, სვანსაც, იმერელსაც, კახელსაც თუ სხვა ქართული მოდგმის წარმომადგენელსაც. ესენი ცალ-ცალკე არცერთი არ არის ქართველი, – იგი ტრადიციულად მხოლოდ მათი ერთობაა; ხოლო თუ ბრიტიშ ფორმის ცნების შესაბამისი ტერმინით გვინდა მასში ჩადებული მიმართების ქართველებისათვის გამოხატვა, ამისთვის უნდა გამოვიყენოთ არა ტერმინი „ქართველელი“, არამედ „საქართველოელი“, რაც უკვე დროით დამტკიცებული ტრადიციით იგივეა, რაც ქართველი. ამიტომ ასეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინის შემოღება-გამოყენება, როგორიც „ქართველელია“ სრულიად უადგილო და მიუღებელია, როგორც საქართველოსა და ქართველებისათვის, ისე ქართული ენისათვის. ხოლო რაც შეეხება ტერმინ „ბრიტანელის“ მიერ შესრულებულ როლს ინგლისელი, შოტლანდიელი, გალიელი და ირლანდიელი ტერმინების მიმართ, აქ სულ სხვა ისტორიულ გარემოებებსა და ხელოვნურად შექმნილ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელმაც წარმოშვა აღნიშნული „ტრადიციული“ მიმართებანი... იულიამ დამპყრობელი არც ინგლისელი იყო, არც შოტლანდიელი, არც გალიელი და არც ირლანდიელი.

ნაშრომში მოყვანილია გ. ამიჭბას მოსაზრება. როდესაც ის ბიზანტია-ლაზეთის უთანხმოებაზე საუბრობს ახსენებს ეგრისისა და მისი მხარდამჭერი აფხაზური წარმოშობის ხალხს, რომელმაც „ანტიბიზანტიური მოძრაობა დაიწყო... ამ ბრძოლაში „აფხაზური წარმოშობის ხალხი ეგრისის გვერდით დადგა“. ომი ბიზანტიის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ ბიზანტია ამ მდგომარეობით მეტად შეშფოთებული იყო, რადგან აფხაზების მხარდამხარ ლაზური ხალხის ბრძოლა მათ გრძელ პერსპექტივაში პრობლემების მოტანას უქადდა, ამიტომ ისინი ერთმანეთისათვის უნდა გაეცალკევებინა და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთ ომში ჩაება“ – აღნიშნავს ავტორი და იქვე განაგრძობს – „ამის შედეგი იყო ის, რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში აფსილებმა და აბაზგებმა ეგრისის გაერთიანებიდან გამოსვლა გადაწყვიტეს“ (იქვე, 105).

აქ ნახსენები „აფხაზური წარმოშობის ხალხი“, სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რაც გ. ამიჭბას სურს გამოიყვანოს; და თუ აქ აფხაზური წარმოშობის ხალხზე შეიძლება საუბრის ჩამოგდება, ისინი აუცილებლად დასავლეთ საქართველოს ქართველური მოდგმის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ; როგორც იქვეა ნათქვამი: „VIII საუკუნეში ლაზიკის (ეგრისის) სამეფო აღარ არსებობს და მის ადგილზე აფხაზეთის სამეფო იმკვიდრებს ადგილს“ (იქვე), რადგანაც აღნიშნული მონათესავე ქართული სახელმწიფო წარმონაქმნები, საკმაოდ ადვილად და დიდი ტკივილების გარეშე გადადიოდნენ ერთი მეორეში. ერთი ჰეგემონი გაერთიანების ადგილს მეორე იკავებდა, ხოლო მტრული და არაკეთილმოსურნე ძალების მიერ მათი დაპირისპირების პროვოცირების ცდა, დღესაც გრძელდება.

აქვე პროთურქული იდეოლოგიით განმსჭვალული ისტორიკოსი ქ. აქსოილუ ამბობს, რომ „ბედის უკუღმართობის მიუხედავად, ამ მხიარულმა ადამიანებმა (ლაზებმა) მოპოვებული სახელგანთქმულობა, ასევე, შავი ზღვისპირეთის ოდითგანვე „ლაზისტანად“ ხსენება შეინარჩუნეს და ეს წოდება დღევანდელ დღემდე მოიტანეს, არადა, **ისტორიის არცერთ მონაკვეთში შავ ზღვაზე გაბატონებულ ლაზებს სამეფო არ შეუქმნიათ**. ზოგი რომაელი ისტორიკოსის მიერ ლაზების სამეფოს შესახებ გამოთქმული თეზისები დღემდე ვერცერთი მტკიცებულებით ვერ დასტურდება“ (Kamil aksoylu, Laz Kulturi, Ankara, 2010, p. 50). ქ. აქსოილუმ, როგორც ჩანს, არ იცის, სხვას რომ თავი დავანებოთ, 1204-1461 წლებში ტრაპიზონის სამეფოს არსებობის შე-

სახებ, რომელიც ამ წიგნშიც არაერთხელ არის მოხსენებული. ან თუ აღნიშნული ისტორიკოსის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა სწორია, მაშინ ვის ებრძოდა და რომელი სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი აიღეს ოსმალებმა 1461 წელს ტრაპიზონის სახით?! ან კიდევ, რაში სჭირდებათ თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს მესვეურთ ლაზებისათვის მათი რეალური ისტორიის დამალვა?! ნუთუ მათი მიზანი კვლავ ლაზების საბოლოო ასიმილაცია და გათურქებაა?! ავტორი იქვე სრულიად სამართლიანად (მართებულად) მსჯელობს, – „ათასწლეულების განმავლობაში სოციოლოგიურ სინამდვილეთა განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციათა ძალზე საეჭვობასა და დამაფიქრებლობაზე“ (იქვე, 107) და იქვე განაგრძობს: „ტერმინი ლაზისტანი, რომელიც წარსულში გამოიყენებოდა და გეოგრაფიულად სწორად მიიჩნეოდა, რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში აღარ გამოიყენება. დღეს ლაზების უმრავლესობამ ტერმინი ლაზისტანი არ იცის და ვინც იცის, მასაც არ მოსწონს. ლაზები პატივს არ სცემენ არაფერს, რაც იწვევს მათ დაყოფას, თუნდაც გეოგრაფიული და ეთნიკური კუთხით... რეგიონალური განსაზღვრა არასწორია. უპირატესობას ვანიჭებთ ლაზების გეოგრაფიული განსაზღვრის სხვა ფორმის ცნებას (რას ნიშნავს?! – უ. ო.)... ეს არის დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული – ლაზონა. რომელიც ლაზურად ნიშნავს: „ადგილს, სადაც ლაზები ცხოვრობენ“, ადგილს, „სადაც ბევრი ლაზი ცხოვრობს“, „ლაზების სამშობლოს“. მაგრამ არასდროს არ გამოიყენება ლაზების ქვეყნის გაგებით და განსაზღვრული პოლიტიკური გაგება არ გააჩნია. ის ტერიტორია, რომელსაც ტერმინი ლაზონა მოიცავს, ერთი პატარა რეგიონია, აღმოსავლეთ შავი ზღვის ბოლო წერტილი და მოიცავს... რიზედან სარფის საზღვრამდე არსებულ ნაწილობრივ ზღვის სანაპიროს და ნაწილობრივ მთის რეგიონს. წარსულიდან დღევანდელ დღემდე ეს არის რეგიონი ლაზებით მჭიდროდ დასახლებული. ტერიტორიას, სადაც ლაზები ცხოვრობენ, უწოდეს ლაზონა. აქ ყველა ტოპონიმი ლაზურია. რესპუბლიკის დაარსების შემდეგ და განსაკუთრებით 1950 წლიდან მოყოლებული თურქები შეეცადნენ, რომ ლაზური ტოპონიმები თურქულით შეეცვალათ, რომელიც დიდად წარმატებული ვერ აღმოჩნდა“ (იქვე, 111-112).

ეს ვრცელი ამონარიდი აღნიშნული კრებულიდან იმისთვის მოვიტანეთ, რომ ნათლად დავინახოთ, თუ როგორ ყველაფერი კეთდება აღნიშნულ რეგიონში ლაზური კვალის წასაშლელად, იმისთვის, რომ მათ აღარ ჰქონდეთ საკუთარი ქვეყანა და მასთან იდენტობის შეგრძნება; და ამას აკეთებენ (ცდილობენ გააკეთონ) ისევ ლაზების ხელით, როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში ხდებოდა საკუთარი თვითიდენტიფიკაციის წინააღმდეგ – „საბჭოთა ხალხის“ ხელოვნური კულტივირება.

ქემალ აქსოილუ იქვე სტატიაში „ლაზების აღწერა“, თხრობას ასე აგრძელებს: „ლაზები ავტოქთონები არიან. ამის მიუხედავად ისტორიის არც ერთ პერიოდში ვერ მოახერხეს სახელმწიფოს შექმნა. ეს არის ხალხი, რომლებიც ყოველთვის ვიღაცის მმართველობის ქვეშ არსებობდა; მათ გააჩნიათ საკუთარი ენა, კულტურა, ტრადიციები, ცხოვრების წესი და ისინი სრულიად განსხვავებულები არიან სხვა საზოგადოებისაგან... ისინი მუდმივად ემორჩილებოდნენ იმ ქვეყნებს, რომელთა მფარველობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი შეცვლა, ან სხვა ხალხებისადმი დამსგავსება შეუძლებელი აღმოჩნდა... ისინი არ არიან მეომრები, მოჩხუბრები, აჯანყების მოყვარულნი, პირიქით, ნათელია, რომ ისინი არიან მშვიდობიანნი და მორჩილნი... რა შეიძლება იყოს იმაზე კომიკური, რომ ლაზები ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის პატარა ტერიტორიაზე და მთელ რეგიონს მათი სახელი მიენიჭა...

ის, რომ ლაზები არასდროს არ იყვნენ დამპყრობლები და მათი მიზანი არასდროს იყო ექსპანსია, ამის შედეგია..., რომ მათი კულტურა სრულიად განსხვავებულია სხვა კულტურებისაგან (იქვე, 112-113). ლაზი ავტორის ეს მოსა-

ზრებანი, სამწუხაროდ, სრულიად ადასტურებს მაჰატმა განდის თვალსაზრისს, რომ დაპყრობილი ქვეყნისთვის არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია, – რადგან ჩვენ აქ ვხედავთ, რომ, შეიძლება მისდა უნებურადაც, როგორ ცდილობს ქ. აქსოილუ თანამედროვე თურქეთში ლაზთა იმ დღევანდელი ყოფის გამართლებას, რომელშიც ისინი დამპყრობთა უღელქვეშ მრავალსაუკუნოვანმა არსებობამ და სწორედ ამ დამპყრობლის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ჩააყენა; ამასთან, მრავალგვარ და ოსტატურ ხრიკს მიმართავს, რომ ლაზთა ეს მიძინება-ასიმილაციის პროცესი არ შეჩერდეს. აღარაფერს ვამბობთ დამპყრობლის მიერ თავსმოხვეულ და, როგორც ჩანს, ფართოდ ტირაჟირებულ თეზაზე, რომ თითქოსდა, ლაზებს სახელმწიფო არასდროს შეუქმნიათ (ამით თურქ-ოსმალო დამრიგებლებს მათთვის იმის ჩაგონება სურთ, ისინი რომ არ გამოჩენილიყვნენ ლაზებს გაქრობა-გადაშენების დიდი საფრთხე ემუქრებოდათ, როგორც ეს რუსულ და საბჭოთა იმპერიის პერიოდში ქართველთა მიმართ ხდებოდა), თითქოსდა, ისინი არ არიან მეომრები, მოჩხუბრები, აჯანყების მოყვარენი... მაშ, ვინ და რით აკავებდა საუკუნეების განმავლობაში ჯერ ბერძნულ-ბიზანტიურ, შემდეგ კი თურქ-ოსმალურ ექსპანსიას?! და რაში სჭირდება პროთურქულად განწყობილ ლაზ მეცნიერს იმის მტკიცება თანამედროვე ლაზებისთვის, რომ „ისინი არიან მშვიდობიანნი და მორჩილნი“, თუკი ეს იმპერიული იდეოლოგიის მსახური, არ გრძნობს ლაზთა შესაძლო გამოღვიძებისაგან მომდინარე საშიშროებას იმპერიული მანქანისათვის?!... ამის შემდეგ სრულებით არ არის ჩვენთვის მოულოდნელი მისგან ლაზთათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის, თითქოსდა, კომიკური წარმოდგენა (გაკომიკურება), როგორიც მათი ქვეყანა და საცხოვრის-სამშობლოა. ეს ძალიან მაგონებს ზოგიერთი საბჭოთა „წითელი ინტელიგენციის“ (ჰომოსოვეტიკუსის) მცდელობას, საბჭოთა კავშირისა და მისი იდეური პროპაგანდის აგიტირებულ სიყალბეთა „მარადიულობა“ დაემტკიცებინათ.

ამავე კრებულის სტატიაში „ლაზთა ვინაობა“, ნ. ალქომრუ „გვმოძღვრავს“: მთავარი ადამიანის ფესვები კი არ არის, არამედ ის, საკუთარ თავს რად მიიჩნევს. მთავარია ამ საკითხის მიმართებაში ენის, სამშობლოს, კულტურის ერთობა“ (იქვე, 114).

ჩვენ თუ ალქომრუს ამ თეზას დავეთანხმებით, რომ „მთავარი ადამიანის „ფესვები“, ანუ მისი უძველესი წარმომავლობა, ჯიში და ჯილაგი, მოდგმის დადგენა არ არის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ხეები საკუთარი ჯიშის და „ფესვების“ მიხედვით ღებულობენ სახელწოდებას, რა დააშავა ადამიანმა, ამ უნიკალურმა ფენომენმა, რატომ უნდა დაექვემდებაროს მისი მოდგმა იმ ცხოველურ ინსტიქტს, ვთქვათ და დღეს რად აღიქვამს თავს. მითუმეტეს, ცნობილია, რომ ცხოველთა უმრავლესობა და ადამიანიც ხშირად იმად აღიქვამს თავს, რა გარემოშიც იზრდება. შეიძლება დავსვათ კითხვა – ეს ფიზიკური თუ პოლიტიკური ზეწოლის შედეგად ხელოვნურად შექმნილი ისტორიული გარემო რამდენად უწყობს ხელს ადამიანთა საკუთარ წარმომავლობასა და ნამდვილ ისტორიულ ვინაობასთან მართებულ იდენტიფიკაციას?! თუ, ამ შემთხვევაში, თავის იმით გამართლება შეიძლება, რომ „მთავარია ამ საკითხთან მიმართებაში ენის, სამშობლოს, კულტურის ერთობა“. და ეს მაშინ, როდესაც შენი ამ მდგომარეობამდე მიმყვანი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს საკუთარი მეობა, ისტორიული ვინაობა და გაძლიერდეს სწორედ შენს მიერ საკუთარი თავის მოტყუების ხარჯზე, რომ თითქოს ის და შენ ერთნი ხართ. არადა, ის შენს ხარჯზე მდიდრდება, იქმნის საკუთარ ისტორიას, უსინდისოდ გძარცვავს და შენ ყველაფერს კარგავ. და ეს მაშინ, როდესაც ერთმანეთის აღიარების პირობებში, შეიძლებოდა ორივენი უფრო ლამაზად და ბევრად უფრო მომგებიანი თვალსაზრისით წარმოჩენილიყავით. ახლა კი, შენი აღმოფხვრის ხარჯზე, ის თავის სასიცოცხლო ენე-

რგიას იძლიერებს და იხანგრძლივებს, შენგან კი თანდათანობით აღარაფერი რჩება, გარდა მისი ხელოვნური ასლისა. თანაც დამცინავი ღიმილით გეუბნება: „თქვენ ლაზები, ბერძენთაგან წამოსულები, ან წარმოშობით ქართველები, ანდა სომხები ხართო“ (იქვე, 114). – შენაც, იმის მაგივრად, რომ პროტესტის გრძნობა გაგიჩნდეს, ცდილობ ამ მოძალადე ცინიკოსთან გააიგივო თავი და მასზე უძველესი ისტორიული წარსულისა და კულტურის პატრონი, რომელსაც იგი წელამდეც ვერ შეწვდება, ექვემდებარები მის მიერვე ძალადობით დადგენილ ეთნიკურ დიქტატსა და შენი გადაგვარებისაკენ წამყვან მის ამბიციურ სიბრიყვეს.

ზოგიერთი ავტორის დაინტერესება ლაზებისა და ქართველების გაუცხოებით, ძალიან დიდია. მაგალითად გ. ამიჭბა თავის სტატიაში წერს: „ლაზებს შავი ზღვის სანაპიროზე დასახლების შემდეგ აღარ ჰქონდათ კავშირები ქართველებთან, მათ ქვეყნებს შორის კავკასიის (? – წათე ბაწაში) მთები იყო“ (იქვე, 120). მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, ეს კავშირები გარკვეულ დრომდე, გარკვეულ დონეზე, გრძელდებოდა, მაგრამ მას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ლაზეთის ორივე მხარეს მოსაზღვრე იმპერიების მთელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მანქანა, რომელმაც, როგორც ვხედავთ, მავანთა წარმოსახვაში, ლაზთა და ქართველთა შორის არარსებული კავკასიონის მთებიც კი გააჩინა.

„ლაზები – რიზე-ტრაპიზონის ცარიელ და უპატრონო ადგილებში დასახლდნენ. მოგვიანებით, უკვე ოსმალთა ეპოქაში, როცა ამ მიწა-წყალს ლაზისტანი დაერქვა (?! – უ. ო.) აქ საკმაოდ დასახლებული ლაზური კოლონია აღმოჩნდა, რომელიც დღემდე წარმოადგენს ლაზების უკანასკნელ, ბოლო სამშობლოს, როდემდე?.. ვნახოთ“ – აღნიშნავს ა. აქსამაზი, რადგან, როგორც ჩანს, მან არ იცის, რომ აღნიშნული ტერიტორია ლაზთა საცხოვრისია უძველესი დროიდან, ამავე დროიდან, იგი იყო მისი პატრონიც. ახლა კი, დადგა დრო ლაზები თავად დაფიქრდნენ, – თუ რატომ უმალავენ ყველასათვის ნათელ ამ ნამდვილ ისტორიას სწორედ ლაზებს დღევანდელი თურქული სახელმწიფოს მესვეურნი. იმიტომ ხომ არა, რომ ლაზებმა მშობლიურ მიწა-წყალზე მყარად არ იგრძნონ თავი და საბოლოოდ გადარჩნენ?!

კრებულის 138-ე გვერდზე ა. აქსამაზი აღნიშნავს, რომ ისტორიულად ამ მიწა-წყალს (კოლხეთს – უ. ო) პირველად ფინიკიელები ეწვივნენ, რომლებსაც აქ ძვ. წ. აღ-ის X-IX საუკუნეებში მარგალიტის მძივები, სარკეების მსგავსი საქონელი ჩამოჰქონდათ, აქედან კი კერამიკული ნაწარმი გაჰქონდათ“.

აქ უნდა ითქვას, რომ ფინიკიელები ამას პირველად ვერ გააკეთებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როგორც კარგად არის ცნობილი, რომ ძვ, წ. აღ-ის XIV-XII საუკუნეების შუა პერიოდში კოლხეთში არგონავტებმა იმოგზაურეს (გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 65).

აქვე სტატიაში ნათქვამია, რომ „1564 წ. ბათუმი მოექცა ოსმალეთის საზღვრებში... 1578 წ. მთელი კოლხეთის რეგიონი ოსმალეთის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა... და ასე გაგრძელდა 1878 წლამდე (300 წლის განმავლობაში)... კოლხეთის გზის კარის და განსაკუთრებით ფოთის მსგავსი ბუნებრივი პორტები დასავლელი ვაჭრებისათვის უცილობლად მისაღები იყო და ისინიც უპირატესობას ამ პორტებს ანიჭებდნენ (იქვე, 139-140). იქვე ავტორი ამბობს, რომ „ლაზთა ისტორია ახ. წ. აღ-ის I-II საუკუნიდან თვალსაჩინოვდება და ეს ის დროა, როდესაც ლაზები შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოდიან“... (იქვე, 141).

ეს შეიძლება სიმართლესაც შეიცავდეს, მაგრამ ნაწილობრივ, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლაზების სახელწოდება დაფიქსირებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსური სამყაროს პროტობერძნული მოსახლეობის – „პე-ლაზ-გი“-ს, ასევე, ტროას ომის შემდგომ აპენინის ნახევარკუნძულზე ენეასის მიერ გადაყვანილი და იქ დამკვიდრებული გადარჩენილი ტროელების მიერ (გელოვანი ა., დასახ. ნაშრ., 165-167) შექმნილი პროვინცია „ლა-

ცი-უმი“-ს (იგივე „ლაზი-უმი“-ს – უ. ო.) სახელში. ავტორი იქვე აგრძელებს, რომ ძვ. წ. აღ-ის VI-IV ათასწლეულებში ხათებმა მოიშინაურეს თხა, ცხვარი, ცხენი და სხვა... ისინი იყვნენ პირველი კულტურული მკვიდრნი სამხრეთ და განსაკუთრებით, დასავლეთ ანატოლიის ფართო ტერიტორიაზე. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ კი იყო დაფუძნებული ბერძნული კოლონიები“... (იქვე, 143)

აღნიშნულ პერიოდში ბერძნული კოლონიები კი არა, ბერძნული მოსახლეობა თვით დღევანდელ საბერძნეთშიც არ იყო ჯერ კიდევ გამოჩენილი და თუ გავიხსენებთ ტროას მეფის, პრიამოსის პასუხს პელაზგური „საბერძნეთიდან“ მოსული ელჩებისადმი ელენეს უკან დაბრუნების მოთხოვნაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ტროას მკვიდრნი კოლხებად, ანუ პროტოქართული სამყაროს ნაწილად აღიქვამდნენ თავს (როდესაც ელჩებმა პრიამოსს ელენეს „საბერძნეთში“, ქმრისთვის დაბრუნება მოსთხოვეს, მან უპასუხა, რომ ბერძნებმაც მოგვტაცეთ ჩვენ ქალი, მაგრამ იგი არ დაგიბრუნებიათო – პრიამოსი აქ, იასონის მიერ მედეას მოტაცებას გულისხმობდა – უ. ო).

ცნობილია, რომ ტროას ომი მიმდინარეობდა ძვ. წ. აღ-ის 1235-1225 წლებში, ძვ. წ. აღ-ის 1190 წელს კი განადგურდა ხათების იმპერია (იქვე, 143). აქვე აღნიშნულია, რომ „ბერძნული წარმოშობის მილეტელებმა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე მცხოვრები ხალხები ეპოქის ყველაზე დიდ კულტურასა და ცივილიზაციას აზიარეს“ (იქვე, 144). ეს ჩვენთვის ძალიანაც გასაგებია, მაგრამ გვაქვს სრული უფლება ვთქვათ, რომ მათ კოლხურ (პროტოქართულ) სამყაროს ვალი დაუბრუნეს „ოქროს საწმისის“, ამ ღვთიური სიბრძნის სიმბოლოსა და მედეას გატაცებისათვის, რომლის გარეშე ისინი ამ სიბრძნეს ვერ გამოიყენებდნენ, რადგან სათანადო ცოდნას არ ფლობდნენ. და თუ ვერ გამოიყენებდნენ, შეიძლება მათი ცივილიზაცია საერთოდ დაღუპულიყო, რადგან, როგორც ჩანს, იგი მძიმედ იყო ავად და განკურნებას საჭიროებდა. ამას მოწმობს კოლხეთში „ოქროს საწმისის“ ჩამოსატანად გაგზავნილი გმირის, იასონის სახელი – იასოს – წამალი, განკურნება (გელოვანი ა., იქვე, 212-213).

კრებულის, განსაკუთრებით კი მისი ისტორიული ნაწილის გაცნობამ საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვარაუდი მათში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ. მასში აღნიშნულია, რომ „ანატოლიის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს ლაზებს უწოდებდნენ. ასევე, ლაზებად მოიხსენიებდნენ ყველა იმ ხალხს, ვინც შავი ზღვისპირეთიდანაც კი საბერძნეთში ბრუნდებოდა...“. ხომ არ არის ეს ჩვენს მიერ ზემოთ პელაზგებისა და ტროას ომის შემდეგ მომხდარი მოვლენების ჩვენეული გააზრების ხალხის ხსოვნაში ქვეშეცნეულად შემორჩენილი მეხსიერების ანარეკლი, დროით დაფარული ათასწლოვანი ისტორიის მითური გამოძახილის დაფიქსირება?! მითუმეტეს, რომ „მილეტელებმა და ბერძნებმა საუკუნეების მანძილზე ადგილობრივებთან ერთად ასიმილაცია განიცადეს, ანატოლიის ვრცელ სამოსახლოში გაითქვიფნენ და არც არის გასაკვირი, რომ ეტაპობრივად ენათა და რელიგიათა თანაარსებობის შედეგად „წარმოშობილმა“ ხალხმა ლაზი დაირქვა. ოსმალები კი ამ ხალხს Rum-ს (ბერძნებს) უწოდებენ“ (კრებული, იქვე, 147); რაც იმას ნიშნავს, რომ მარტო ბერძნებს კი არ მოუხდენიათ მათზე კულტურული და ცივილიზაციური ზეგავლენა, არამედ პირიქით, მათაც არანაკლებ განუცდიათ ადგილობრივთა ზემოქმედება, რაც ადგილობრივთა კულტურულ-ცივილიზაციური განვითარების მაღალ რანგზე მეტყველებს და მათი ლაზებად წოდება, შეიძლება სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ხალხის ქვეცნობიერში შენახული სინამდვილის ასახვას წარმოადგენდეს. და რომ „საბერძნეთში გადასახლებულ ამ ხალხს თურქები ურუმებს, ან ბერძნებს უწოდებდნენ“, ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რადგან იმ ადრეულ პერიოდში, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, ამ რეგიონში თურქების ხსენებაც არ იყო და მათ საიდან უნდა შემორჩენოდათ ანალოგიური მეხსიერება? და ისინიც იმ რეალობას ასახავენ, რაც მათ აქ და-

ხვდათ ბიზანტიის, ანუ ბერძენთა ბატონობის სახით.

სწორედაც, სინამდვილეში „ისინი, საბერძნეთში ძალით გადასახლებულნი, არც ურუმები (Rum) და არც ბერძნები იყვნენ. ისინი ქრისტიანები იყვნენ, ბერძნულად საუბრობდნენ და ეკლესიაში დადიოდნენ. ეს კოლექტივი რეგიონის ადგილობრივი ხალხი იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ელინისტური კულტურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა“ (იქვე). დიახაც, „შესაძლებელია, ეს ხალხი თავს ლაზებად, და არა ბერძნებად, რომ თვლიდა, ამის მიზეზი ზემოთქმულიც იყო“ (იქვე).

„ადგილობრივი მოსახლეობა (იგულისხმება სინოპის, სამსუნის, ორდუს, გირასუნის, ტრაპიზონის გარშემო მცხოვრები – უ. ო.) სოციალური პირობების გამო, ივიწყებს თავიანთ მშობლიურ ენას და ითვისებს ბერძნულს. შემდგომ პერიოდში ქრისტიანებიც ხდებიან, ერთად დადიან ეკლესიაში, მილეტელების ტრადიციებითა და ადათებით ცხოვრობენ და, ბუნებრივია, თავს ბერძნებად აღიქვამდნენ. ჩვენც ასე არ ვიყავით?“ – სვამს კითხვას ავტორი და იქვე განაგრძობს – „ჩვენს ქვეყანაში, თურქებთან საერთო ენით და რელიგიით, თავს თურქებად არ ვთლიდით? XIX-XX საუკუნეებში ომების შედეგად თავს დატეხილი ქაოსის, ტკივილისა და მტრობის მიზეზი, განა ასეთი არამართებული, მცდარი შეფასებები და შეცდომები არ იყო?“ – ამბობს იგი და ბოლოს დაასკვნის – „ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებამდე აქ ნაცხოვრები ხალხების შემაკავშირებელი და დამაშორებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა და სპეციფიკური საზოგადოების დამორჩილების საშუალება რელიგია იყო“, – რაც, ჩვენი აზრით, სიმართლისგან შორს არ არის. სამომავლო განვითარებისთვის კი, ვფიქრობთ, დღევანდელი თურქეთის ხელისუფალთ ძველი, დრომოჭმული, პოლიტიკა აღარ გამოადგებათ და მათ ამ მიმარულებითაც უნდა გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა გახდნენ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი. მისი ყოველმხრივი განვითარების მიმართულება და ტემპები ამის საკმაოდ დიდ იმედს იძლევა. ჩვენ სრულებითაც არ ვართ მომხრე თურქეთის შიგნიდან აფეთქებისა და დანაწევრებისა, რადგან გვირჩევნია ჩვენს გვერდით იყოს მაღალგანვითარებული, დემოკრატიული ფასეულობების პატივისმცემელი სახელმწიფო, რომლის დადებითი, წარჩინებული განვითარების აურა, ჩვენთვისაც გადამდები აღმოჩნდება. ამით იგი წარმატებით შეასრულებს შუამავალი ხიდის დანიშნულებას ჩვენსა და ევროპას შორისაც. ამისათვის კი, ჩვენი აზრით, საჭიროა თურქეთის მესვეურები არ დაელოდონ მოვლენათა ქვემოდან განვითარებას და უკვე გამოღვიძებულ ისტორიულ რეალობას მისცენ სათანადოდ განვითარების საშუალება საჭირო საკანონმდებლო ბაზისა და კონსტიტუციური წესრიგის შექმნით. ეს მათ თავიდან ააცილებს კრიზისებსა და გართულებებს ქვეყნის შიგნით და, ამასთან, თურქეთს წარმოაჩენს, როგორც პროგრესულად განვითარებად სუპერმონოლითს, რომელმაც დროულად აუღო ალღო თავის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და დაადგა არა მისი ხელოვნურად შეზღუდვისა და ჩახშობის, არამედ თანამედროვეობის შესაბამისად გარდაქმნის გაბედულ გზას. ეს მძიმე, მაგრამ თურქეთის ნორმალური განვითარებისათვის ერთადერთი მართებული და რეალური გზაა. ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს ამ უახლოეს მეზობელს უკეთესი მომავლის გააზრებასა და შექმნაში.

*01.04.2017 წ.*

*ქ. ბათუმი*



# ზურაბ ხაბაძე

## უსათაურად და უმისამართოდ*

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
**ილია**

რა თქმა უნდა, მე მინახავს ბევრი მართალი კაცი საქართველოში, მაგრამ ძალიან ცოტაა ამ ოთხ მილიონიან ქვეყანაში მათი რაოდენობა. ისინი, აბსოლუტურად ვერ ჰქმნიან ამინდს. ეს ჰგავს იმას, რომ ყოველ ღამე ერთი და იგივე სიზმარი გვესიზმრებოდეს. ასეთი სიზმარეული ჩვენება არანაკლებ შესძრავდა ჩვენს სულს, ვიდრე ის, რასაც ცხადში ვხედავთ. როგორ მოსაწყენია ტელევიზიის ეკრანიდან ამდენი სიყალბის მოსმენა, როგორ არ ბეზრდებათ ერთი და იგივე ტყუილის მთქმელებს, თანაც საჯაროდ. ვაჟა-ფშაველა ერთგან ამართლებს სიცრუეს. გავიხსენოთ: „იცრუა ზვიადაურმა, თვისი სახელი დამალა, რა ქნას მის სახელს იცნობენ, ქისტებს ბევრს სისხლი ავალა“ და ასე შემდეგ. მაგრამ განა ყველგან ამართლებს? ანდა შეიძლება არც ამართლებს, რადგან სიცურე არ არის ნამდვილი ვაჟკაცის თვისება, მაგრამ მანვე დაგვანახა, რომ ის ხალხმრავალი მასა, შეიარაღებული და ერთსულოვანი – უსუსურია უაიარღო ზვიადაურის სულიერი ძალის წინაშე. ეს დაინახეს და გაიცადეს თვით ქისტებმაც. ქვეყნად არაფერია უპირობოდ ჭეშმარიტი და, მაშასადამე, ყველაფერი ყალბია, რაღა თქმა უნდა, უპირობო ჭეშმარიტებასთან შედარებით.

იტყვიან, კაცის კვლა ბოროტებააო, მაგრამ რა არის სიქველე? უბიწოება? გეტყვით პასუხად, კაცთა მოდგმა რომ არ გადაშენდეს, ამიტომაა ვითომ საჭირო „არა კაც ჰკლა? არა, რადგან ქვეყანას მოიცავს საზარელი თავნებობა და უკეთურნი მუსრს გაავლებნენ კეთილთ. მაშ, „კაც ჰკლა?“ არა, რადგან მკვლელობა სიცოცხლეს სპობს. ჩვენი ჭეშარიტება და ჩვენი სიკეთე მხოლოდ ნაწილობრივი ჭეშარიტება და ნაწილობრივი სიკეთეა და ისინი სამუდამოდ შებღალულია ბოროტებით და სიყალბით. შპენგლერის აზრით „სამყარო თავისთავად მოჩვენებაა, ქიმერაა. არსებობს მხოლოდ სამყარო ჩემთვის, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ჩემს მიერ ჩემივე საყმაროს შექმნა“. თუ ავიღებთ ისტორიულ სამყაროს, მასში არაფერი არაა გარდა სუბიექტის მიერ შექმნილისა. ვინ არის რამზესი, ალექსანდრე, ცეზარი თუ არა ისტორიული სურათის ფენომენები, რომლებიც თავისში შექმნა მაღალგანვითარებულმა სულმა. შპენგლერის აზრით, მსოფლიო ისტორია, რომელიც მოიცავს ექვსი

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.; № 3, 2017 წ.

ათას წელს, წარმოადგენს რვა ერთიმეორისგან იზოლირებულ და თანამნიშვნელოვან კულტურათა ისტორიას. ესაა ჩინური, ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური, ანტიკური დასავლეთის და მაიას კულტურები. ასევე, მისივე აზრით, ჩანასახოვანი კულტურები არსებობს, რომლებიც არ განვითარდნენ და მოწიფულებას ვერ მიაღწიეს. ასეთებად ის თვლის სპარსულს, ხეთურ და კიტშუას კულტურებს. ის ეხება, აგრეთვე, „აღმოცენებას“ კულტურას რუსულისას, რომელიც არის ყველაზე შესატყვისი მხატვრული გამოხატულება ამ საუკუნის დამახასიათბელი ინდივიდუალიზმისა, ლიბერალიზმისა ჰარმონიისა და გნებავთ, კონტრასტის ნაწილობრივი გამოხატულებისა.

დღეს კი საერთოდ დაიკარგა მხატვრობის როლი. თანამედროვე როგორც არქიტექტურის. მინის კედლებმა შთანთქა, ასევე, სვეტებიანი დარბაზები. მაგალითად ავიღოთ მოზაიკა. მოზაიკა გამოყენებითი ხელოვნების ისეთივე დარგია, როგორც გობელენი, მაგრამ არც გობელენი და არც მოზაიკა ვეღარ იჭერს სათანადო ადგილს ინტერიერის გასამშვენიერებლად. მოიზაიკა კი ვეღარც ფასადებს უქმნის თავისებურ მიმზიდველობას. ამჯერადაც მინა დომინირებს. არ გამიგოთ ისე, თითქოს მინას უარვყოფდე, მინა შესანიშნავი მასალაა, მაგრამ მინას თავისი ადგილი უნდა მოენახოს არქიტექტურაში სარკმლების, ვიტრაჟებისა და ჭერის კულტურის სახით. ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ყოველი კულტურისათვის განვითარების რაიმე აუცილებელი საფეხურები? და თუ არსებობს, ხომ არ მიუდგება ამ საფეხურებს ისეთი ცნებები, რომლებსაც გამართლება აქვთ ორგანული სამყაროს მიმართ – დაბადება, სიყმაწვილე, მოხუცებულობა, სიკვდილი. მოკლედ, ხომ არ შეიცავს ყოველი ისტორიული პროცესი ინდივიდუალური ცხოვრების დამახასიათებელ ნიშნებს? „კულტურა სულის ბატონობაა. ცივილიზაციის, ინტელექტის. ამდენად კულტურაში ღმერთისადმი სიყვარულია, ცივილიზაციაში კი უღმერთობა ბატონობს“. კულტურა აყვავების საფეხურია, ცივილიზაცია კი უღმერთობის.

რატომღაც დღეს ხელში ჩამივარდა მ. კვესელავას „ასერგასის დღე“. 253-ე გვერდზე ასეთი რამ წერია: „ერთხელ, რაღაც ეშმაკად ბარონესას ინდური თქმულება ვუამბე. ორი ვაჟის – ნანდასა და შრიდემანის შესახებ. ნანდას მშვენიერი სახე, მაგრამ უშნო ტანი ჰქონდა, შრიდემანს პირიქით – მშვენიერი ტანი და უშნო სახე, ორივეს ერთი გოგო – ზიტა უყვარდა. ზიტამ ნანდა აირჩია და ცოლად გაჰყვა. შრიდემანი ბედს შეურიგდა, მაგრამ ზიტა ვერ დამშვიდდა. როცა ნანდასთან იყო, სულ შრიდემანის მშვენიერი ტანი ელანდებოდა. ნანდამ ეს რომ შეამჩნია, შეურაცხყოფად მიიღო და ყელი გამოიჭრა. შრიდემანმა თავისი მეგობრის უბედურება რომ გაიგო, იგივე გააკეთა. ზიტასაც თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ღმერთქალმა შეაჩერა და დაარიგა: მოჭრილი თავები ისევ მიადგი სხეულებს და ორივეს გავაცოცხლებო. ვინ იცის, შეცდომით, თუ განგებ, ზიტამ ნანდას თავი შრიდემანის ტანს მიადგა, ხოლო შრიდემანისა – ნანდას. ახლა ის ნანდას მშვენიერი თავისა და შრიდემანის ასევე მშვენიერი ტანის ბედნიერი ცოლი იყო...“

იცით რა გამახსენა ამ ლეგენდამ? წარსულში, 1972 წელს, მე გახლდით ლენინგრადში. მაშინ ასე ეძახდნენ ახლანდელ პეტერბურგს. კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იქ მე გავიცანი ერთი ვილნიუსელი ქალბატონი. ჩვენ ერთი თვე ვხვდებოდით ერთმანთს და იცით რა მითხრა? შენ გგონია მე საყვარელი არ მყავსო? მაგრამ ის, როგორც მამაკაცი, ცივია, შენი პიროვნება და ის რომ შევარწყათ ერთმანეთს, დიდებული მამაკაცი გამოვიდოდა, მაგრამ ასე სადაარ. როგორც ჩანს, ყველა ქალი ერთნაირია მათი თვალთახედვით.

დღეს მეჩეთში შევედი და მაჩუქეს „ღვთაებრივი საოცრებები“. წიგნის 29-ე გვერდზე ასეთი რამ ეწერა ტოლსტოის შესახებ: „მისი სრულიად არაორდინალური აზროვნება უმეტეს შემთხვევაში რუსეთის საზოგადოებისთვის გაუგებარი იყო. ის განუდგა ეკლესიას და გადაეცა ანათემას. მეგობრებმა და ნაცნობებმა მას ზურგი შეაქცეს.

1910 წელს, 81 წლის ასაკში, ლევ ტოლსტოი სახლიდან წავიდა და გზაზე, სადგურ ასატპოვოში გარდაიცვალა. რატომ ასეთი სამწუხარო აღმოჩნდა ასეთი დიდი მწერლის ცხოვრების დასასრული და საითკენ მიემართებოდა ის სახლიდან გასული? შესაძლებელია ამ კითხვებს სინათლე ზოგიერთმა მისმა წერილმა მოჰფინოს“.

მუსლიმანს მითხოვებულმა რუსმა ქალმა ე. ვეკილოვამ, ტოლსტოის წერილი მისწერა, რომ მის შვილებს სურთ ისლამი მიიღონ და ეკითხებოდა რჩევას, თუ როგორ მოქცეულიყო. აი, რა უპასუხა მას, ნაწილობრივ, მწერალმა:

„რაც შეეხება მაჰმადიანობის მართლმადიდებლებზე უპირატესობას, მე არ შემიძლია ასეთ გადასვლას მხოლოდ მთელი სულით ვუთანაგრძნო. როგორადაც უცხოდ არ უნდა ითქვას, ჩემთვის ქრისტიანული იდეალებისა და ქრისტიანული სწავლების მაღლა დაყენებისათვის, მისი ჭეშმარიტების არსში ჩემთვის არავითარი საეჭვო არ უნდა იყოს, იმაში რომ, მაჰმადიანობა თავისი გარეგანი ფორმებით მართლმადიდებლურ ეკლესიაზე გაცილებით მაღლა დგას. ასე რომ, თუკი ადამიანის წინაშე მხოლოდ ორი არჩევანი დგას: დაიჭიროს ეკლესიური მართლმადიდებლობა ან მაჰმადიანობა, ყოველ გონიერ ადამიანს არჩევანში ეჭვი არ უნდა ჰქონდეს, ყველა უპირატესობას ერთი დოგმატის აღიარებით – ერთადერთი ღმერთი და მისი შუამავალი, მაჰმადიანობას მიანიჭებს. იმ რთული და გაუგებარი ღვთისმეტყველების, სამების გამოსყიდვის საიდუმლოების და რთული ღმრთისმსახურების ნაცვლად“. ეს ძალიან რთული საკითხია ჩემო მეგობრებო. 1995 წელს, ქალაქ ვეიმარში მკვლევართა ჯგუფმა შეიხის აბულყადირ ალ ალმურაბათის მეთაურობით გოეთეს მრავალრიცხოვანი ნაწარმოები შეისწავლა, რაც ალმურაბათს მისცა საკმაო საფუძველი გამოეტანა ფეტვა (ახსნა-განმარტება), რომელშიც პოეტი აღიარებს მუსლიმანობას. მოვიტანთ გოეთეს ზოგიერთ გამონათქვამს ისლამზე:

„რა სისულელეა უმღერო, არა გიშავს,
შენს მოსაზრებებს სიცოცხლეს შესანიშნავს!
თუკი ისლამი ღმერთის მორჩილებას ნიშნავს
ვიცოცხლოთ, მოვკვდეთ – ისლამით – ამას ნიშნავს“.

„ერთი ღმერთის რწმენა სულს ყოველთვის ამაღლებს. რამდენადაც ის ადამიანის შინაგანი სამყაროს კრიტერიუმია“.

„უკვე თავისთავად მაჰმადიანური კრიალოსნის გადათვლა ალაჰის სახელის სადიდებლად, რომელიც მის ოთხოცდაცხრამეტ თვისებას განასახიერებს, დიდებული შესაქები ვედრებაა. შემქმნელის ერთდროული ხსენება, დამამტკიცებელი და უარმყოფელი თვისებებით, მისი არსების მიუღწევლობაზე ლაპარაკობს: მლოცავი გაკვირვებული და განცვიფრებულია. ემორჩილება მის ნებას და მშვიდდება“.

ნიუსი დებს საქართველოს პატრიარქის საპროტესტო განცხადებას ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ. მიუხედავად საქართველოს პატრიარქის მოთხოვნისა, რომ შეჩერდეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ჩართულობა მის განხილვაში, საქართველოს პარლამენტი სრული იგნორირებით ხალხისა და საზოგადოებისა და სრული და ღია უპატივცემულობით საქართველოს პატრიარქისა, 2014 წლის 2 მაისს, ერთხმად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ქართველი ხალხის სახელით იღებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც სხვადასხვა დისკრიმინაციულ გამოვლინებებთან ერთად, დისკრიმინაციად მიიჩნევს ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვასაც. ამრიგად, საქართველოს ხელისუფლებამ ზუსტად აღასრულა ევროკავშირის მოთხოვნა, რელიგიათა უფლებების გათანაბრებისაც და ტრადიციული და არატრადიციული ქორწინებების უფლებებისაც საკანონმდებლო წესით, აღასრულა როგორც წინაპირობა ევროკავშირში გაწევრიანების. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს პარტრიარქმა დიმიტროვის განცხადებაზე დაყდნობით მსოფლიოს ამცნო, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში აუცილებელია, აზრი დაკარგა საქართველოს პატრიარქის საპროტესტო განცხადებამ ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ და შეიძლება ითქვას, რომ სახალხო პროტესტიც გააუფასურა. აი, ეს პროცესუალურ პოლიტიკური სპექტაკლი დაიდგა „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმის ხერხებით, ევროკავშირის სასარგებლოდ და ქართველი ხალხის გასაბაიბურებლად. დიდი სტუმრები პატრიარქთან სტუმრობის დასასრულს სიამოვნებით ისმენდნენ პატრიარქის საგალობლებს – გვაუწყებს საპატრიარქოს ოფიციალური ვებგვერდი ახალი ამბებით...

პასუხისმგებელი საქართველოს მომავლის წინაშე კი არც დღევანდელი პარლამენტია, არც „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი. ჯვარი პასუხისმგებლობისა ეკუთვნის საქართველოს პატრიარქს, და შესაძლოა უფრო მეტად ქართველ ხალხსა და ქართულ საზოგადოებრიობას. „მარდოქაი-ესთერის“ ავანტიურისტული დამსახურებანი საქართველოს ეკლესიის წინაშე კარგად არის წარმოჩენილი საქართველოს პატრიარქის გახმაურებულ საშობაო ეპისტოლეში და ბაგრატიონების საქორწინო სპექტაკლის მოწყობაში.

ზუსტად საშობაო ეპისტოლეში გაკეთებული „ჩანაწერი“ გახლავთ „მარდოქაი-ესთერის“ ხელშეწყობით განხორციელებული ბაგრატიონთა ლეგიტიმური მემკვიდრის გასაჩენი საქორწინო სპექტაკლი, რომლის მთავარ საყრდენსაც ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ ებრაულ-გენეტიკური გაგება წარმოადგენს... სწორედ ამ მცდარი გაგების საფუძველზე საქართველოს ეკლესიის მიერ განხორციელებულ იქნა ქართველი ერის თვითმყოფადობის დამანგრეველი და დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის მესვეურთა ინტერესებში დაფესვიანებული სამი დიდი ღონისძიება:

1) საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა: **„დავითიანნი“**, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას შთაუნერგავს, ჯერ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა შთამომავლობას ებრაელთა ბიბლიური მეფის – დავითისაგან, ხოლო შემდეგ ამ „ჭეშმარიტებაზე“ დაყრდნობით უქმნის იდეას სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის შთამომავლობისას ერთობლივად ორი დავითისაგან: დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლისაგან.

2) საქართველოს ეკლესია „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმის საშუალებით აკურთხებს „ქართველ ტამპლიერთა ორდენს“, როგორც **ღირსეულ დავითიანთა** მხედრობას, რომლის ოფიციალურ მიზანდასახულობადაც რეგისტრირდება საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობა. საქართველოს სამეფო ტახტი ამგვარი კურთხევით ოფიციალურად ჩაბარდა დასაცავად მსოფლიოს მასონურ მოძრაობას, ანუ მსოფლიოს ახალი წესრიგის ორგანიზატორებს.

3) ბაგრატიონთა ხელოვნური ქორწინება, რომელიც არანაირი თვალსაზრისით საკუთრივ

ტახტზე მემკვიდრეობის ლეგიტიმაციისათვის საჭირო არ იყო, ისახავდა ერთადერთ მიზანს: საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობაში შემოყვანილიყო ესპანეთში გაზრდილი, მასონური ორიენტაციის დავით ბატონიშვილი, ქართველი ხალხისთვის და ქართული საზოგადოებრიობისთვის უცნობი პიროვნება, რომლის მხარდაჭერითაც დაფუძნებულ იქნა ე. წ. „ქართველ ტამპლიერთა“, ანუ სოლომონის მეტაძრეთა ორდენი.

ამგვარად საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრის იდეა იყო სპეკულაცია იდეით, რომლითაც საქართველოს მონარქისტული ხელისუფლება ხელში უნდა აეღოთ დავითისა და სოლომონის პოლიტიკურსა და ფინანსურ მემკვიდრეებს.

საქართველოს ეკლესიის მამებმა სრულიად დაივიწყეს ის ჭეშმარიტება, რომ თავად დავითი არავითარი ლეგიტიმაციის წესით არ მოდის სამეფო ტახტზე. ფაქტიურად თავად ლეგიტიმური უფლების მქონე უფლისწული, ისრაელის პირველი მეფის საულის ვაჟი უთმობს მას ტახტს ყოვლად უჩვეულო საფუძვლით: მეგობრული სიყვარულით. პირველი მეფის, საულის ვაჟი - იონათანი, აღფრთოვანებული დავითის პიროვნებით, საკუთარ უფლებას უფლისწულობისას, უთმობს მას, და უფლისწულის მოსასხამს სჩუქნის. საული, მეფე, თავისი შვილის, ამასთან ყოვლად ღირსეული შვილის გამეფებისთვის იბრძვის და სძულს დავითი. იონათანი კი ებრძვის მამას და თავისი მეგობრის, დავითის დაფასებისთვის იბრძვის, რადგან მას, უფლისწულ იონათანს, თავისთავზე უფრო ღირსად ტახტისად, დავითი მიაჩნია. „– მამაკაცები ყველაფერს და ყველას თმობენ ძალაუფლებისათვის, ცოლსაც, შვილსაც, სიყვარულსაც და ძალაუფლებას არ თმობენ არავის გულისათვის“ – ამბობს ერთგან დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, სოკრატეს მოძღვარი, ქურუმი ქალი – დიოტიმა. „– მაგრამ ეს არ ეხება იონათანს, რომელიც ლომებს ეჭიდება... იონათანი სძლევს მამას, მეფე საულს, სძლევს იმით, რომ დავითს უტოვებს ტახტს... საულისა და იონათანის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, დავითის მოსვლა სამეფო ტახტზე ხდება იონათანის მხარდაჭერის გაგრძელება. დავითისა და იონათანის მეგობრობა ეს იყო ადამიანური კეთილშობილების გამოვლენის, ფენომენალური უანგარობის, ფენომენალური მეგობრული სიყვარულის მაგალითი, არა მხოლოდ ებრაელი ხალხის ისტორიაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო განუმეორებელი სიყვარული და მეგობრობა, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე, რაც თავი ახსოვს კაცობრიობას, არ დაბადებულა. ხანდახან იონათანი მაგონებს ჩვენს ეროვნულ გმირს, მერაბ კოსტავას.. არ იქნება უინტერესო, ერთი-ორი ფრაგმენტიც ვიხმო მეფეთა წიგნიდან ამ უნიკალური მეგობრობის ამსახველი: „...შეეკრა იონათანის სული დავითის სულს და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი“. (1 მეფ. 18, 1) გამწარდა მეფე საული: „– კარგად იცის მამაშენმა, რომ მადლი ვპოვე შენს თვალში... – ეუბნება დავითი იონათანს – **უფალს და შენს თავს გეფიცები, თუ ერთი ნაბიჯი არ იყოს ჩემსა და სიკვდილს შორის**“ (1 მეფ. 20, 3). „განურისხდა საული იონათანს და უთხრა: შე ურჩო, და უკუღმართო, განა არ ვიცი, რომ მეგობრად მოჰკიდებიხარ იესეს ვაჟს შენდა სამარცხვინოდ და დედაშენის შესარცხვენად“(1 მეფ. 20, 30). მიხვდა იონათანი რომ მამამისს გადაწყვეტილი აქვს დავითის სიკვდილი... მინდორში არიან დავითი და იონათანი. ნიშნეულად გამოსცადა იონათანმა თავისი თავი ისრების სროლაში. მხოლოდ დავითისთვის იყო გასაგები იონათანის ისრები: „ადგა დავითი სამხრეთის მხრიდან, პირქვე დაეცა და სამგზის თაყვანი სცა (იონათანს). მერე გადაკოცნეს ერთმანეთი და ატირდნენ ერთად. დავითი უფრო მეტს ტიროდა. უთხრა იონათანმა დავითს: მშვიდობით იარე! როგორც ჩვენ ორთავემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის უკუნისამდე!“ (1 მფ. 20, 41-42).

საული და იონათანი ბრძოლაში დაიხოცნენ, გილბაოყის მთებში. გოდებდა დავითი საულსა და მის ვაჟს: „გილბაოყის მთებო, არ გეღირსოთ ცვარი და წვიმა... საულ და იონათან! საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში, სიკვდილშიაც

განუყრელნი არიან! არწივზე უსწრაფესნი, ლომზე ძლიერნი იყვნენ... ისრაელის ასულნო! იტირეთ საული, თქვენი შემმოსველი ძოწეულით და ძვირფასეულით, ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ შესამოსელს... ვგლოვობ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავ ჩემთვის, საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი, ქალის სიყვარულზე ძლიერი". (2 მეფ. 1, 21-26)...

დავითის, ვიღაც იესეს ვაჟისა და უფლისწულ იონათანის მეგობრობა მეფის ოჯახისათვის, იონათანის დედისათვისაც და მეფე-მამისათვისაც სამარცხვინო იყო – გვიამბობს ისრაელის მეფეთა ბიბლიური ისტორია.

თუ ვინმეს შეუძლია ქვეყანაზე მეგობრობის ძალა იგრძნოს და მეგობრობის ფასი იცოდეს, ალბათ, ეს საქართველოში შეუძლიათ. და საქართველოს ეკლესიის დიდმა მამებმა, რომლებიც პირველ რიგში მოძღვარნი იყვნენ და ადამიანური ბუნების ღვთაებრივ მიუწვდომლობას ღვთისავე შექმნილ ხატში გრძნობდნენ, იონათანის კვალზე შეიყვარეს დავითი, იონათანის კვალზე ყველა მისი ადამიანური ცოდვა და სინანულის გოდებანი მისივე სათნოებრივი თვისებებით გადაფარეს და დავითიანობა, ანუ უბრალო მწყემსისა და მეფის საამებლად ქნარზე დამკვრელის აღსაყდრება გააცნებეს, როგორც სამეფო ტახტზე ასვლა საკუთარი ღირსებით და არა ბრმა ბედისწერითა და მემკვიდრეობით.

ამიტომ ეუბნება გრიგოლ ხანძთელი, დიდი მოძღვარი ქართული ეკლესიისა საქართველოს მეფეს, აშოტ კუროპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაიცა და სათნოებანიცა მისნი დაგიმტკიცენ ქრისტემან ღმერთმან..."

დავითისებრი მეფობისა და დავითისებრ სათნოებათა მსურველი მამა და მოძღვარი ქართული ეკლესიისა, დიდი ზნეობისა და დიდი სულიერების მეუფე, გრიგოლ ხანძთელი, წინამძღვარი დიდი სამონასტრო სავანისა და თავად მეფისაგან მიდარებული დიდსა წინასწარმეტყველსა მოსეს, როგორც საკუთარი შვილისთვის, ისე შესთხოვს იესო ქრისტეს საქართველოს მეფისთვის, მეფურ ძლიერებასთან ერთად, მეფურად აღმატებულ სათნოებასაც, რომლის განსახიერებადაც დავითი ესახება. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არიან მოვლენილნი სამეფოდ არც დავით აღმაშენებელი და არც თამარი... ყოველთა მეფეთა სათნოებაზე აღმატებულნი...

*2013-2014 წელი,*

*თბილისი*

P.S. წინამდებარე გამოკვლევა უკვე გამზადებული მქონდა გამოსაქვეყნებლად, რომ ქართველ ტამპლიერთა ვებ-გვერდში დამჭირდა ჩახედვა. ჩვენ ვწერდით, რომ საქართველოს საპატრიარქოს დასჭირდა ოფიციალური განცხადება იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს პატრიარქს არ უკურთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი. 2014 წლის 14 ნოემბრის მონაცემებით, ქართველ ტამპლიერთა ორდენი სრულიად ღიად და დაბეჯითებით განიმარტება, როგორც ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაფუძნებული და საქართველოს პატრიარქის ნაკურთხი ორდენი (**დ. ს.**). ღიად მოგვეწოდება, აგრეთვე, ინფორმაცია, რომელიც აქამდე ჩვენთვის ცნობილი არ იყო: ქართველ ტამპლიერთა ორდენი როგორც სამხედრო ძალა კომპლექტდება საქართველოში არსებული ორმოცდაათამდე უპატრონო ბავშვთა სახლების კონტიგენტით და საშუალო სკოლებიდან შერჩეული კადრებით. ქართველ ტამპლიერთა ორდენის ოფიციალური მისამართია დღემდე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ამრიგად, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტი საფრთხეშია და დასახსნელია საქართველოს და მსოფლიოს მასონური ძალებისაგან.

მიხეილ მახარაძე

# ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან

**ქართული ფილოსოფია როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე თვალსაზრისით, საინტერესო ფენომენია და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ფილოსოფიის ფლაგმანს – სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტს კულუარებში მოიხსენიებდნენ, როგორც თავისუფლების ოაზისს საბჭოთა საქართველოში...**

**ბედმა მარგუნა, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართველ ფილოსოფოსთა წრეში ვყოფილიყავი, თვალი მედევნებინა ქართულ ფილოსოფიაში მიმდინარე პროცესებისთვის და ამასთან, მისი უშუალო და აქტიური მონაწილეც ვყოფილიყავი.**

**ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება სხვადასხვა დროის ქართულ ფილოსოფიაში მიმდინარე პროცესები, რის შესახებაც სხვებისგანაც მსმენია და ბევრი მათგანი ჩემს თვალწინ ხდებოდა.**

## ქართულ ფილოსოფიაზე

გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს, აკად. ევგენი ხარაძეს ბულგარეთში ყოფნისას უნახავს კარგად გამოცემული ბულგარული ფილოსოფიის ისტორიის ორტომეული. ეს ამბავი საქართველოში დაბრუნებისთანავე უამბნია აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტ, აკადემიკოს ანდრია აფაქიძისთვის. ამ საუბრის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ ურიგო არ იქნებოდა შექმნილიყო ქართული ფილოსოფიის ისტორია. ბუნებრივია, რომ ეს საქმე უნდა ეკისრა ფილოსოფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ბატონმა ანდრიამ რამდენიმეჯერ წერილობით მიმართა ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ ამის თაობაზე აკადემიისთვის მიეწოდებინათ წინადადება. ფილოსოფიის ინსტიტუტში ამ საქმეს უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ და ამიტომაც არ პასუხობდნენ ბატონ ანდრიას წერილებს.

იდგა 1985 წლის დეკემბერი. მიხმო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თამაზ ბუაჩიძემ და მის კაბინეტში შესულს მითხრა, რომ უნდა ვუშველო და მდგომარეობიდან გამოვიყვანო. როგორც მან ამიხსნა, ბატონი ანდრია ძალიან გაბრაზებულია მისი წერილებისადმი ჩვენი დამოკიდებულე-

ბით. მას კი გამოსავალი იმაში უპოვია, რომ გამოვაგზავნი თანამშრომელს, რომელიც შეიძლება ამ საქმეში გამოგვადგესო.

მაშინვე წავედი აკადემიაში და თან გზაზე გეგმებს ვაწყობ. ბატონი ანდრია პირქუშად დამხვდა. მაშინვე საყვედური გამოთქვა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიმართ. ჩემი აზრით, ფილოსოფიის ინსტიტუტის არსებობას საქართველოში უპირველესად ის გამართლება აქვს, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს შეისწავლის და დაამუშავებსო. კიდევ თქვა რაღაცები და შემომხედა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მე – ინსტიტუტის რიგით თანამშრომელს რა უნდა გამეკეთებინა.

ბატონო ანდრია, მივმართე მას. ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ მისი განხორციელებისთვის არც ხათრი კმარა და არც ხვეწნა-მუდარა. ბატონ ანდრიას სახეზე გაკვირვება დაეტყო.

აბა რაშია გამოსავალიო და მომაჩერდა.

რაკიღა საუბარი აეწყო, უფრო გავთამამდი და გაბედულად ვუთხარი: ეს საქმე რომ დაიძრას საჭიროა საქმეზე შეყვარებული ნიჭიერი ახალგაზრდა დამატებითი ხელფასით. თუ ვინ არის ასეთი ახალგაზრდა, ამის ძიება საჭირო არ არის, ის თქვენს წინაშეა.

ბატონ ანდრია გაოცებული მიყურებს. მალე, რატომღაც რუსულად მითხრა: „ტი ოზადაჩილ მენია“ და იქვე დაამატა, რომ ვიფიქრებ ამაზეო და გამომემშვიდობა.

ზუსტად თვენახევრის შემდეგ 1986 წლის 30 იანვარს საქართელოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ბატონ ანდრია აფაქიძის წინადადების საფუძველზე მიიღო დადგენილება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებისა და გამოცემის თაობაზე.

ჯერ საბჭოთა კავშირის დაშლისა და შემდგომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო ოთხტომეულის მომზადება გაჭიანურდა. თუმცა 2010 წლის აპრილში გამოცემა დასრულდა და იმავე წლის პირველ ივნისს მეცნიერებათა აკადემიაში მოხდა მისი წარდგინება.

2011 წლის მაისში ოთხტომეულის შემქმნელთაგან ოთხს, მათ შორის მეც, მოგვენიჭა ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ოთხტომეული პირველი ტომის გამოცემა დააფინანსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მეორე გამოიცა რუსთაველის ფონდის გრანტით, მესამე დააფინანსა პარლამენტარმა გოგი ლიპარტელიანმა, ხოლო მეოთხე – საქნავთმა (გენ. დირექტორი – გიორგი მახარაძე).

მინაწერი. 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერით გამოვიდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მეორე შევსებული გამოცემა.

* * *

1972 წელს პირველად მომიხდა „შეხვედრა“ გამოჩენილილ რუს სწავლულთან, ქართული კულტურის დიდ დამფასებელ ალექსეი ლოსევთან (1893-1988). ეს მოხდა შალვა ხიდაშელის ბინაში (ჩაიკოვსკის ქ. №2). მასთან, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთან მორიგი ვიზიტისას ლოსევსა და ხიდაშელს შორის სატელეფონო საუბრის მომსწრე გავხდი.

საუბრის დამთავრების შემდეგ, ბატონმა შალვამ რუსულად მითხრა ლოსევის ნათქვამი: „Кто сказал, что не бывает чудо! Издание этой книги в Тбилиси есть настоящее чудо“.

საქმე ეხებოდა დიდი ბერძენი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის – პროკლე დიადოქოსის (412-485) უმნიშვნელოვანესი თხზულების – „ღვთისმეტყველების პირველსაფუძვლების“ ლოსევისეული რუსული თარგმანის გამოცემას თბილისში 1972 წელს.

ლოსევმა(!) მოსკოვის ვერც ერთ გამოცემაში ვერ მოახერხა პროკლეს ამ უმნიშვნელოვანესი თხზულების მისეული ბრწყინვალე რუსული თარგმანის გამოცემა. სწორედ ამიტომაც თბილისში ამ თარგმანის გამოცემა მიიჩნია დიდმა სწავლულმა სასწაულად.

* * *

1978 წელს გამოვიდა ალექსეი ლოსევის ფუნდამენტური ნაშრომი – „აღორძინების ესთეტიკა“, რომლის პირველი თავი (გვ. 13-37) ეძღვნება აღმოსავლურ აღორძინებას. ნაშრომში მოკლე შესავლის შემდეგ განხილულია აღორძინების საკითხები ჩინეთში, ირანსა და სომხეთში (გვ. 13-23). ამ თავის ნახევარზე მეტი ქართულ აღორძინებას ეძღვნება.

ამ წიგნის გამოსვლა, სადაც უსიტყვოდ აღიარებული იყო რენესანსის არსებობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის. ქართული ფილოსოფიის ისტორიის აღიარებულმა მკვლევარმა, აკად. შალვა ხიდაშელმა (1911-1994) მირჩია ქართულად მეთარგმნა ეს თავი (მე მისი განყოფილების თანამშრომელი ვიყავი).

ორი კვირის შემდეგ ბატონ შალვას გადასახედად მივუტანე ნათარგმნი 12 გვერდი. სამი საათი ვიწვალეთ მასალაზე და ბატონმა შალვამ რომ არ ჩვეოდა იმ სტილში გადმომიგდო ხელნაწერი და უკმაყოფილომ მითხრა: „შევეშვათ ამ საქმეს, არაფერი გამოვაო“. მაგრამ მასალის აღება რომ დავაპირე, არ დამანება და დაიტოვა. რა თქმა უნდა, ჩემთვის არასასიამოვნო იყო ყველაფერი ეს, მაგრამ ადვილად შევეგუე რუსულ ენაში ჩემი „განსწავლულობის“ გათვალისწინებით. პარასკევი დღე იყო და ამის შემდეგ ორი დღე ბატონ შალვას აღარ შევხმიანებივარ.

ორშაბათს ფილოსოფიის ინსტიტუტში მისულს მითხრეს, რომ ბატონ შალვასთან უნდა მივსულიყავ ბინაზე. ჩემდა გასაკვირად კარი ბატონმა შალვამ გამიღო. როგორც წესი, კარს მოსამსახურე ან ოჯახის რომელიმე წევრი აღებდა.

ბატონი შალვა ოდნავ მოიხარა, შუბლზე მაკოცა და თავისი სამუშაო ოთახისკენ გამიძღვა. ოთახში შესულს მომიბოდიშა და მითხრა, რომ თარგმანი რამდენჯერმე გადავიკითხე და დავრწმუნდი: „შენ თარგმნი თავანკარა ქართულით, მე კი კალკით“. იქვე დასძინა, რომ ზემო აჭარის კილო ხომ ქართლის დიალექტში შედის და ამიტომაც არის ასეთი კარგი ქართულიო.

სხვათა შორის, ბატონი შალვა თავისი „კალკის“ გამო, მუდამ ასე წერდა – ივანე ჯავახიშვილი პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა მისთანანი. შემდგომ, როცა მე ხშირად ვიყავი მისი წიგნების რედაქტორი, მიხდებოდა ამ „კალკების“ გასწორება, რასაც ბატონი შალვა მშვიდად ხვდებოდა.

* * *

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ რენესანსის საკითხებზე შალვა ნუცუბიძის მოსაზრებათა კრიტიკისას, სერგი დანელია ჟურნალ „Советская книга“-ში გამოქვეყნებულ წერილში ნუცუბიძეს საყვედურობს რუსული კულტურის ისტორიიდან ქართული კულტურის ისტორიის მოწყვეტას, რითაც ფერმკრთალდება ქართული კულტურის სპეციფიკურობა. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნუცუბიძის განხილვის საგანია XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსული ხასიათი. ამ ეპოქაში კი ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობისთვის, რასაც საყვედურობს დანელია ნუცუბიძეს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ამავე წერილში დანელია უფრო შორს მიდის და ნუცუბიძეს ნაკლად უთვლის იმას, რომ ის რენესანსის საკითხების განხილვისას არ ითვალისწინებს კიროვისა და ჟდანოვის აზრებს. ამ შენიშვნას იდეოლოგიური ბრალდების ელფერი დაკრავს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ დანელია არასოდეს უკმევდა გუნდრუკს საბჭოთა წყობილებას. სწორედ ამის გამო ის შერისხული იყო საბჭოთა რეჟიმისგან და გარკვეული დროით ციხეშიც იჯდა.

ისიც უნდა ითქვას, კამათსა თუ პოლემიკაში, ნუცუბიძე არასოდეს მიმართავდა იდეოლოგიას.

* * *

ასევე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიის შესახებ ურთიერთსაპირისპირო აზრებს გამოთქვამს აკად. კორნელი კეკელიძე, კერძოდ: კეკელიძე, როგორც ნუცუბიძის ფუნდამენტური მონოგრაფიის – „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (თბილისი, 1947. რუსულად) რედაქტორი, რედაქტორის წინასიტყვაობაში ძირითადად, იზიარებს ავტორის პოზიციას და აქებს მას „გაბედული დასკვნებისა და არგუმენტაციის ორიგინალურობის“ გამო; შემდეგ კი კეკელიძე იცვლის პოზიციას და მკაცრად აკრიტიკებს მის მიერვე ადრე მოწონებულ ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას.

* * *

1998 წლის შემოდგომაზე თბილისის მახლობლად ტაბახმელაში გერმანელი და ქართველი ფილოსოფოსების გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა ნეოპლატონური ფილოსოფიის პრობლემებზე. კონფერენციის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აკად. გურამ თევზაძის კაბინეტში შევხვდით გერმანელ სტუმრებს. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გერმანელთა დიდი გაოცება გამოიწვია და ლამის არც კი დაიჯერეს, რომ ცნობილი არეოპაგიტული თხზულებების კრებული (Corpus Areopagiticum) საქართველოში XI საუკუნეში ითარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე.

როცა ჩვენგან ამის თაობაზე დამაჯერებელი არგუმენტები მოისმინეს, თავის მხრივ აღნიშნეს, რომ ჩვენში გერმანულ ენაზე ეს თარგმანი XVI საუკუნეში შესრულდა და ამ ფაქტით ვამაყობთ კიდეცო.

* * *

ვეცნობი გორდერის წიგნს – „სოფის სამყარო“. ძალიან კარგად იკითხება და აზრიანიცაა, მაგრამ ეს წიგნი იმ სამყაროს ხედვითაა დაწერილი, რომელიც ჩვენთვის არც თუ ისე უცხოა, მაგრამ მაინც უცხოა. ასეთი წიგნი ჩვენც გვჭირდება, მაგრამ ჩვენი პრიზმიდან დანახული და განჭვრეტილი.

* * *

2010 წლის 1 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის წარდგინება. მოწვევის მიუხედავად, ტელეარხ „აჭარას“ გარდა, არავინ მოსულა (მაშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და აჭარის ტელევიზიის მოსვლა, გასაგებია). სამაგიეროდ, საქართველოს ყველა წამყვანი ტელეარხი სამი დღის განმავლობაში გადასცემდა ქათმის 170 გრამიანი კვერცხის შესახებ ინფორმაციას.

ეს ამბავი რატომღაც გავიხსენე იმავე წელს გერმანიაში, პოტსდამში ვიზიტის დროს. მასპინძელთაგან ერთ-ერთმა, ჩვენი ქვეყნის დიდმა გულშემატკივარმა იენს ულმანმა ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, ასე „დამამშვიდა“: „მაგ კვერცხის ამბავს ჩვენთანაც მთელი კვირა გადასცემდნენ სხვადასხვა არხები. ეგ არაფერი. იმ დროს ჩვენს მიერ ორგანიზებული ძალზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური შეხვედრა არც ერთმა არხმა არ გააშუქა. სამაგიეროდ, ერთი საათის განმავლობაში დიდის ამბით აჩვენებდნენ ღორის... უკანალს“.

* * *

გასული საუკუნის 70-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ ქართველ სწავლულთა ერთ გამორჩეულ ჯგუფზე, არალეგარულ გამოცემაში, დაწერა, რომ ისინი სუკ-თან თანამშრომლობენო. ამ ჯგუფში მოხსენიებული იყო ცნობილი ფილოსოფოსი ვენორ ქვაჩახიაც.

ქვაჩახიამ მაშინვე მკაცრად უპასუხა წერილის ავტორს, თუ არ ვცდები გაზეთ „თბილისში“.

აქ უფრო სხვა რამ იყო საინტერესო. ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთი მხრივ კიცხავდნენ გამსახურდიას, ასეთი რამ როგორ დაწერაო, ხოლო მეორე მხრივ გაკვირვებული იყვნენ ქვაჩახიას პასუხით. მოტივი კი ასეთი იყო: როგორ შეიძლება ხმამაღლა თქვა სუკ-თან არაფერი მესაქმებაო. მაშინ არაფერი მსმენია იმის თაობაზე, რომ ამ სითამამისთვის ქვაჩახიას რაიმე უსიამოვნება შეემთხვა.

* * *

1981 წლის გაზაფხული იყო. მაშინ სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე იყო ყველასათვის საყვარელი და ერთობ კომუნიკაბელური პიროვნება, პროფესორი ვახტანგ კალანდარიშვილი. მან სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში საჯარო ლექციის წასაკითხად მიიწვია უკვე კარგად ცნობილი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე.

სხდომათა დარბაზში ტევა არ იყო. მოხსენებას ესწრებოდნენ ინსტიტუტის ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ჩვენი კოლეგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

კაკაბაძემ ძირითადად ისაუბრა თანამედროვე დასავლეთის კულტურაზე, მის კრიზისებზე, ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეებზე. განიხილა და გაანალიზა ხელოვნების რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის სტენლი კუბრიკის კინოფილმი – „მექანიკური ფორთოხალი“, რომლის ჩვენებაც გათვალისწინებული იყო ლექციის დასრულების შემდეგ. მომხსენებლის საბოლოო დასკვნის თანახმად, საჭიროა სიფხიზლე, რათა მომზადებული შევხვდეთ საფრთხეებს, რომელიც დღეს თუ ხვალ ჩვენც მოგვიკაკუნებს კარებზე.

კაკაბაძის გამოსვლა უკომპრომისო იყო და მაშინ არც იოლად გასატანი. მოკლედ, ასეთ დროს არ ეძინა საბჭოთა იდეოლოგიის ფხიზელ თვალს. მოულოდნელად ეს სიფხიზლე ისევ ჩვენმა კოლეგებმა გამოიჩინეს. ერთმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემებზე დღენიადაგ ფიქრობენ ცკ-ში, მეორემ კი კაკაბაძის წარმოდგენილი პრობლემები უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგანაც ჩვენ დიდი კულტურა და ტრადიციები გაგვაჩნია, გვაქვს მრავალჟამიერი, ცეკვები და სხვა.

ბატონი ზურაბი გადაირია და საპასუხო გამოსვლაში ქვა ქვაზე აღარ დატოვა.

* * *

ზურაბ კაკაბაძე 1982 წლის დასაწყისში გარდაიცვალა. მის პანაშვიდზე მოვიდა მაშინდელი საქართველოს პირველი პირი ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ამასთან, გაზეთ „კომუნისტში“ კაკაბაძის ნეკროლოგსაც აწერდა ხელს.

დასაფლავების დღეს ავტობუსში ორი ჩვენი უფროსი კოლეგის, სხვათა შორის, ბატონი ზურაბის თაობისა, საუბარს მოვკარი ყური. ისინი განაწყენებული ამბობდნენ, რომ ჩვენ პარტიის ყველა დავალებას პირნათლად ვასრულებთ და ყურადღებას არ გვაქცევენ, აგერ ზურაბ კაკაბაძეს არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ და ცკ-ს პირველი მდივანი პანაშვიდზეც იყო და ნეკროლოგსაც აწერს ხელსო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ ჩვენს კოლეგებს გარდაცვლილისაც კი შეშურდათ.

სხვათა შორის, როგორც შემდეგ ვნახე, ისინიც კაკაბაძის დასაფლავებაზე მიდიოდნენ.

* * *

1989 წლის შემოდგომაზე მე და ჩემი მეგობარი ნაპო კვარაცხელია ვმონაწილეობდით ფილოსოფოსთა საკავშირო კონფერენციაში ქ. როსტოვში. წამოსვლის წინაღამეს სასტუმრო „მოსკოვში“, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, სარდაფში ძველმანებს ცეცხლი გაუჩნდა, გასასვლელები კვამლით დაიფარა, ატყდა ერთი განგაში...

მე და ნაპო დასაწოლად ვემზადებოდით, როცა ხანძრის განგაში ატყდა. ნაპომ გაუშვა ხუთ წუთიანი მონოლოგი ძირმომპალი საბჭოთა იმპერიის შესახებ. ვეუბნები რა დროს ეგ არის, ვიწვებით, ძლივს გამოვიყვანე მდგომარეობიდან. ამ დროს ფანჯარაში სახანძრო მანქანის მოძრავი კიბეც გამოჩნდა.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოსკოვში დააარსეს საინტერესო სერია – „XX საუკუნის მოაზროვნეები“. სერიის მთავარი რედაქტორი იყო აკადემიკოსი ფიოდორ ოიზერმანი. საქართველოდან სერიის გამოსაცემ გეგმაში მხოლოდ შალვა ნუცუბიძე იყო შეტანილი. ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამოცემისთვის ნუცუბიძის შრომების მომზადება მე – მიხეილ მახარაძეს დამავალა.

გამოცემის დეტალების დასაზუსტებლად სპეციალურად წავედი მოსკოვში და შევხვდი ოიზერმანს ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა. ჩვენი საუბარი ხანმოკლე იყო. მან მითხრა, რომ გამოსაცემი მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე დაბეჭდილ 25 თაბახს (დაახლოებით 600 გვერდს). ამასთან, კატეგორიულად მოითხოვა, რომ გამოცემაში აუცილებლად და თანაც სრულად უნდა შესულიყო ნუცუბიძის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ფილოსოფიაში – „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვის ფსიქოლოგიური საზოგადოების ჟურნალში – „Вопросы философии и психологии“. 1913, წიგნი I (116) და წიგნი II (117).

თბილისში დაბრუნების შემდეგ, პროფესორებმა არჩილ ბეგიაშვილმა (მასვე ეკუთვნოდა შესავალი წერილი), თამაზ ბუაჩიძემ და მე (რედაქტორი) სამ თვეში მოვამზადეთ ნუცუბიძის ნაშრომების კრებული, რა თქმა უნდა ოიზერმანის მოთხოვნის გათვალიწინებით და წარვადგინეთ მოსკოვის გამომცემლობაში – „Политиздать“, სადაც ამ სერიით უკვე გამოცემული იყო მე-20 საუკუნის რამდენიმე გამოჩენილი ფილოსოფოსის წიგნი.

სამწუხაროდ, ამ სერიით ნუცუბიძის რჩეული შრომების გამოქვეყნება ვეღარ მოხერხდა. ცნობილი მოვლენების შემდეგ მოსკოვში ქართველი ფილოსოფოსის მემკვიდრეობის გამოცემა აღარ ისურვეს თუ საერთოდ აღარ ეცალათ ამისთვის, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. მეტიც, გამომცემლობის ადგილმონაცვლეობის გამო, გამოსაცემად გამზადებული ხელნაწერის ორივე ეგზემპლარი საერთოდ დაიკარგა და მოსკოვში მცხოვრები ერთი ჩემი ქართველი ახლობლის დიდი მცდელობის მიუხედავად, ხელნაწერის კვალს ვეღარ მივაგენით.

* * *

1968 წლის თებერვლის დასაწყისია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ფილოსოფოსები უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლისთავს აღნიშნავენ. პრეზიდიუმში არიან მხცოვანი აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, ცნობილი ფილოსოფოსი კოტე ბაქრაძე, ფაკულტეტის დეკანი... თავის სიტყვაში ნუცუბიძემ ილაპარაკა უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიებზე, აქო კოტე ბაქრაძე, სინანული გამოთქვა ნაადრევად გარდაცვლილ გამოჩენილ ფილოსოფოს სავლე წერეთელზე, ცოტა ხელისუფლებასაც გადაკრა. ცოტა შეყოვნდა, შემდეგ ირიბი მზერა მიაპყრო

სივრცეს და ომახიანად დასჭექა: არ ყოფილა ხელისუფლება, რომელსაც მოვწონებოდი! ნუცუბიძისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი წერილი, სადაც მისი პატიმრობის შესახებ დაწერილ წიგნს ვეხებოდი, ამ ფრთიანი ფრაზით დავასათაურე.

* * *

1988 წელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობაზე გამოცხადებულ კონკურსში ოთხი პრეტენდენტია, მათ შორის, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე და ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი შალვა ხიდაშელი.

ინსტიტუტის ფოიეში პროგნოზებს აკეთებენ. ყველა ნიკო ჭავჭავაძეს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. მე ხიდაშელისკენ ვიხრები და ამან ყველა გააკვირვა.

– რას ემყარები, – მეკითხებიან.

– საღ აზრს, – ვპასუხობ და იქვე ვამატებ: – დაწვრილებით არჩევნების შემდეგ მოგახსენებთ.

ჩატარდა არჩევნები, ჩემი ვარაუდი გამართლდა.

რას ვემყარებოდი? შემდეგ გარემოებებს:

1) ხმის მიმცემთაგან უმრავლესობა თითქმის ხიდაშელის ასაკისანი იყვნენ;

2) ხიდაშელი ქართულ ფილოსოფიაში მუშაობდა და ხმის მიმცემთა უმრავლესობა მეცნიერების ეროვნულ დარგებში მუშაობდა;

3) ნიკო ჭავჭავაძე, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, პრინციპული და შეუვალი პიროვნება პრობლემებს უქმნიდა აკადემიის ხელმძღვანელობას და, ბუნებრივია, ასეთი პერსონის კიდევ უფრო გაძლიერება, მათ გეგმაში ნამდვილად არ შედიოდა;

4) ხიდაშელმა ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული(!) ფილოსოფიისა და ქართული(!) რენესანსის საკითხებზე, მათ შორის, ფუნდამენტური – „ქართული ფილოსოფია“ (1988).

ვგონებ საკმარისია.

* * *

აკად. გურამ თევზაძე ცნობილი ფილოსოფოსია და მისი დამსახურება ქართული ფილოსოფიის წინაშე ძალიან დიდია. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მეცნიერულ წინსვლაში. როცა 2004 წელს პოლიტიკაში წავედი კავშირი არ გამიწყვეტია სამეცნიერო საქმიანობასთან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით აქტიურ პოლიტიკაში ყოფნისას ფილოსოფიისთვის უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე მანამდე.

ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ბატონ გურამს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს არის გამონაკლისი შემთხვევა, როცა ჩვენი საზოგოდოებიდან პოლიტიკაში წასული ასე ერთგული დარჩენილიყოს მეცნიერებისადმი.

სამწუხაროდ, ჩემთვის დღემდე გაუგებარი მიზეზებით, 2008 წლიდან ბატონმა გურამმა რატომღაც ამითვალისწუნა. ჯერ იყო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ჩემთვის 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცხადებულ აკადემიის წევრ-კოროსპონდენტის არჩევნებში. მაშინ მან ამ მიზანს მიაღწია.

ბატონი გურამი ამასვე შეეცადა იმავე 2009 წელს, ასევე, მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული ფილოსოფიაში აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემიის მოსაპოვებელ კონკურსში. ამჯერად მას ეს არ გამოუვიდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ბატონ გურამთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. მასთან უშუალო კონსულტაციებით მომზადდა და განხორციელდა: საშური გამოცემა – ზურაბ კაკაბაძის რჩეული შრომების ერთტომეული (2012), „ფილოსოფია და ცხოვრება“ (2012) და, აგრეთვე, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მეორე გამოცემა (2013).

* * *

2013 წელს განხორციელდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მეორე გამოცემა. ვისაც მივწვდი ეს გამოცემა საჩუქრად გადავეცი. მათ შორის იყო თედო ნინიძე, იურისტი, კარგი პროფესიონალი, ლიბერალი და ჰუმანური პიროვნება.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შევეხმიანე ტელეფონით. მაშინვე ოთხტომეულზე საკმაოდ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა, კერძოდ:

1. ამ გამოცემაში ანარქიზმი ზედმეტია, ამ მიმართებით ჩვენები რუსების ეპიგონები იყვნენო.

2. სათანადოდ არ არის წარმოდგენილი სერგი დანელია.

3. ქართული ფილოსოფიის თუ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნაცვლად ხომ არ აჯობებდა ფილოსოფია ან ქართული ფილოსოფიური აზრი საქართველოში?

ვიდრე პასუხების გაცემას დავიწყებდი, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ აქამდე მხოლოდ ქება მესმოდა ამ გამოცემისადმი. თვით ფილოსოფოსთაგან არავის გამოუთქვამს რაიმე კრიტიკული შენიშვნა. გამოდის, რომ არ კითხულობენ, თორემ შენიშვნები როგორ არ ექნებოდათ.

ახლა უშუალოდ შენიშვნების თაობაზე.

1. რაკი გამოცემა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაა, გამართლებულია მასში ანარქიზმის განხილვაც. რაც შეეხება ეპიგონობას, არის ერთი ნიუანსი, რაც ქართული ანარქიზის თავისებურებისა და თვითმყოფადობის მაჩვენებელია. ეს არის მისი მთავარი და მნიშვნელოვანი წარმომადგენლების – ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხაკო წერეთელის – ეროვნულობა, რაც მათ გამოარჩევს ყველა სხვა სახის ანარქისტებისგან. ეტყობა ბატონმა თედომ ამ მომენტს არ მიაქცია ყურადღება ან სულაც გამორჩა იგი, სხვა შემთხვევაში ეს შენიშვნა არ გაჩნდებოდა.

2. ს. დანელიას შემთხვევაში ბატონი თედო, როგორც ჩანს საწყის სტატიას გაეცნო. არადა, სპეციალურ თავში – „ფილოსოფიის ისტორია“ დანელიას 22 გვერდი ეთმობა.

3. გამოცემის დასათაურების თაობაზე შენიშვნა დაფიქრებას მოითხოვს და შეიძლება სამომავლოდ გათვალიწინებული იქნას ან პირიქით.

* * *

**ოქროს თაობა.** ჩვენში ჯერ კიდევ, არა თუ შესწავლილია, არამედ ყურადღების საგანი არ გამხდარა ის დიდი ნახტომი ქართულ ფილოსოფიაში, რაც განხორციელდა საქართველოში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან საქართველოში, უფრო ზუსტად საბჭოთა საქართველოში, ყალიბდება ფილოსოფიის არამარქსისტული დარგები: აქსიოლოგია, კულტურის ფილოსოფია და ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

ფილოსოფიის აღნიშნული დარგების განვითარების საფუძველზე მოხდა ფილოსოფიის მობრუნება ადამიანისკენ, რასაც მე ვუწოდებ – ფილოსოფიის მოშინაურებას საბჭოთა საქართველოში.

საქართველოში ფილოსოფიის ამ „მოშინაურებაში“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფილოსოფოსთა ჯგუფმა, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ – „ოქროს თაობა“. ეს თაობა დაბადებულია დაახლოებით 15 წლის მონაკვეთში (1920-1935 წწ.) და მათი რიცხვი 6-7 ათეულით განისაზღვრება. მათ ფილოსოფიის არაერთი დარგი ააღორძინეს ან დააფუძნეს საქართველოში. „ოქროს თაობის“ ერთმა ჯგუფმა კი, როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფია მოაშინაურა საბჭოთა საქართველოში.

„ოქროს თაობა“ ცარიელ ნიადაგზე არ მოსულა, მას დიდი ტრადიცია დახვდა შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, კონსტანტინე კაპანელის, მოსე გოგიბერიძის, კოტე ბაქრაძის, კიტა მეგრელიძის, ანგია ბოჭორიშვილის, სავლე წერეთლის და სხვათა მდიდარი და ღრმასაფუძვლიანი ფილოსოფიური მემკვიდრეობის სახით.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, გაგანია საბჭოთა „უძრაობის“ ხანაში, საჯარო სივრცეში ერთი ნათელი წერტილი გამოჩნდა. მხედველობაში მაქვს აკაკი ბაქრაძის საჯარო ლექციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის ლექციებზე ნამდვილი ანშლაგი იყო. ამბობდნენ, რომ შალვა ნუცუბიძის შემდეგ მსგავსი რამ არ ყოფილაო. ბატონი აკაკი, მაშინ საჯარო სივრცეში, შეიძლება ითქვას, აანონსებდა იმ იდეებს, რომლებიც მალე ეროვნული მოძრაობის ლოზუნგებზე დაიწერა. მომხსენებელი ამ იდეებს გამოთქვამდა სხვადასხვა თემაზე საუბრისას.

მაშინ თითქმის ყველა დაწესებულებაში არსებობდა საზოგადოება – „ცოდნა“, რომლის მოვალეობა იყო წელიწადში 7-8 ლექციის ჩატარება თანამშრომელთათვის მათთვის საინტერესო თემებზე. იმ ხანებში ფილოსოფიის ინსტიტუტში ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე მე ვიყავი.

ვისარგებლე ჩემი სტატუსით და ბატონი აკაკი ბაქრაძე მოვიწვიე ფილოსოფიის ინსტიტუტში. თანამშრომლები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ამ ფაქტით და საკუთრივ ბატონი აკაკის ლექციით.

ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე ადგილზე არ იყო და ლექციის დამთავრებისთანავე მოვიდა. მიხმო კაბინეტში და მკითხა თუ ვისი იდეა იყო ბაქრაძის მოწვევა. ჩემი! ვუპასუხე დირექტორს. ასეთი საკითხები სასურველია წინასწარ შემათანხმოთო და ამით დავასრულეთ საუბარი.

შემდეგ ბატონი ნიკო შეხვდა ბატონ აკაკის და მალე დირექტორი, მისი მოადგილე თამაზ ბუაჩიძე, ბატონი აკაკი და მე რესტორან „თბილისში“ წავედით და ძალიან კარგი საღამო გავატარეთ.

ამის შემდეგ ბატონ აკაკისთან საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა და მის ხსოვნას მივუძღვენი ჩემი ერთი ესეისტური ნარკვევი.

* * *

1998 წლის შემოდგომა. თბილისის ახლოს ტაბახმელაში საერთაშორისო კონფერენცია ფილოსოფიაში ნეოპლატონური ფილოსოფიის პრობლემებზე.

ჩემი გამოსვლის შემდეგ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ბურკჰარდ მოიზიში შენიშნავს, რომ მოხსენებაში გატარებული თვალსაზრისი არეოპაგიტულ მისტიციზმზე ნიკოლოზ კუზელის აზრისგან განსხვავდება.

მე ასე ვპასუხობ: როცა მახარაძისა და კუზელის თვალსაზრისებს ვადარებთ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, სიმართლე კუზელის მხარესაა. მაგრამ თუკი მახარაძეს პლოტინე უმაგრებს ზურგს, მაშინ?

მოიზიშის ღიმილიანი დუმილი ჩემი პოზიციის არც თუ ისე უსაფუძვლობაში მარწმუნებს.

* * *

მერაბ მამარდაშვილი, როგორც წესი, არ წერდა. მისი ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა მსმენელების ჩანაწერების მიხედვითაა გამოცემული. ამიტომაც ევროპაში მას ქართველ სოკრატედ მოიხსენიებდნენ. ამ ფაქტმა ზოგიერთი მისი ქართველი კოლეგა შურით აღავსო. არადა, საქმე გაცილებით მარტივად იყო. აქ არსებითად ფილოსოფოსობის მანერაზე იყო საუბარი და მეტი არაფერი.

* * *

2012 წლის აპრილია, რუსთაველზე, შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეგობრებთან ერთად ყავას შევექცევი. ტელეფონით ჩემს ყოფილ დისერტანტსა და ამჟამად გამომცემლობა Carpe diem-ის დირექტორს – ალეკო ალადაშვილს შევეხმიანე და საუბარი გავუბი. ცოტა ხანში მან მომიბოდიშა და მითხრა, რომ ბატონ ბაჩანა ბრეგვაძესთან ვარ ოჯახში და შენთან საუბარი უნდაო.

ბატონი ბაჩანა პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ ვიღაცები აკადემიის არჩევნებში შენს წინააღმდეგ ჩემ დაპირისპირებას აპირებენ. მე არავითარ შემთხვევაში არ დაგიპირისპირდებიო“ და საქებარი სიტყვებიც არ დაიშურა ჩემი მისამართით...

მოლოდინის საწინააღმდეგოდ მაშინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას კონკურსი არ გამოუცხადებია. სამაგიეროდ, 2013 წელს გამოცხადდა კონკურსი და დაშვებული იქნა ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში. ეს ადგილი ბატონ ბაჩანასთვის იყო გათვალისწინებული. ზოგიერთმა მირჩია შემეტანა საბუთები თუნდაც იმის გამო, რომ აკადემიის კულუარებში არის მითქმა-მოთქმა – ბაჩანა ბრეგვაძე ფილოსოფოსი არ არის, იმის მიუხედავად, რომ სამეცნიერო ხარისხები ფილოსოფიაში აქვს დაცულიო.

წესითა და რიგით, ბატონ ბაჩანასთვის ადგილი უნდა გამოეცხადებინათ მწერლობაში (თარგმანის განხრით), მით უმეტეს, რომ მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალების შემდეგ აქ ადგილი თავისუფალი იყო.

რაც ითქვა მეორეხარისხოვანია, როცა საუბარი ბაჩანა ბრეგვაძისთანა ფენომენებს ეხება. მისთვის აკადემიაში ადგილი მინიმუმ 20 წლის წინ უნდა გამოეყოთ და მნიშვნელობა არ ექნებოდა რა მიმართულებით აირჩევდნენ მას აკადემიაში. რამდენადაც ვიცი, შალვა ნუცუბიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა ლიტერატურის განხრით.

ასე რომ, აქ არაფერი იყო გასაკვირი და ბატონი ბაჩანაც დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გახდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მან მან მხოლოდ ორწელიწადნახევარი იცოცხლა.

P.S. ბატონი ბაჩანა 2016 წლის დასაწყისში გარდაიცვალა, დაასაფლავეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მთაწმინდაზე დასაფლავებისას, საფლავის სიახლოვეს აღმოვჩნდი. იქვე იყვნენ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მეუღლითურთ და ქალაქის მერი დავით ნარმანია, ცოტა მოშორებით, აკადემიკოსები – თამაზ გამყრელიძე და ელგუჯა ხინთიბიძე. იქვე ჩანდა პროფესორი ზურაბ კიკნაძე. სამწუხაროდ, არაორგანიზებული იყო დაკრძალვის პროცესი და ცერემონიალი დაიწყეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც არაფრით ეს არ ეგებოდათ. იყო სრული დაბნეულობა. კიდევ კარგი ვიღაცას ზურაბ კიკნაძე გაახსენდა და ძლივს მოძებნეს. როგორც ჩანს, განერიდა ამ ქაოსს. სამწუხაროა, რომ კარგად ჩაფიქრებული საქმე, ქაოტურად აღსრულდა.

### *როგორ დაიწერა „ფილოსოფია მოზარდთათვის“*

1999 წელს სრულიად შემთხვევით ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე განცხადება, სადაც ეწერა, რომ გამომცემლობა „ელფი“ იწვევს სახელმძღვანელოების ავტორებს. მივაკითხე გამომცემლობას, დაველაპარაკე გამომცემლობის დირექტორს – თინათინ დიდებულიძეს. რაღაცებზე შევთანხმდით და ერთ თვეში მივუტანე პროექტი და მასალები ფილოსოფიის სახელმძღვანელო კურსის შესახებ.

სამ დღის შემდეგ კვლავ მივაკითხე გამომცემლობას. დირექტორი უჟმურად შემხვდა. ჩემი მასალები გადმომიგდო სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და თან დასძინა ასეთები არაფერში მჭირდება. იქვე მოკლედ მითხრა, რაც სჭირდებოდა. წამოვედი და გამომომცემლობა „სამშობლოდან“ ვიდრე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მოვიდოდი (ლექცია მქონდა), დაახლოებით 20 წუთში, წარმოვიდგინე წიგნის მაკეტი და სათაურიც შევურჩიე – „ფილოსოფია მოზარდთათვის“. შემდეგ სამ თვეში მოვამზადე წიგნი და წარვუდგინე გამომცემლობას. დირექტორს წიგნი ძალიან მოეწონა და სამჯერაც გამოსცა.

ცოტა მოგვიანებით მოეწყო წიგნის პრეზენტაცია სხვადასხვა დონეზე. წიგნს მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოსებმა შოთა ნადირაშვილმა და გურამ თევზაძემ, პროფესორებმა ნაპო კვარაცხელიამ, რამაზ საყვარელიძემ, აკაკი ყულიჯანაშვილმა, ლია წურწუმიამ, ირაკლი კალანდიამ, თეიმურაზ მთიბელაშვილმა, მამუკა დოლიძემ, დემურ ჯალაღონიამ.

წიგნი წაიღეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე და იქაც მოწონება დაიმსახურა.

მოკლედ, ასე გზაში მოფიქრებულმა და შემდეგ ხორცშესხმულმა პროექტმა გაამართლა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# შოთა ზოიძე

## სიმართლეს უფროსი არ ჰყავს

ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, რას გერჩის ჯემალ ჯაყელიო. ნამდვილად არ ვიცი რას მერჩის. მე რომ მისთვის მხარი არ დამეჭირა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობასთან არავინ მიასუნინებდა. სწორედ ისეა, ჭაბუა ამირეჯიბი რომ ამბობს თუთაშხიას პირით, ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა.

ვძლიე საკუთარ თავს და გადავიკითხე „ჭოროხში“ გამოქვეყნებული მისი ესეისტური ჩანაწერები (№5, 2015 წ.).

ბატონი ჯემალი წერს, რომ ვიღაცას დაურეკავს, გამომცემლობის რედაქტორი სამსახურში აგვიანებს, ნასვამი იყოო და იმავე დღეს გავუთავისუფლებივარ სამსახურიდან. ერთი თვის შემდეგ ვუკითხივარ, რას შვრებაო. უთქვამთ დადის უფულოდ, უმუშევარიო. ამავე დღეს რედაქტორად აღვუდგენივარ. ვინ არ იცის, რომ არც გათავისუფლება და არც აღდგენა, ასე არ ხდება.

როგორც ჩანს, მეხსიერება ღალატობს, რადგან მსგავსი არაფერი მომხდარა. გამომცემლობის რედაქტორად დავინიშნე 1970 წლის 20 დეკემბერს, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ლევან უკლებას დავალებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჯაყელიც და ფრიდონ ხალვაშიც წინააღმდეგი იყვნენ. ჩემი დანიშვნიდან სულ მალე, თუ არ ვცდები, 1971 წლის თებერვალში თავად ჯაყელი სამუშაოდან მოხსნა კომპარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ. მე რედაქტორობა დავტოვე 1975 წლის 15 აგვისტოს, მოსკოვის გორკის სახელობის ლიტ. ინსტიტუტში ჩარიცხვის გამო. ბატონი ჯემალი ვეღარც ვერავის მოხსნიდა და ვეღარც დანიშნავდა, რადგან თვითონ იყო მოხსნილი. რაც შეეხება ჩემი პირველი წიგნის წარდგენას, ეს სიმართლეა, სიმართლეა ისიც, რომ უფულო ვიყავი. მე ახლაც უფულო ვარ. ეს მწერლის ბედისწერაა. ჩემისთანა მწერლები უფულოდ და უპუროდ კვდებიან. თავის დროზე ღვინოც მიყვარდა და ქალებიც, მაგრამ მთვრალი არავის ვუნახივარ. ქალებსაც ვუყვარდი, მაგრამ ჯემალივით არ მიტრაბახია, ალენ დელონს მადარებენ-მეთქი. როგორი ალენ დელონიც ეგ არის, ყველას კარგად მოეხსენება.

ბატონი ჯემალი მამადლის პირველი წიგნი დავუბეჭდეო. არც ესაა სიმართლე. საგამომცემლო გეგმაში იგი შოთა ქურიძემ შეიტანა, რომელიც ჯემალამდე იყო გამომცემლობის ხელმძღვანელი. ჩემი ფიქრით, იგი ვითომ ანგარიშს მისწორებს იმის გამო, რომ როცა ხელისუფლებაში ვიყავი, ჩემთან, ერთ-ერთ თათბირზე მოითხოვა მამია ვარშანიძისა და ზურაბ გორგილაძის „ჭოროხის“ რედაქციიდან განთავისუფლება, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ამისი მოწ-

მეა სანდრო ბერიძე. ითხოვდა, ასევე, ჟუჟუნა ხაჯიშვილის გათავისუფლებასაც. თვითონ თქვას, რა ვუპასუხე.

1969 წელს გამომცემლობაში რამდენიმე თვე წარმოების განყოფილების გამგე ვიყავი. ეს სამუშაო არ იყო ჩემი საქმე და თავად დავტოვე. როგორც ჩანს, ბატონ ჯემალს ზოგი რამ ერევა ერთმანეთში.

ჩემი ცხოვრების წესი არ არის, ვინმეს რაიმე დავამადლო, მაგრამ იძულებული ვარ ვთქვა, როცა ნეტარხსენებული ფრიდონ ხალვაშის დღიურები დაიბეჭდა, თითქმის ყველა ბათუმელ თანამოკალმესთან ერთად, ყველაზე მეტად ჯემალია გალანძღული. ჯემალ ჯაყელი არც მწერალია და არც პოეტიო, წერს ბატონი ფრიდონი. გული მეტკინა. ფრიდონიც და ჯემალიც ქედელები არიან. სიმართლე თუ გინდათ, პროზა არცერთის არ ვარგა, ხოლო ლექსები მისაღებია. ორივე მათგანს მაყვალა გონაშვილის მინიჭებული „პოეზიის რაინდის“ წოდება აქვთ. დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება! როგორც მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამბობს, სიმართლეს უფროსი არ ჰყავს. რაც შეეხება ბატონი ჯემალის „იმხანინდელ“ ჩანაწერებს, მათ შესახებ ცენტრალურ ლიტერატურულ პრესაში ვისაუბრებ.

ქართული მწერლობის აჭარის ფრთამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, მრავალი ლიტერატურული და სამეცნიერო პრემიის ლაურეატი – იური ბიბილეიშვილი.

ბატონმა იურიმ თავისი მოღვაწეობის პერიოდში გამოსცა ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, არაერთი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. იგი უანგაროდ ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდას. ნიშანდობლივია მისი საქმიანობა კრიტიკის სფეროში. არ დარჩენილა ჩვენს რეგიონში არც ერთი გარდაცვლილი თუ ცოცხალი მწერალი, რომლის შემოქმედებაც არ განეხილა. იგი კალმით და სიტყვით ეწეოდა აჭარაში ქართული მხატვრული სიტყვის პოპულარიზაციას.

იური ბიბილეიშვილი თაობების მეხსიერებაში დარჩება, როგორც უაღრესად ნიჭიერი ლიტერატორი, პედაგოგი, პუბლიცისტი მწერალი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის ორგანიზაცია;
აჭარის მწერალთა სახლი;
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია;
ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“

# ქორონიკა 4 2017